პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 მაისი **ხუთშაბათი** 2014

**№092 (14 313)** ფასი 80 თეთრი

# ¡¡¡სევილია!!!

## ბენფიკა მართლაც დაწყევლილია...



↳9

კრიმინალი თუ გაუგებრობა?

## 13 მაისს მოსკოვში ვიტალი დარასელია დაააპატიმრეს

დიდი ვიტალი დარასელიას ვაჟს ქურდობას აბრალებენ!



↳2



↳2

## არაბებთან არც ანანიძე და არც ქანთურია

ძეცბაიას სია სიახლეების გარეშე

ესპანეთის ნაკრები

## ტიაგო ბრაზილიაში ვერ მიდის!



ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ გუშინ ძალიან არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყო: ტიაგო ალკანტარა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს! მიუნხენის „ბაიერნის“ 23 წლის ნახევარმცველმა მორიგი ტრავმა მიიღო და ფეხბურთს დაახლოებით სამი თვე ველარ ითამაშებს.

გერმანიის ნაკრები

## მინუს ოთხი, პლუს კრამერი



↳8

არგენტინის ნაკრები



↳6

## ალეხანდროს რას გაუგებ...

ტევესს ტოვებს და... ვინ რატომ მიჰყავს არგენტინის ნაკრების თავკაცს ბრაზილიაში?

საფრანგეთის ნაკრები

## ნასრის გოგომ დეშამს და მთელ საფრანგეთს აგინა!




↳8

● საქართველოს ნაკრები

# ქეცბაიამ არაბებისთვის რჩეულები ჩამოთვალა

## საუდის არაბეთს გაერთიანებული საამიროებიც დაემატა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა გამოაცხადა, რომლებსაც უახლოესი ამხანაგური მატჩებისთვის (29 მაისს საუდის არაბეთთან, 3 ივნისს არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან) მოამზადებს.

საუდეთთან მატჩი ადრევე თუ იყო დაგეგმილი, სიახლეა ის, რომ ჩვენებს მეორე არაბულ ნაკრებთანაც მოუწევთ დაპირისპირება. პირველს საქართველო ესპანეთის ქალაქ ხერესში დაუპირისპირდება, ხოლო საემიროებთან შეხვედრის ადგილი ჯერ დასაზუსტებელია. სავარაუდოდ, ეს თამაში შვეიცარიაში გაიმართება.

არაბებთან ამხანაგური მატჩებისთვის ქეცბაიას სამწყსო ასეთია:

მეკარეები - **გიორგი ლორია** (დინამო თბილისი), **ნუკრი რევიშვილი** (ვალეტა, მალტა), **როინ კვასხვაძე** (ტორპედო ქუთაისი);

მცველები - **უჩა ლობჟანიძე** (დნიპრო, უკრაინა), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ლაშა სალუქვაძე** (ინტერი, აზერბაიჯანი), **გია გრიგალავა** (ანჟი, რუსეთი), **დავით კვირკველია** (დინამო თბილისი), **ლევან კაკუბავა** (სპარტაკი ცხინვალი), **სოლომონ კვერკველია** (რუბინი, რუსეთი), **გიორგი ფოფხაძე** (იაგელონია, პოლონეთი);

ნახევარმცველები - **ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე** (ორივე - დნიპრო, უკრაინა), **ავთანდილ ებრალიძე** (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), **ირაკლი ძარია** (დინამო თბილისი), **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **თორნიკე ოქრიაშვილი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ვალერი ყაზაიშვილი** (ვიტესი, ჰოლანდია), **დავით თარგამაძე** (ილიჩევეცი, უკრაინა);

თავდამსხმელები - **ნიკოლოზ გელაშვილი** (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), **ბაჩანა ცხადაძე** (ინტერი, აზერბაიჯანი), **ოთარ მარცვალაძე** (დინამო თბილისი).


თემურ ქეცბაია

ტრავმის გამო, უახლოეს ამხანაგურ მატჩებს ვერ ჩაატარებს რუსული „როსტოვის" ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე**, ვინც ამას წინათ რუსეთის თასის მფლობელი გახდა, ამ ზაფხულს კი, სავარაუდოდ, თავის ძველ კლუბ მოსკოვის „სპარტაკში" მოუწევს დაბრუნება.

ნაკრებს დააკლდება რუმინული „კლუჟის" ფორვარდი **გიორგი ჭანტურიაც**. ალბათ, გახსოვთ, ის ორი კვირის წინ, რუმინეთის ჩემპიონატის შეხვედრისას დაშავდა და სამი თვე უფეხბურთოდ უნდა იყოს.

ცნობისთვის, საქართველოს ნაკრების უახლოესი მეტოქეებიდან საუდის არაბეთი ფიფას რეიტინგში 75-ე ადგილზეა, გაერთიანებული საამიროების გუნდი კი 8 საფეხურით მაღლაა.

**კობა ინასარიძე**

● კრიმინალი თუ გაუგებრობა?

# მოსკოვში ვიტალი დარასელია დააპატიმრეს

## დიდი ვიტალი დარასელიას ვაჟს ქურდობას აბრალებენ!


ვიტალი დარასელია-უმცროსი

მოსკოვის ჩერიომუშკის რაიონულმა სასამართლომ 13 მაისის სხდომაზე ვიტალი დარასელიას, ქურდობის ბრალდებით, 2.5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ბედის ირონიაა, 1981 წლის 13 მაისს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორის, ვიტალი დარასელიას ვაჟი, ზუსტად 33 წლის შემდეგ, მოსკოვში განსასჯელის სკამზე იჯდა და განაჩენს ისმენდა...

დარასელიას დაპატიმრების თაობაზე სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. მაგალითად, რუსული გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი" წერს: „ვიტალი დარასელია, თავის თანამემამულე ირაკლი გოლანძიასთან ერთად, ნაქურდალი ნივთების გაყიდვის მომენტში მოსკოვში, ცარიცინის რადიობაზრობაზე დააკავეს. უფრო ზუსტად, მოპარულ ორ ნოუთბუქსა და „ქენონის" ფოტოაპარატს ირაკლი გოლანძია ყიდდა, მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა მასთან ერთად ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ვაჟიც დააკავეს. დაკითხვაზე ირაკლი გოლანძიამ განაცხადა, რომ იმ დღეს მან პროფკავშირების ქუჩაზე ბინა გაძარცვა, საიდანაც, კომპიუტერებთან და ფოტოკამერასთან ერთად, დაახლოებით 100 ათასი რუბლიც წაიღო. ქურდობის შემდეგ ის წავიდა ბაზარზე ვიტალი დარასელიასთან შესახვედრად, რათა მისთვის ვალი დაებრუნებინა და პარალელურად, მოპარული ნივთებიც გაეყიდა. გამომძიებლებმა ირაკლი გოლანძიას ჩვენებაში ეჭვი შეიტანეს, არ დაუჯერეს და საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ის და დარასელია ერთად ქურდობდნენ. ისინი ბინებსაც ერთად ძარცვავდნენ და შემდეგ მოპარულ ტექნიკასაც ერთად ასაღებდნენ. საბოლოოდ, ჩერიომუშკის სასამართლომ, იმის გამო, რომ ირაკლი გოლანძიამ დანაშაული აღიარა, უფრო ნაკლებვადიანი სასჯელი მიიღო - ის საპატიმროში ორ თვეს გატარებს. ხოლო ვიტალი დარასელიას, რომელიც ქურდობასა და ნაქურდალის გასაღებაში მონაწილეობას არ აღიარებს, აშკარა სამხილების არქონის მიუხედავად, 2.5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა", - წერს რუსული გაზეთი და იქვე დიდ ვიტალი დარასელიას ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მოიხსენიებს.

ვიტალი დარასელიას დაპატიმრების ამბავი, ცხადია, საქართველოშიც უმალ გავრცელდა, თუმცა ამ ფაქტის დაჯერება ბევრს გაუჭირდა, მათ შორის - ჩვენც. ამიტომ, ვიტალის დედას, ქალბატონ მარინას დავუკავშირდით, რომელმაც ეს ამბავი დაგვიდასტურა და თან ეს გვითხრა:

- სამწუხაროდ, მართალია - ვიტალი დაკავებულია და პირველი ინსტანციის სასამართლომ 2.5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ტყუილი კი ის არის, რის გამოც არის დაკავებული ჩემი შვილი და რა ცნობებსაც ავრცელებენ. სიმართლეს ახლა გეტყვით: მოსკოვში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველს ვიტალის ფული მართებდა და ვალის დასაბრუნებლად სწორედ იმ დღეს დაურეკა და დაუთქვა შეხვედრა. ჩემი ვაჟი მასთან შესახვედრად თავის საცოლესთან ერთად წავიდა, რომელიც მანქანაში დარჩა. შეხვდა მოვალეს, ფული გამოართვა და სწორედ ამ მომენტში ორივე აიყვანეს. ის ქართველი ადგილზევე გაჩხრიკეს და ჯიბეში სხვადასხვა ნივთი ამოუჩინეს, ვიტალიც მის თანამოსაქმედ ჩათვალეს და ორივე განყოფილებაში წაიყვანეს. იმ პიროვნებას, ეტყობა, დაკავებამდე უთვალთვალებდნენ. ბიჭებს ჩემი შვილის საცოლეც თან გაჰყვა. ვერაფრით აჯერებდნენ მილიციელებს, რომ ადგილზე მხოლოდ კუთვნილი ფულის ასაღებად იყვნენ მისულნი. თანაც ხომ ყველამ იცის ქართველებისა და ზოგადად კავკასიელების მიმართ რუს სამართალდამცავებს როგორი დამოკიდებულება აქვთ?! მათთან ვერც ვიტალის საცოლის ჩვენებამ გაჭრა, ვერც მისი მოვალის სიტყვებმა, რომ ვიტალის ქურდობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, არც სატელეფონო ზარების ამოღებამ და არც იმ ფაქტმა, რომ ერთ-ერთი გაძარცვული სახლის პატრონმა ამოცნობისას ვიტალი ვერ იცნო. მოკლედ, გამოძიებას ვიტალის ქურდობაში მამხილებელი ფაქტები არ აქვს, მაგრამ რად გინდა, მაინც პატიმრობა შეუფარდეს.

**- 2.5-წლიანი პატიმრობა საბოლოო ვერდიქტია?**

- არა, ადვოკატმა განაჩენი ქალაქის სასამართლოში უკვე გაასაჩივრა და უახლოეს დღეებში საქმის ხელახალი განხილვა დაინიშნება. თავად ადვოკატიც გაოგნებულია, გამოძიებას პატიმრობისთვის ხელმოსაკიდი არაფერი აქვს, თუმცა მოსამართლე მაინც მხოლოდ პროკურატურას უსმენსო.

**- რამდენად არის შანსი, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება ქალაქის სასამართლომ საერთოდ გააუქმოს ან შეამსუბუქოს?**

- ობიექტური გამოძიებისა და სასამართლოს შემთხვევაში, ვიტალი დარბაზიდანვე უნდა გაათავისუფლონ. იცით, როცა დააკავეს, მაშინვე უთხრეს - აღიარე, რომ დანაშაული ჩაიდინე, რამდენიმე ბინა გაძარცვე და საპროცესო შეთანხმებით გაგათავისუფლებთო. ჩემი შვილი კი რას აღიარებდა, რაც არ ჩაუდენია?! სასამართლოზეც პირდაპირ თქვა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და არაფრის აღიარებას არ აპირებს. ისე კი, იმედი მაქვს, მოსკოვის საქალაქო სასამართლო მაინც ობიექტური იქნება და ვიტალი გათავისუფლდება.

**- თქვენი ვაჟის მოვალე რას ამბობს?**

- სიმართლეს, თუმცა სასამართლო და პროკურორები არც მას უჯერებენ. ამბობენ, კავკასიელები არიან და მათ იციან, ერთმანეთის გვერდში დგომა, დანაშაულს ხშირად ერთი კაცი იღებს თავის თავზეო. არც იმ გოგონას ლაპარაკი აინტერესებთ და საერთოდ - არაფერი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, სასამართლოს თვითმიზანია, რომ ვიტალი ციხეში იჯდეს.

**- მოსკოვში ვინმე პატრონობს თქვენს შვილს?**

- ვიტალი მოსკოვში დეიდაჩემთან ცხოვრობს და სწორედ ის პატრონობს.

*...ისე, როგორი სამწუხაროა, რომ იმ კაცის შვილს, რომლის მიერ 33 წლის წინ მოქნეულმა მარცხენამ ქართულ ფეხბურთს ყველაზე დიდი სიხარული მოუტანა, ათიათასობით ადამიანი შუა ღამით ქუჩაში გამოიყვანა, მოსკოვში მოხუცი დეიდა და საცოლე პატრონობენ. როგორია იმის დაჯერება, რომ ვიტალი დარასელიას, გინდ მოსკოვში, გინდ თბილისში, სხვა პატრონი არ ჰყავს, მით უმეტეს, როცა მართალია?! ისიც როგორი სამწუხაროა, რომ დიდი ვიტალი დარასელიას ვაჟს სამშობლოში ისე გაუხდა საქმე, რომ თავის სარჩენად მოსკოვს გადაბარგდა... ასეთი კაცის ოჯახი, ეგებ, მეტი ყურადღების ღირსია?..*

**კობა ინასარიძე**

● აქტუალური ინტერვიუ

# ელგუჯა გუგუშვილი: კარგი ფეხბურთი ბალეტს მაგონებს...

უკვე ორ თვეზე მეტია არ წყდება პოლემიკა იმის შესახებ, თუ რამდენმა გუნდმა უნდა იასპარეზოს მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა გარკვეული ნაწილი და უმაღლესი ლიგის კლუბების უმრავლესობა 16-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარებას უჭერს მხარს.

სამაგიეროდ, აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია უკავიათ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ქართული სპორტული მედიის წარმომადგენლებს (საქართველოს ტელევიზიის I არხი, „მსოფლიო სპორტი", „ლელო") და უმაღლესი ლიგის ორ საუკეთესო კლუბს (თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონს").

თუმცა, როგორც გაირკვა, ამ უკანასკნელთა კატეგორიას სხვებიც უნდა მივაკუთვნოთ: ორი დღის წინ „ლელოში" ვეტერან ფეხბურთელთან, დავით უგრელიძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც „გურიას" ყოფილი ცენტრფორვარდი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდას.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მოსაზრებაც გვინდა გაგაცნოთ, თანაც ერთობ ავტორიტეტული სპეციალისტის - საქართველოსა და თურქმენეთის დამსახურებულ მწვრთნელს ელგუჯა გუგუშვილს, ვფიქრობთ, დიდი წარდგენა არც სჭირდება. ელგუჯა გუგუშვილი თითქმის 50 წელიწადია წარმატებულად უთავსებს საფეხბურთო და სამეცნიერო მოღვაწეობას და ამ ორივე სფეროში მისი ტიტულებისა თუ ჩინების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მხოლოდ -"ერთეულებს" გავიხსენებთ და იმას ვიტყვით, რომ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ნიუ-იორკის აკადემიის წევრი, კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ აღიარებული XXI საუკუნის ინტელექტუალური მეცნიერი და წლების განმავლობაში საქართველოს ზოოვეტერინალური უნივერსიტეტის რექტორი დღესაც აქტიურ სამწვრთნელო საქმიანობას ეწევა და პირველ ლიგაში მოასპარეზე „ალგეთის" (ყოფილი „ზოოვეტის") მთავარი მწვრთნელი გახლავთ.

ელგუჯა გუგუშვილს თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ბევრად უფრო მაღალ დონეზეც უმუშავია: პირველი ქართველი მწვრთნელი გახლდათ, უცხოეთის ნაკრები (თურქმენეთი) ვისაც გაუწვრთნია. ასევე პირველი ქართველი მწვრთნელია, ევროკავშირის ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდის (საბერძნეთი, „იანინა") თავკაცი რომ ყოფილა. ამას გარდა, სხვადასხვა დროს ყოფილა საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა, საქართველოს სტუდენტთა და საქართველოს რეგიონალური ნაკრებების მთავარი მწვრთნელი...

აი, ასეთ წარმატებულ და დამსახურებულ სპეციალისტს ვესაუბრეთ უმაღლეს ლიგაში გუნდების სავარაუდო გაზრდასთან დაკავშირებით, თუმცა ქართული ფეხბურთის სხვა საჭირბოროტო თემებსაც შევეხეთ...


ელგუჯა გუგუშვილი

**- სამწუხაროდ, ბევრი თქვენი კოლეგა ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებს გვერდიდან უცქერს; ვეტერან ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება...**

- ნებისმიერ სიახლეს თან ახლავს როგორც უარყოფითი, ასევე - დადებითი მხარე; მოდი, ჯერ უარყოფითზე ვთქვათ და მარტივ არითმეტიკასაც მოვიშველიებ: თორმეტ გუნდს კიდევ ოთხი უნდა დაემატოს, ანუ, იმ თითო გუნდს, სულ მცირე, 20 ფეხბურთელი ხომ დასჭირდება (ანუ, ჯამში 80 ფეხბურთელი), პლუს დუბლშემადგენლობის ასევე 80 ფეხბურთელი და ახალი სეზონის დაწყებამდე დარჩენილ ორ-სამ თვეში 160 ახალი ფეხბურთელი სად უნდა მოვიძიოთ? გვაქვს კი საქართველოში ამის რესურსი?

**- სხვათა შორის, ჩვენს ოპონენტებს სწორედ რაოდენობა მიაჩნიათ უმთავრეს პრიორიტეტად, ამ დროს კი ხარისხზე არც არავინ ლაპარაკობს...**

- თუ გუნდების რაოდენობა მაინც გაიზრდება, მაშინ ხარისხზე ნურც ვიფიქრებთ! მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ფეხბურთში უმთავრესი რაოდენობა კი არა, არამედ მოთამაშეთა საფეხბურთო ოსტატობაა, ანუ ხარისხი, როგორც თქვენ ამბობთ. სამწუხაროდ, დღესდღეობით ჩვენს საკლუბო ფეხბურთში უამრავი ისეთი პრობლემაა, ყურადღებას არავინ რომ აქცევს. აბა, რამდენად ნორმალური ვითარებაა, როცა ჩვენი ფეხბურთელები მატჩის დღეს მგზავრობაში უფრო მეტ დროს ატარებენ, ვიდრე - უშუალოდ მოედანზე? აღარაფერს ვამბობ იმ მართლაც საგანგაშო მდგომარეობაზე, როცა ჩვენთან საშუალოდ ორას ფეხბურთელზე ერთი საფეხბურთო მოედანია!

**- ოპონენტების აზრით, თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატის ჩატარების პირობებში კალენდარიც ოპტიმალური იქნება...**

- პირიქით მგონია: მატჩების სიჭარბე და კალენდრის გადატვირთვა ფეხბურთელებისათვის საზიანოა, რადგანაც მატჩებს შორის ინტერვალიც შემცირდება და სავარჯიშო პროცესისთვისაც ნაკლები დრო იქნება; ამას გარდა, კალენდრის გადატვირთვა ხელს შეუშლის ფეხბურთელების გეგმაზომიერ მზადებას და არც ის დაგვავიწყდეს, რომ გუნდების რაოდენობის გაზრდით თითოეულ კლუბს ხარჯებიც გაეზრდება.

**- ზემოთ ბრძანეთ, უარყოფითთან ერთად, დადებითი მხარეც აქვს გუნდების რაოდენობის გაზრდასო. ამ დადებითში რას გულისხმობთ?**

- უპირველესად იმას, რომ შესაძლებელი იქნება ფეხბურთი უფრო მასობრივი გახდეს; ქვეყნის მასშტაბით საფეხბურთო არეალის გაზრდაც არ არის უმნიშვნელო ამბავი. თუმცა, საკუთარი აზრი მაქვს და მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ჩვენს გუნდებს მაღალი კლასის ფეხბურთელები სჭირდებათ და არა - საშუალო დონის; მით უფრო, რომ საშუალო დონის მოთამაშეები ისედაც ბევრი გვყავს. ანუ, ჩემი აზრით, სჯობს ცოტა ვითამაშოთ და კარგად, ვიდრე - ბევრი და ცუდად...

**- თითქმის ნახევარი საუკუნეა სამწვრთნელო საქმიანობას ეწევით და თქვენი კოლეგების, ქართველი მწვრთნელების მუშაობას როგორ შეაფასებდით?**

- ქართული ფეხბურთის არსებობის განმავლობაში ამდენი მწვრთნელი არასდროს გვყოლია - საბედნიეროდ, მათ შორის ბევრი პროგრესულად მოაზროვნეა და ეს ეხება როგორც გამოცდილ, ასევე - ახალგაზრდა მწვრთნელებსაც.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## აქტუალური ინტერვიუ

*მეორე გვერდიდან*

აქვე, იმასაც ვიტყოდი, რომ სასურველი იქნებოდა, თუ მათი რიცხვი გაიზრდება. თუმცა, არიან სპეციალისტებიც, დღესდღეობით დაუსაქმებლები რომ გახლავან და უმუშევრობა კი მწვრთნელის პროფესიულ დეგრადაციას იწვევს.

**- ბოლო წლებში ჩვენთან დამკვიდრებულ ტენდენციას როგორ აფასებთ, როცა სეზონის სრულად ჩატარებას ერთი-ორი მწვრთნელი თუ ახერხებს-ხოლმე...**

- ძალიან აქტუალურ პრობლემას შეეხეთ: მართლაც საგანგაშოა ის მდგომარეობა, როცა ჩვენს გუნდებში ყოველგვარი აპელაციის გარეშე ხდება მწვრთნელების გათავისუფლება, თანაც, გუნდში მოჰყავთ ახალი მწვრთნელი, რომელიც თავის წინა კლუბში სწორედ იგივე პრობლემების გამო გაათავისუფლეს, როგორც მისი წინამორბედი!.. ძალიან სამწუხარო პარადოქსია, მაგრამ - ფაქტია... ზოგიერთი კლუბის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ მინდა ვთქვა: მწვრთნელის გუნდიდან გაშვებას დიდი ცოდნა არ სჭირდება, მთავარია და საჭირო იმის ცოდნა, თუ ვინ უნდა დანიშნო მწვრთნელად! საერთოდაც, ღირსეული კადრის შერჩევა მეტად მნიშვნელოვანი და იმავდროულად, რთულად გადასაწყვეტი საკითხია.

**- კლუბების ხელმძღვანელებსაც უნდა გავუგოთ: შედეგზე პასუხისმგებლობა ხომ მწვრთნელებს ეკისრება?!**

- თუ მწვრთნელს ნდობას უცხადებ, სრული ავტონომიაც უნდა მისცე! ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი დიდი მინუსი მწვრთნელის გაურკვეველი მდგომარეობაც არის: ნებისმიერი სპეციალისტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, ვთქვათ, 2-3 წელიწადი მაინც, მიეცემა საშუალება, რათა რეალიზაცია გაუკეთოს საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს; მწვრთნელს არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ პირველსავე წაგებული მატჩის შემდეგ დაიბარებენ და უმუშევარს დატოვებენ - ეს ხომ საშინელებაა!!!

**- პრობლემატური საკითხი წამოჭერით და, აქვე, საქართველოს ნაკრების თავკაცის, თემურ ქეცბაიას მოღვაწეობაზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი.**

- არც საჯაროდ და არც - კულისებში, ჩემი კოლეგების საქმიანობის ავ-კარგიანობაზე არასდროს ვსაუბრობ, - ეს ჩემი პრინციპია! თუმცა, ზოგადად გიპასუხებთ, რომ ქეცბაიას რთულ პერიოდში მოუწია ნაკრებში მუშაობამ და სამ ძირითად ასპექტს გამოვყოფდი: პირველი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ნაკრების წევრთა გარკვეულმა ნაწილმა ან ფეხბურთელისათვის კრიტიკულ ასაკს მიაღწია, ან კიდევ - საერთოდ, კარიერა დაასრულა. არადა, მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ თაობათა ცვლის პროცესს არც ერთი ქვეყნის ნაკრებისათვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მეორე და ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ძლიერი ლეგიონერების დეფიციტია; სამწუხაროდ, ბევრ ჩვენ თანამემამულე ფეხბურთელს საკუთარ გუნდში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევს; მესამე მიზეზი კი, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონეა, რომელიც ბუმერანგივით უბრუნდებათ საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელებს (ამ შემთხვევაში, ეროვნულ ნაკრებსაც ვგულისხმობ და ახალგაზრდულსაც). ჰოდა, ასეთ სიტუაციაში, თემურ ქეცბაია კი არა, ვინც უნდა მოიყვანო საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად, უკეთეს შედეგს მაინც ვერ მიაღწევს...

**- შედეგი თუ სანახაობა? ამ მართლაც მარადიულ კითხვაზეც გვაინტერესებს თქვენი მოსაზრება.**

- მწვრთნელები ორ კატეგორიად უნდა დავყოთ: პრაგმატიკოსებად და იდეალისტებად. პრაგმატიკოსების ძალისხმევა მხოლოდ და მხოლოდ შედეგზეა მიმართული: მათ ურჩევნიათ, რომ ცუდად ითამაშონ, მაგრამ სასურველ შედეგს მიაღწიონ; აი, იდეალისტებისათვის კი მთავარი ლამაზი თამაშია, ოღონდ, ისევ შედეგზე ორიენტირებული! ჩემი აზრით, არცთუ სასურველი თამაშით მოგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა ფინალურ მატჩში იმარჯვებ; ესა თუ ის ფინალი ხომ ისტორიაში შედის და მერე, წლების განმავლობაში არც არავის ახსოვს, გუნდმა ცუდად ითამაშა თუ კარგად... ხშირად გაიგონებთ-ხოლმე: ფეხბურთი ბალეტი ხომ არ არისო?!. პირადად მე, კარგი ფეხბურთი ბალეტს მაგონებს, მუსიკალურ სპექტაკლს, სადაც ყველა ცეკვავს. დააკვირდით ბრაზილიელთა თამაშს, ისინი ხომ მოედანზე სპექტაკლს დგამენ, სადაც ყველა ფეხბურთელი ბურთის გარშემო ცეკვავს! აი, სწორედ ასეთი ფეხბურთი მომწონს და სიამოვნებას მანიჭებს. თანაც, არა მხოლოდ მე - ალბათ, გულშემატკივართა დიდ უმრავლესობასაც...

**გია ტუხაშვილი**

## სავარაუდო ტრანსფერი

# კოხია ბელგიიდან რუსეთში?


დავით კოხია

**დავით კოხიაძე** იანვარში ვწერდით. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი ზამთარში ბელგიის პირველი დივიზიონის კლუბ „რუზელარეში" ჩაირიცხა, რომელსაც კიევის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე **სერგეი სერებრენიკოვი** ავარჯიშებდა.

დათოს ბელგიელები რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაში დააკვირდნენ და კონტრაქტიც შესთავაზეს. მაგრამ ფეხბურთელი მაშინვე ამბობდა, რომ ხანგრძლივი ხელშეკრულება მისთვის მიუღებელი იყო და მხოლოდ ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

20 წლის ქართველის მენეჯერმა **სერგო ქუთათელაძემ** კი კოხიაზე ეს სიახლე გაგვიმხილა: „კოხიამ „რუზელარეში" მხოლოდ ბოლოს ითამაშა, რადგან მისი ტრანსფერი კიევის „დინამოს" ეკუთვნოდა და გათავისუფლების ფურცელს კარგა ხანს არ აძლევდა. ეს საკითხი მხოლოდ მოგვიანებით მოგვარდა და დათომ ბელგიაში მხოლოდ ბოლო 5 ხუთი ითამაშა ოფიციალურ შეხვედრაში. თუმცა „რუზელარედან" მაინც წამოვიდა. ახლა მოლაპარაკება ორ რუსულ კლუბთან მიმდინარეობს - მოსკოვის „ტორპედოსა" და „მორდოვიასთან" და შესაძლოა, მოსამზადებელი სეზონის დაწყებამდე ერთ-ერთ მათგანში ჩაირიცხოს".

კოხიას თქმით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე **ალექსანდრე ჩივაძემ** ორჯერ მიიწვია, მანამდე კი **ოთარ კორღალიძემ** 19-წლამდელებში გამოიძახა, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობის გამო, საქართველოს სახელით ვერ ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

## სახალისო ფეხბურთი

# პროექტი წარმატებით ხორციელდება


ევა პრასტრანა და თამაზ თევზაძე

იმ პროექტებს შორის, რომელიც საქართველოში ევროკავშირის ეგიდით ხორციელდება, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ამ ორგანიზაციისა და კულტურათა გადაკვეთის საპროექტო ასოციაციის ერთობლივი პროექტი „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლები +სპორტი+პოლიცია". ამ პროექტის რეალიზაციის მიმდინარეობას მიეძღვნა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გამართული გაფართოებული სხდომა.

სიახლე, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" საქართველოს ფილიალმა შეიმუშავა და ერთადერთია, რომელსაც სპორტის სფეროში ევროკავშირი აფინანსებს. პრეზენტაციას ესწრებოდა ევროკავშირის პროექტების ხელმძღვანელი, ქალბატონი **ევა პრასტრანა**. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს ფილიალს ნოვაციის წარმატებით დანერგვისთვის და აღნიშნა პროექტის განზოგადების დიდი მნიშვნელობა. გაწეული მუშაობის შესახებ შეკრებილთ ვრცლად მოუთხრო **ბადრი მაჭავარიანმა.**

პროექტმა მთელი საქართველო მოიცვა განათლების, სპორტის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროების, მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით და სფფ-ს წილობრივი მონაწილეობით.

**ბადრი ქარქაშაძემ** განაცხადა, რომ ჩატარდება ინსტრუქტორთა, ლიდერთა, მწვრთნელთა სემინარები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

*„ამ პროგრამის რეალიზებას უდიდესი სარგებლობა მოაქვს სოციალური თვალსაზრისითაც. ათასობით მოზარდი ეზიარა სპორტის სიკეთეს, გაიხალისა ბავშვობა. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარში გვიდგას",* - გვითხრა „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" კოორდინატორმა აღმოსავლეთ ევროპაში **ვალერი ჩოლარიამ.**

სხდომას უძღვებოდა პროექტის საზოგადოებრივი მმართველი ორგანოს ხელმძღვანელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე.**

**თენგიზ თომაშვილი**

# სპილენძიდან ოქრომდე

## ლუდი „ველკოპოპოვიცკი კოზელის" ისტორია 1874 წლიდან

ცამეტნახევარ ჰექტარზე გადაჭიმული ქარხნის მთავარ შესასვლელში საშუალო ასაკის ქალბატონი, ექსკურსიამძღოლი ჰანკა დაგვხვდა. შიდა ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევისგან თავის შეკავება გვთხოვა და იქვე დასძინა - სამაგიეროდ, ფოტო და ვიდეო სადაც მოგესურვოთ, იქ გადაიღეთო.

საექსკურსიო მარშრუტის განსაზღვრა უმარტივესად შეიძლებოდა – კედელზე დახატულ ჩლიქების ნაკვალევს უნდა გავყოლოდით. თხა კომპანიის სახეა და ქარხნის ფასადი, ყველა კუთხე და კედლები სწორედ ამ ცხოველის გამოსახულებით თუ ქანდაკებებითაა გადაჭედილი. ლუდის ქილას და ბოთლსაც თხა – („კოზელი") ახატია (და აწერია).



სიმბოლოს, ისევე როგორც ლუდი „ველკოპოპოვიცკი კოზელის", ისტორია 1874 წლიდან იწყება. მავანმა ფრანგმა მხატვარმა ქარხანაში სტუმრობისას კარგი მასპინძლობით აღფრთოვანებულმა დამხვდურებს თხა დაუხატა. ქარხნის ხელმძღვანელებს ისე მოეწონათ, უმალ გადაწყვიტეს, სწორედ თხა გამხდარიყო კომპანიის სახე. ამ ცხოველს მწარმოებლები განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან. ქარხნის ტერიტორიაზე სპეციალური თავლა აქვთ აშენებული, რომელშიც ცოცხალი სიმბოლო ცხოვრობს.

ქარხნის დამაარსებლად ფელიქს რინგჰოფერი ითვლება, რომელმაც თავიდან სპილენძის ნაკეთობების წარმოება გადაწყვიტა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ბერებმა ჯერ ლუდის სახარში ქვაბი შეუკვეთეს, შემდეგ კი თხოვნით მიმართეს, თავადაც ლუდის ჩამოსხმა დაეწყო, ახალ საქმეს შეუდგა. ლუდის ქარხნის მშენებლობა 1874 წელს ფელიქსის შვილიშვილმა ფრანტიშეკმა დაასრულა. მას შემდეგ „ველკოპოპოვიცკი კოზელის" პოპულარობა და შესაბამისად რინგჰოფერების ქონებაც დღითიდღე იზრდებოდა. დინასტიას ლუდის გარდა ბევრი ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ მთავარი „ოქროს საქმე" – ლუდსახარში ქარხანა იყო.

ერთ-ერთი ბიზნესი იარაღის წარმოებას უკავშირდებოდა და სწორედ ეს გახდა წარმატებების დასასრულის მიზეზი. მეორე მსოფლიო ომის დროს ხმა გავრცელდა, რომ რინგჰოფერები გერმანიას უმზადებდნენ იარაღს, რასაც საყოველთაო აღშფოთება მოჰყვა და ეჭვმიტანილები ქვეყნიდან გააძევეს. ლუდსახარში კი ერთხანს სახალხო გახდა. ხოლო ამჟამად „ველკოპოპოვიცკი კოზელი" საბმილერის ბიზნესია და როგორც ექსკურსიამძღოლმა გვითხრა, ყველაზე გაყიდვადი ჩეხური ლუდია მსოფლიოში.

ამჟამად ქარხანა ოთხი სახის ლუდს აწარმოებს: მედიუმს, პრემიუმს, ღიას და შავს. მათი ექსპორტირება 37 ქვეყანაში ხდება. მთავარი ექსპორტიორი კი ავსტრალიაა.

რაც შეეხება რინგჰოფერების გვარს, ბოლო წარმომადგენელი ჰანუში ამჟამად ვენაში ცხოვრობს დედასთან ერთად. დროდადრო სტირჟინსა და ველკოპოპოვიცეშიც ჩადის ხოლმე, ოღონდ ოდენ სტუმრის სტატუსით. ჩამორთმეული ბიზნესის დაბრუნების სურვილი კი არასოდეს გამოუთქვამს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, მხოლოდ და მხოლოდ სიამაყის გამო.

R

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ლიგა. ბოლო ტური

### B ზონა

### ლოკომოტივი–მაჭახელა 2:0

10.05. საგურამოს საფეხბურთო კომპლექსი.

1:0 ლ. ზარანდია (73), 2:0 გ. აბურჯანია (80)

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, გ. გაბაძე (29. დ. მთივლიშვილი), ნ. სანდოხაძე, ნ. ჭანტურია (70. გ. მაკასარაშვილი), დ. უბილავა, გ. აბურჯანია, გ. გოროზია, ლ. ზარანდია, ე. სულთანიშვილი (46. ჯ. ყანჩაშვილი), ლ. კიკაბიძე (46. მ. გავაშელიშვილი), დ. ჯიქია (46. გ. არაბიძე).

სათადარიგოები: ბ. საჯაია, ო. პატარკაციშვილი

მწვრთნელი: ვასილ მაისურაძე

მაჭახელა: კ. აკმელი, დ. ბერუაშვილი, ბ. დემურაძე (43. დ. დოლიძე), ლ. რამიშვილი, მ. ქვანია, ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ხოხონიშვილი, ა. ლაბაძე, ნ. შონია (75. გ. სირაბიძე), ა. ბაციკაძე (62. გ. ფალავანდიშვილი), ს. ცინცქილაძე (42. ნ. ქორიძე).

სათადარიგოები: მ. ხარშილაძე, ზ. ანანიძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ლ. ზარანდია - ნ. ქორიძე, ლ. ხოხონიშვილი, ნ. შონია

არბიტრი: შ. ქუხილავა

### სულორი–კოლხეთი (ხ) 0:1

12.05. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 გ. პაჭკორია (8)

სულორი: გ. ბერძენაძე, ლ. გაბუნია, ა. როხვაძე, ბ. ბელქანია (46. ნ. გიორგაძე), ი. გამრეკლიძე, ს. თვალავაძე (87. გ. ნიკოლეიშვილი), თ. ძაგნიძე, გ. ბრეგვაძე, გ. ხეცურიანი, დ. ივანიაძე (90. თ. მატარაძე), დ. კუჭუხიძე (68. მ. ნაფეტვარიძე).

სათადარიგოები: ბ. ბახტაძე, გ. ჯენძხაძე, ი. გიორგაძე

მწვრთნელი: გიორგი კუტივაძე

კოლხეთი (ხ): ლ. ჭურლულია, ლ. გოგენია, ბ. ლოლუა (46. გ. გოგენია), დ. ბუკია (65. გ. ბუცხრიკიძე), კ. გოგენია, პ. გაბრავა (46. გ. ლომაია), ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, მ. ლატარია (46. ო. ფიფია), თ. ღლონტი, ლ. ქაშიბაძე (68. ბ. ბაკურაძე).

სათადარიგოები: ვ. ფირცხელავა, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: ლ. გაბუნია, ი. გამრეკლიძე - გ. პაჭკორია, კ. გოგენია

არბიტრი: დ. სანოძე

### სტუ–სამტრედია 0:2

13.05. თბილისი. შატილი

0:1 ა. ჯანელიძე (69), 0:2 ა. დვალიშვილი (85)

სტუ: ნ. ჯოლოგუა, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, ს. მიქაუტაძე (74. მ. გოგატიშვილი), ო. გაგნიძე, შ. გვაზავა, გ. თვალავაძე (46. ვ. რობაქიძე), კ. კახაბრიშვილი (70. ა. ლაცაბიძე), ს. მალანია (54. თ. მოგელაძე), ს. ჯოოფი, ვ. ყურაშვილი (46. დ. უდუმაშვილი).

სათადარიგოები: გ. ჯიშკარიანი, რ. მამფორია

მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

სამტრედია: მ. გოგიაშვილი, თ. კაკუშაძე, თ. შალიკაშვილი, ა. დვალიშვილი, თ. კიკაბიძე (46. ბ. გედენიძე), ლ. ბაკურაძე, თ. მოსიაშვილი, ლ. შილაკაძე (46. შ. კერძევაძე), ი. პავლიაშვილი (64. ა. ჯანელიძე), ა. ბაგაშვილი (57. გ. მელქაძე), ზ, ქანთარია (86. ზ. ხაჭიპერაძე).

სათადარიგოები: ს. გოგია, მ. მუჯრიშვილი

მწვრთნელი: გელა სანაია

გაფრთხილება: შ. გვაზავა, ვ. რობაქიძე - თ. შალიკაშვილი, ზ. ქანთარია

არბიტრი: ხ. გაგნიძე

### საბურთალო–დილა 2 3:0

13.05. თბილისი. ბენდელა

1:0 რ. გოცირიძე (35), 2:0 ც. ქებურია (43-საკ. კარში), 3:0 გ. გოშთელიანი (55)

საბურთალო: ლ. კუპატაძე, ი. ბეროშვილი, რ. კაკიაშვილი, გ. თვარაძე, ჯ. ტაბიძე (56. ვ. მამუჩაშვილი), მ. დიოპი, გ. ხარაიშვილი (743. ს. ალთუნაშვილი), რ. ბარამიძე, გ. ხორხელი (68. გ. ნივილაშვილი), გ. გოშთელიანი (64. ი. ბიძინაშვილი), რ. გოცირიძე (61. გ. ჩაბრაძე).

სათადარიგო: ლ. სანიკიძე

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

დილა 2: ს. ზუროშვილი, ა. ჩაკვეტაძე, ც. ქებურია (46. თ. ბექაური), გ. კაშია, მ. აფხაზავა, გ. კვარაცხელია (67. გ. ხარებაშვილი), კ. მელაშვილი, ი. ბერიძე, ნ. გაბელია, გ. ჯაყელი, ლ. მანაგაძე.

მწვრთნელი: გუბაზ დოლიძე

გაფრთხილება: ი. ბეროშვილი, მ. დიოპი - ლ. მანაგაძე

არბიტრი: ბ. გლუშჩუკი

### სამგურალი–სასკო 1:1

13.05. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

0:1 ვ. არველაძე (16), 1:1 ი ხვადაგიანი (39)

სამგურალი: ი. კუჭუხიძე, ბ. ბიბილაშვილი, ზ. საღინაძე (48. გ. ლობჟანიძე), ნ. შალამბერიძე (64. ხ. უგრეხელიძე), თ. ჯანაშია, ა. მეტონიძე (72. ზ. კუხალაშვილი), ო. ჩინჩალაძე (57. გ. ბუხაიძე), ი. ხვადაგიანი, გ. ამბროლაძე, ა. ფანცხავა (46. თ. ბრეგვაძე), გ. თევდორაძე.

სათადარიგოები: ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ფანცხავა

მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი

სასკო: ლ. ბრაჭული, გ. მაჩაიძე, დ. გაგნიძე, ჯ. ნოზაძე, მ. ქობულაძე, თ. გაფრინდაშვილი, გ. ქუცურუა, გ. შეწირული, ე. ეგიზარიანი (65. მ. მახათაძე), ვ. არველაძე, გ. ზარია.

სათადარიგოები: ა. ინწკირველი, გ. მანწკავა, ა. ნონოსი.

მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი

გაფრთხილება: თ. ჯანაშია, მ. ლობჟანიძე - გ. ქუცურუა, გ. შეწირული, დ. გაგნიძე, ლ. ბრაჭული

არბიტრი ზ. ტულუში

### დინამო (ბთ)–ჭიათურა 7:1

13.05. ქობულეთი. ჩელე არენა

1:0 კ. მაკარიანი (9), 2:0 ბ. ტეტუნაშვილი (41), 3:0 ი. ჩირიკაშვილი (42), 4:0 ვ. თევდორაძე (45), 4:1 თ. მუმლაძე (51-პენ), 5:1 გ. ფიფია (54), 6:1 გ. გავაშელიშვილი (72), 7:1 ა. აბუსელიძე (73)

დინამო (ბთ): მ. ალავიძე (46. რ. ტაკიძე), გ. გავაშელიშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, ნ. აშბა (76. ვ. ქორიძე), კ. მაკარიანი, ვ. თევდორაძე, ბ. მახარაძე (46. გ. ჟვანია) გ. გოგიტიძე (46. გ. ფიფია), ბ. ვარშანიძე, ი. ჩირიკაშვილი. ბ. ჭკუასელი (46. ა. აბუსელიძე).

სათადარიგოები: ა. სუხიაშვილი, ი. სიხარულიძე

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

ჭიათურა: მ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, გ. ოქროპირიძე, ბ. შუბითიძე, ა. ბაბლიძე, ლ. კუჭაშვილი (70. ო. კურტანიძე), გ. ბარბაქაძე, გ. სამყურაშვილი (46. ი. ცერცვაძე), თ. ნადირაძე, დ. სევასტოპულო, თ. მუმლაძე.

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

გაფრთხილება: გ. გავაშელიშვილი

არბიტრი: კ. ჭაჭუა

### ბეთლემი–ბახმარო 1:3

0:1 გ. ტუხაშვილი (17-პენ), 0:2 ა. ანტვე (23), 0:3 ხ. დიდიპ (28), 1:3 ს. კახიძე (66)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 26 | 20 | 3 | 3 | 62-24 | 63 |
| 2. დინამო (ბთ) | 26 | 19 | 2 | 5 | 65-17 | 59 |
| 3. მაჭახელა | 26 | 16 | 6 | 4 | 44-21 | 54 |
| 4. სასკო | 26 | 15 | 4 | 7 | 50-30 | 49 |
| 5. ლოკომოტივი | 26 | 15 | 2 | 9 | 68-35 | 47 |
| 6. ჭიათურა | 26 | 12 | 4 | 10 | 44-46 | 40 |
| 7. სამგურალი | 26 | 11 | 6 | 9 | 49-49 | 39 |
| 8. საბურთალო | 26 | 9 | 5 | 12 | 38-34 | 32 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 26 | 8 | 6 | 12 | 31-54 | 30 |
| 10. სტუ | 26 | 7 | 3 | 16 | 43-63 | 24 |
| 11. ბეთლემი | 26 | 7 | 3 | 16 | 28-50 | 24 |
| 12. ბახმარო | 26 | 5 | 8 | 13 | 35-65 | 23 |
| 13. დილა 2 | 26 | 5 | 6 | 15 | 27-53 | 21 |
| 14. სულორი | 26 | 2 | 3 | 21 | 14-59 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გიორგი ბუხაიძე (სამგურალი) | 14 |
| თორნიკე მუმლაძე (ჭიათურა) | 12 |
| ზვიად ქანთარია (სამტრედია) | 11 |
| ალექსანდრე ლაბაძე (მაჭახელა) | 11 |
| გიორგი ტუხაშვილი (ბახმარო) | 11 |

## ფეხბურთი და სახელმწიფო

# ჯერ ლაპარაკობენ, როდის იქნება შედეგი?

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე მუშაობა სახელმწიფო კანცელარიაში ისეთივე სიხშირით აღარ მიმდინარეობს, როგორც დაიწყო, თუმცა არც ის ითქმის, საქმე გაჩერდაო. ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ამ ეტაპზე, კომისიის სხდომებზე მსჯელობა აი, ამ საკითხებზე მიმდინარეობს - **სტადიონების რეაბილიტაცია, კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, უეფას 2015 წლის სუპერთასის მატჩის სათანადო ორგანიზება, უეფას 2017 წლის 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა, უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანმანათლებლო პროექტები (ბავშვთა საფეხბურთო აკადემიები) და მასობრივი ფეხბურთის განვითარება.**

*„ჩანს, კლუბების ფინანსური მხარდაჭერა ამ ნუსხაში ერთ-ერთი საკითხია და არა - ერთადერთი. წელში გამართული კლუბები ფეხბურთის განვითარების მნიშვნელოვანი დეტალი რომაა, ამაზეც არავინ დაობს. თუმცა, იქ, სადაც განვითარების მასშტაბურ პროექტზეა საუბარი, რომელიმე სხვა საკითხის წინ წამოწევა და მისით სპეკულირება მართებულად არ მიგვაჩნია. სამწუხაროდ, ამ საკითხის გარშემო ისეთი წარმოდგენა შეიქმნა, თითქოს, მთავრობასთან მსჯელობისა და განხილვის მთავარი თემა მხოლოდ კლუბების დაფინანსება და ჩემპიონატის ფორმატია. მასშტაბურობისა და განვითარებისთვის აუცილებელი ყველა (ზემოთ ჩამოთვლილი) იმ პუნქტის არსებობა და მასზე მუშაობა არის მთავარი მიზანი და სწორედ ამას ელოდება კომისიისგან ქვეყნის პრემიერ-მინისტრი“, -* ვკითხულობთ ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს, ფედერაციასთან ერთად, აღებული აქვს ვალდებულება, ღირსეულად უმასპინძლოს უეფას 2015 წლის სუპერთასის მატჩს. არადა, სამუშაო ძალიან ბევრია. საქმე მხოლოდ სტადიონს არ ეხება. მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი მთელი ქალაქის და, გნებავთ, ქვეყნის მასშტაბით;

უეფას 2017 წლის 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მოსამზადებელ სამუშაოებსა და სტადიონების რეაბილიტაციაზეც ბევრია სამუშაო და, ცხადია, ამას ორგანიზება, ფედერაციასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა გაუკეთოს;

ასევე, სახელმწიფო კომისიამ ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა საფეხბურთო აკადემიების დაარსებისა და მათი განვითარების სრულყოფილი გეგმაც უნდა წარადგინოს, რომელიც უეფას, ფედერაციისა და სახელმწიფოს ერთობლივი პროექტი იქნება...

**კობა ინასარიძე**

## დაგვიანებული პასუხი

# რევაზ ძოძუაშვილი: გვჭირდებოდა და ამიტომაც ვცვლიდი!

**4 აპრილს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა 2010/11 და 2012/13 წლების სეზონების მატჩების შესახებ უეფას პატაკები და ხუთი გუნდი დასაჯა. მაშინვე ითქვა, რომ წინ გაცილებით მნიშვნელოვანი და სკანდალური ამბები გველოდა. მაგრამ ჯერჯერობით, როგორც იტყვიან - „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. გუნდებმა სეზონი ისე მშვიდად დაასრულეს, თითქოს არც არაფერი მომხდარა...**

**მხოლოდ „ტორპედოზე“ გავრცელდა ხმები, თითქოს ქუთაისური კლუბი გარიგებულ მატჩებში იყო შემჩნეული - ეჭვები გუნდის მთავარი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის მიერ საქართველოს ჩემპიონატისა თუ თასის 6 შეხვედრის პირველ ტაიმებში განხორციელებულმა შეცვლებმა გამოიწვიაო.**

**ამ თემაზე რევაზ ძოძუაშვილმა კომენტარი მხოლოდ ახლა გააკეთა. მან „ლელოს“ რამდენიმე კითხვას უპასუხა:**

**- ითქვა, რომ უეფას რაპორტში ქუთაისის „ტორპედოს“ მიერ ჩატარებული რამდენიმე შეხვედრა მოხვდა...**

- არ ვიცი, ასეთ ჭორებს რატომ ავრცელებენ. მეეჭვება, რომელიმე ფეხბურთის მცოდნემ თქვას, რომ პირველ ტაიმში შეცვლების გაკეთება დაუშვებელი და კრიმინალია. როცა მატჩის მსვლელობა ამას მკარნახობს, ფეხბურთელს აუცილებლად შევცვლი მაშინ, როცა ამის საჭიროებას დავინახავ და არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის, რადგან ფეხბურთს საკუთარი წესები აქვს.

**- დავაზუსტოთ, რომ აქ ლაპარაკია არა ვინმეს ეჭვებზე, არამედ, უეფას პატაკებზე...**

- მე ყველა კონკრეტულ შემთხვევა-



რევაზ ძოძუაშვილი
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ზე მაქვს პასუხი, „ჩიხურასთანაც“ გვჭირდებოდა შეცვლა, „დილასთანაც“ და სხვა დანარჩენ ოთხ შეხვედრაშიც, რაც გარიგებულად გამოაცხადეს. დავდებთ ფირებს და ყველა დაინტერესებულ ადამიანს ვაჩვენებთ, რომ ზოგ შემთხვევაში მოთამაშე დაშავდა, ზოგჯერ სუსტად ითამაშა და ამ ყველაფერს გულხელდაკრეფილი ვერ შევხედავდი. მე ყველაზე კარგად მესმის, რამხელა გულისტკივილს ვაყენებ მე-20 წუთზე შეცვლით მოთამაშეს. მაგრამ ისიც კარგად მესმოდა, რომ ეს მოსაგებად გვჭირდებოდა. „ტორპედო“ ისეთ დღეში ჩავიბარე, რევერანსების დრო და უფლება არ მქონდა, გუნდი უნდა გადაგვერჩინა. დროა, ჭორ-მართალი ერთმანეთისგან გაიმიჯნოს.

**- ამას როგორ აპირებთ?**

- თავად ვარ დაინტერესებული, შეიქმნას კომისია, რომელიც საეჭვო თამაშებს გაარჩევს და მეც ყველა კითხვას პასუხს გავცემ. ჩემი აზრით, საუკეთესო გზა იქნება, ორგანიზება გავუკეთოთ შეკრებას, სადაც მსგავსი საკითხები საჯაროდ გაირკვევა. მოვიდნენ ტელევიზიები, გადასცენ პირდაპირ ეთერში და ხალხი ყველაფერს გაიგებს. იმის მტკიცება, რატომ ვცვლი მოთამაშეს მაშინ, როცა ასეა საჭირო, დიდი უაზრობაა. დაინტერესებულ ხალხს ყველაფერს დავუსაბუთებ, კითხვის ავტორი კი სამარცხვინოდ გამოჩნდება. ვის აქვს უფლება, მწვრთნელს უბრძანოს, რომ მოთამაშე მხოლოდ ბოლო 10 წუთში გამოცვალოს?! იცით, ეს ყველაფერი რას მაგონებს? შენ იმიტომ ხარ დამნაშავე, რომ ცხვარი ხარ და მე მგელიო.

**მერაბ მამულაშვილი**

## U19

# ჯერ საქართველო, მერე საკუთარი თავი

**გუშინ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გერმანიაში გაემგზავრა. გუნდი უკვე იქაურ საკურორტო ქალაქ გარმიშპატერკირხენშია დაბანაკებული და ელიტრაუნდისთვის ემზადება, 25 მაისიდან კი ოფიციალურ შეხვედრებსაც გამართავს. „ლელო“ გუნდის რამდენიმე მოთამაშეს გაესაუბრა...**

### მათე ცინცაძე,

დინამოს ნახევარმცველი

**- თუ 17-წლამდელებში ელიტრაუნდში მოხვედრა წარმატებად ჩაგითვალეს, ახლა გულშემატკივარს ამბიცია გაუჩნდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას ითხოვს. ასეთი წნეხი ნეგატიურად ხომ არ მოქმედებს გუნდზე?**

- ეს მოლოდინი გუნდის წარმატებულმა გამოსვლამ შექმნა. 17-წლამდელთა მთელი ციკლი კარგად გავიარეთ, 19-წლამდელების შესარჩევი ეტაპიც ასევე კარგად დავიწყეთ, ჰოლანდიასაც მოვუგეთ... არ მიკვირს, რომ ახლა გულშემატკივარი ჩვენგან მეტს ელის. ამიტომ, 100 პროცენტით უნდა დავიხარჯოთ იმისთვის, რომ კვლავ წარმატებას მივაღწიოთ და კარგად წარმოვაჩინოთ - ჯერ საქართველო, მერე საკუთარი თავი. ამ კუთხით, ეს ელიტრაუნდი თითოეული ჩვენგანისთვის გადამწყვეტი ტურნირია.

**- წლეულს, რაც „დინამოში“ გადახვედით, საკმაოდ ბევრი შეხვედრა ჩაატარეთ და ხშირად ძირითად შემადგენლობაშიც ხვდებოდით. თქვენს ასაკში კი პრაქტიკა აუცილებელია...**

- რა თქმა უნდა, ჩემპიონატის თამაშებში საკმაოდ დიდი გამოცდილება შევიძინე. ფეხბურთელი ასე იზრდება და უფრო თავდაჯერებულიც ხდება. იმედი მაქვს, ამ გამოცდილებით ნაკრებს უფრო გამოვადგები.

### ლუკა ზარანდია,

თბილისის ლოკომოტივის თავდამსხმელი

**- შვეიცარიაში რა იმედებით მიდიხარ?**

- იმის იმედით, რომ საკუთარ თავს მეტს მოვთხოვთ, რადგან ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ჩვენი ნაკრებები უკვე ორჯერ გავიდნენ, მათ შორის - ამ თაობის გუნდიც, შესაბამისად, ჩვენგან მეტს ელიან.

**- თქვენი აზრით, რომელი ნაკრებია ჯგუფის ფავორიტი?**

- ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერად ჩვენ ვითვლებით, რადგან პირველი კალათიდან მოვხვდით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, შვეიცარია ცუდი გუნდი არ იქნება, პლუს ამას, მასპინძელია და ცხადია, სერიოზული ამბიციაც აქვს. ჩვენმა მწვრთნელებმა მათი თამაშების ჩანაწერები ნახეს. მოკლედ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეთ.

**- ეს ტურნირი ქვეყნის წარმოსაჩენად კარგი ასპარეზია და თითოეულ თქვენგანსაც უჩნდება შანსი, რომელიმე ევროპულ კლუბს მოაწონოს თავი...**

- უპირველეს ყოვლისა, ჩვენ იმაზე ვფიქრობთ, რომ ნაკრებმა წარმატებით ითამაშოს. როცა გუნდი ძლიერია, მისი მოთამაშეებითაც დაინტერესდებიან.

**- ზამთარში მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „პსვ ეინდჰოვენში“ რომ ისინჯებოდით, იქიდან რა პასუხით წამოხვედით?**

- ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. „ეინდჰოვენთან“ კონტაქტი კიდევ მაქვს. ვნახავ, რა და როგორ იქნება. ძველი ვარიანტებიდანაც არის რაღაცები, მაგრამ, იქნებ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ უკეთესი გუნდი გამოჩნდეს?..

„ლელო“ უკვე წერდა, რომ ავსტრიის ბუნდესლიგის კლუბ გრაცის „შტურმის“ დუბლშემადგენლობაში გორის „დილა 2-ისა“ და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი **ილია კერძევაძე** ისინჯებოდა. **ვასილ მაისურაძის** გუნდი 14 მაისს გერმანიაში გაემგზავრა, ოღონდ - კერძევაძის გარეშე. გუშინ კი ფეხბურთელმა გვითხრა, რომ უკვე გუნდთან ერთადაა.

*„ავსტრიაში 29 მაისს წავედი და „შტურმში“ ერთი კვირის განმავლობაში ვვარჯიშობდი. ჩემი ამბავი მალე გადაწყდება. ახლა კი უკვე ნაკრებში ვარ. ძალიან კარგ გარემოში მოვხვდით. საერთოდ, სადაც ვყოფილვართ, ნაკრები ყოველთვის კარგ პირობებში ემზადებოდა“,* - ამბობს კერძევაძე.

18 წლის თავდამსხმელს ელიტრაუნდში საქართველოს 19-წლამდელთა შანსებზეც ვკითხეთ:

*„რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი გვაქვს. მთავარია, პირველი თამაშისთვის კარგად მოვემზადოთ. ჩემი აზრით, ფავორიტები საქართველო და შვეიცარია იქნებიან. ეს გუნდი საკუთარ კედლებში თამაშობს, ძლიერიცაა და მასთან მძიმე თამაში გველის“.*

**მერაბ მამულაშვილი**



მათე ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. იტალიის ნაკრები


ანტონიო კასანო და მარიო ბალოტელი თანაგუნდელებს არ მოაწყენენ

# პრანდელის მცირე სიურპრიზები

## კასანო – კი, ოსვალდო – არა

**იტალიის** ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ იმ 30 ფეხბურთელის გვარი დაასახელა, საიდანაც შემდეგ მუნდიალზე გასამგზავრებელ 23-კაციან სიას შეადგენს. მოკლედ, ჩვენ უკვე ვიცით „სკუადრა აძურას“ გაფართოებული შემადგენლობა და რა გასაკვირია, რომ აპენინურ სპორტულ პრესაში ეს ამბავი ყველაზე აქტუალურია. მივყვეთ რგოლების მიხედვით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ პრანდელის სიას და იმათზეც ვთქვათ, ვინც თამაშგარეში დარჩა...

**მეკარეები:**

**ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **სალვატორე სირიგუ** (პსჟ, საფრანგეთი), **მატია პერინი** (ჯენოა).

**სიის მიღმა დარჩნენ: ფედერიკო მარკეტი** (ლაციო), **ანტონიო მირანტე** (პარმა), **სიმონე სკუფეტი** (უდინეზე), **მიკაელ აგაცი** (კიევო).

მას შემდეგ, რაც **მორგან დე სანქტისმა** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, იტალიის უმთავრეს გუნდში გოლკიპერთათვის განკუთვნილი სამი ადგილიდან ერთი განთავისუფლდა. ერთ დროს, ფედერიკო მარკეტის პოზიციები მყარი იყო, მაგრამ მიმდინარე სეზონში თვით „ლაციოს“ სასტარტო შემადგენლობაში დაკარგა ადგილი და მისი ნაკრებიდან ამოვარდნა არ უნდა გაგვიკვირდეს.

ერთი ხანობა, სიმონე სკუფეტს უწინასწარმეტყველებდნენ მუნდიალზე გამგზავრებას, მაგრამ **ჩეზარე პრანდელიმ** 17 წლის პერსპექტიული მეკარე ზედმეტად აღარ დატვირთა და რთული სეზონის შემდეგ, დასვენებების საშუალებას მისცემს. მოკლედ, არჩევანი მატია პერინზე შეჩერდა, კიდევ ერთ ძალიან ნიჭიერ და ახალგაზრდა მეკარეზე.

**მცველები:**

**ინაციო აბატე** (მილანი), **მატია დე შილიო** (მილანი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **ანდრეა ბარცალი** (იუვენტუსი), **ლეონარდო ბონუჩი** (იუვენტუსი), **კრისტიან მაჯო** (ნაპოლი), **გაბრიელ პალეტა** (პარმა), **ანდრეა რანოკია** (ინტერი), **მანუელ პასკუალი** (ფიორენტინა), **მატეო დარმიანი** (ტორინო).

**სიის მიღმა დარჩნენ: დომენიკო კრიშიტო** (ზენიტი, რუსეთი), **ფედერიკო ბალცარეტი** (რომა), **ლუკა ანტონელი** (ჯენოა), **დავიდე ასტორი** (კალიარი), **ანჯელო ოგბონა** (იუვენტუსი).

ჩეზარე პრანდელიმ მცველთა გაფართოებულ სიაში ათი ფეხბურთელი შეიყვანა, საიდანაც ალბათ შვიდს დატოვებს. ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ განაცხადში მანუელ პასკუალი მოხვდებოდა, რადგან შესანიშნავი სეზონის მიუხედავად, ფლორენციელს „აძურას“ დამრიგებელი აქამდე არ სწყალობდა. საერთოდ, სიურპრიზი იყო მატეო დარმიანის ხმობა, რომელიც „ტორინოს“ დაცვის ბურჯი კია, მაგრამ ეროვნულ გუნდში არასდროს უასპარეზია. მოსალოდნელი იყო გაბრიელ პალეტას გამოძახება, ალარაფერს ვამბობთ „მილანისტებსა“ და „იუვენტინოებზე“. კრისტიან მაჯოს აშკარად ჩაუვარდა სეზონი, მაგრამ პრანდელი მას იმდენად ენდობა რომ გაფართოებულ შემადგენლობაში მაინც შეიყვანა.

რომელი სამი ფეხბურთელი შეიძლება დარჩეს საბოლოო განაცხადს მიღმა? - იტალიელი სპორტული ჟურნალისტები ფსონს დარმიანზე, რანოკიასა და პასკუალზე ჩამოდიან, თუმცა ნაწილი სახლში დარჩენას მაჯოს უწინასწარმეტყველებს.

რაც შეეხებათ მუნდიალს მიღმა უკვე დარჩენილ მცველებს – დავიდე ასტორი და დომენიკო კრიშიტო უნდა გამოვარჩიოთ. ასტორი მუდმივად იყო ნაკრების განაცხადში და ბარცალი-ბონუჩი-კიელინის მთავარ ალტერნატივად მიიჩნეოდა, მაგრამ მიმდინარე სეზონში მკვეთრად დათმო პოზიცია. რაც შეეხება კრიშიტოს, სჯობს სიტყვა მას გადავცეთ:

*„სიის მიღმა რომ აღმოვჩნდი, ამის შესახებ ტელევიზიიდან შევიტყვე და სიმართლე გითხრათ, შოკი მივიღე. ეროვნული გუნდის წინა შეკრებაზე ვიყავი და მჯეროდა, რომ მუნდიალზე აუცილებლად ვითამაშებდი. ევროპის ჩემპიონატის განაცხადიდან რომ ამომიღეს, ძალიან განვიცადე, მაგრამ ეს კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა - არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა ასე პრანდელიმ“.*

**ნახევარმცველები:**

**ალბერტო აკვილანი** (ფიორენტინა), **ანტონიო კანდრევა** (ლაციო), **დანიელე დე როსი** (რომა), **კლაუდიო მარკიზიო** (იუვენტუსი), **ანდრეა პირლო** (იუვენტუსი), **რიკარდო მონტოლივო** (მილანი), **ტიაგო მოტა** (პსჟ, საფრანგეთი), **მარკო ვერატი** (პსჟ, საფრანგეთი), **მარკო პაროლო** (პარმა), **რომულო** (ვერონა).

**სიის მიღმა დარჩნენ: ემანუელე ჯაკერინი** (სანდერლენდი, ინგლისი), **ალესანდრო დიამანტი** (გუანჯოუ, ჩინეთი), **ალესანდრო ფლორენცი** (რომა), **ანდრეა პოლი** (მილანი), **ჯაკომო ბონავენტურა** (ატალანტა).

ნახევარდაცვაშიც ათი ფეხბურთელია, საიოდანაც „ოფსაიდში“ ალბათ ორი დარჩება. აქედანვე ვთქვათ, რომ იტალიელი ჟურნალისტები ორ აუტსაიდერს ამ სამეულში ეძებენ: აკვილანი, რომულო, პაროლო. ამ უკანასკნელმა ამხანაგურ შეხვედრაში თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინა, მაგრამ ერთი თამაში ნაკრებში მყარად დასამკვიდრებლად საკმარისი მაინც არაა. რაც შეეხება აკვილანის, შესანიშნავი სეზონის მიუხედავად, ბევრი მის გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვედრასაც არ ელოდა, რადგან პრანდელი მას იშვიათად იძახებდა. რომულო სოუზა „სკუადრა აძურაში“ ახალი სახეა და მართალია, ჩეზარემ ის დადებითად დაახასიათა, დიდი შანსია, 23-კაციან სიაში არ დატოვოს.

მუნდიალს მიღმა დარჩენილებიდან ალესანდრო ფლორენცი და ემანუელე ჯაკერინი უნდა გამოვარჩიოთ - პირველს მშვენიერი სეზონი ჰქონდა და „რომას“ წარმატებებში წონადი წვლილიც მიუძღვის, მეორეს კი სენიორ ჩეზარე ძალიან ენდობოდა და ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ გაფართოებულ სიაშიც ვერ მოხვდებოდა. ჯაკერინის პრანდელი ეფექტურად იყენებდა - სხვადასხვა პოზიციებზე ათამაშებდა და მისი განირვა თავად ფეხბურთელსაც გაუკვირდა:

*„კარგად მესმის, რომ საუკეთესო სეზონი არ მაქვს, მაგრამ ნაკრებს მიღმა დატოვებას მაინც არ ველოდი. პრანდელიმ იცის ჩემი შესაძლებლობები და ისიც იცის, რომ „აძურაში“ სულ სხვა მოტივაციით ვთამაშობ. რას ვიზამთ, მინდა იტალიის უმთავრეს გუნდს წარმატება ვუსურვო“.*

ბევრი იმშვიდა თავი ალესანდრო დიამანტიმ, რომ ჩინეთში გადაბარგება მის სანაკრებო პერსპექტივას საფრთხეს არ შეუქმნიდა, მაგრამ მისი იმედები ფუჭი გამოდგა. სიის მიღმაა ანდრეა პოლი „მილანიდან“, თუმცა მისი შანსები ისედაც მიზერული იყო.

**თავდამსხმელები:**

**მარიო ბალოტელი** (მილანი), **ანტონიო კასანო** (პარმა), **ალესიო ჩერჩი** (ტორინო), **ჩირო იმობილე** (ტორინო), **მატია დესტრო** (რომა), **ლორენცო ინსინიე** (ნაპოლი), **ჯუზეპე როსი** (ფიორენტინა).

**სიის მიღმა დარჩნენ: პაბლო დანიელ ოსვალდო** (იუვენტუსი), **ალბერტო ჯილარდინო** (ჯენოა), **ლუკა ტონი** (ვერონა), **სებასტიან ჯოვინკო** (იუვენტუსი).

ოფსაიდში დარჩენილ ფეხბურთელთა სიის კიდევ უფრო გავრცობა შეიძლება, თუმცა ამ ოთხეულის შანსები სხვებზე ძვირად ფასობდა. მიუხედავად გულშემატკივართა დიდი სურვილისა, **ფრანჩესკო ტოტის** და **ანტონიო დი ნატალეს** კანდიდატურებს ჩეზარე პრანდელი არც კი განიხილავდა. ალარაფერს ვამბობთ ისეთ ფორვარდებზე, როგორებიც არიან **ფაბიო კვალიარელა, ალესანდრო მატრი, ჯამპაოლო პაცინი** და **სტეფან ელ შაარავი**, რომელიც იტალიური ფეხბურთის იმედია და სამომავლოდ მას კიდევ მიეცემა „აძურაში“ ასპარეზობის შანსი...

განაცხადს მიღმა დარჩენა ძალიან განიცადა პაბლო ოსვალდომ და ეს არც ჟურნალისტებთან დაუმალავს. „იუვენტინოს“ კარგი სეზონი ნამდვილად არ ჰქონია, მაგრამ მის იგნორს მაინც ცოტა თუ ელოდა - ოსვალდოს პრანდელი მუდმივად იძახებდა შესარჩევ ეტაპზე თუ ამხანაგურ პაექრობებში. ბევრმა გამოიტირა ლუკა ტონი, რომელსაც მიმდინარე სეზონში 20 გოლი აქვს გატანილი და სერია A-ს ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა. გოლს პლუს პასის სისტემით ვეტერანი ფორვარდი სულაც პირველ ადგილზეა. პრანდელიმ არც ალბერტო ჯილარდინო დაინდო, რომელიც მის ფავორიტ ფეხბურთელად მიიჩნევა.

სამაგიეროდ, გამართლდა პროგნოზი ანტონიო კასანოს შესახებ, რომელიც გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა და როგორც იტალიელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, 23-კაციან სიაშიც იქნება. „გაძეტა დელო სპორტის“ პროგნოზით, საბოლოო განაცხადში დარჩებიან მარიო ბალოტელი და ჩირო იმობილე, აი დანარჩენებიდან კი მწვრთნელს ორი მოთამაშის გაცხრილვა მოუწევს. თუ ჯუზეპე როსი საერთოდ არ არის ამოვარდნილი კალაპოტიდან, ბრაზილიაში აუცილებლად გაემგზავრება, მატია დესტროს, ალესიო ჩერჩის და ლორენცო ინსინიეს შანსები კი დაახლოებით თანაბარია. ვნახოთ, როგორი იქნება პრანდელის საბოლოო სია.

მილანი

# 15 წლის ტალანტის დებიუტი

„მილანის“ ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სერია A-ს მიმდინარე გათამაშების უკანასკნელ ტურში „როსონერის“ ღირსება შესაძლოა, **ჰაშიმ მასტურმა** დაიცვას. აქვე ვთქვათ, რომ ჰაშიმი მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება და მასზე აქედანვე უდიდეს იმედებს ამყარებენ. ინტერნეტ სივრცეში არაერთი ვიდეო კლიპია გავრცელებული, რომელიც მასტურის ბრწყინვალე ასპარეზობას, უბადლო ტექნიკას და ულამაზეს გოლებს ასახავს.

წესდების თანახმად, სერია A-ში ასპარეზობა 16 წლამდე ფეხბურთელს არ შეუძლია, მაგრამ როგორც „მილანის“ მესვეურები აცხადებენ, ჰაშიმის შემთხვევაში შესაძლოა გამონაკლისი დაუშვან. მასტური 15 წლის და 10 თვისაა - თუ „ლეგა კალჩომ“ სიტყვიერი შეთანხმება არ დაარღვია, უქმეებამდე შესაბამის დოკუმენტს ხელი მოეწერება და „მილანი“-„სასუოლოს“ შეხვედრაში ახალგაზრდა ტალანტსაც ვიხილავთ. ცნობისთვის, აქამდე „მილანში“ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი **პაოლო მალდინი** იყო, რომელმაც მთავარ გუნდში 16 წლისამ იასპარეზა. მასტური არაბული წარმოშობის იტალიელია და „აძურას“ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში არა ერთი მატჩი აქვს ჩატარებული.



ჰაშიმ მასტური

სავარაუდო ტრანსფერი

# რა ბედი ელის მატრის?

**ალესანდრო მატრიმ** მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი „მილანში“ გაატარა, ზამთარში კი ფლორენციაში გადაბარგდა და „ფიორენტინას“ მაისურა მოირგო. მთლიანობაში, 29 წლის ფორვარდმა 29 მატჩი გამართა და მხოლოდ 5 გოლი გაიტანა, რაც კარგ შედეგად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. მატრის საიჯარო ხელშეკრულება მალე დასრულდება, „ფიორენტინას“ მესვეურები კი მის გამოსყიდვას არ ჩქარობენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ალესანდრო „ვიოლას“ ბევრი ვერაფერში დაეხმარა. მატრის დაბრუნების დიდი სურვილი არც „როსონერის“ მესვეურებს უნდა ჰქონდეთ და ისეთი პირი უჩანს, რომ ფორვარდს სადმე სხვა გუნდში მოუწევს კარიერის გაგრძელება. ამას თავად ფეხბურთელიც კარგად აცნობიერებს, მაგრამ ვერ მალავს, რომ „ფიორეში“ დარჩენა სურს:

*„სანყენია, რომ შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა ვერ შევძელი და ფლორენციელ გულშემატკივრებს თავი საუკეთესო კუთხით ვერ დავამახსოვრე. ყველაზე უფრო მაინც იმაზე მწყდება გული, რომ ბრწყინვალე სეზონის მიუხედავად, ვერც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ და ვერც თასს დავეუფლეთ. ვიტოვებ იმედს, რომ მომდევნო სეზონსაც „ვიოლაში“ გავატარებ, მაგრამ კარგად მესმის, რომ ეს მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. ჩემი სატრანსფერო უფლებები „მილანს“ ეკუთვნის და უპირველესად, სწორედ ლომბარდიული გრანდის მესვეურებთან მომიწევს დალაპარაკება“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**


ალესანდრო მატრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა ციფრებში

# გამომშვიდობება და თასის სპეციალისტი

**კვირის** დღევანდელ მიმოხილვაში ხავიერ ძანეტის და ხუან სებასტიან ვერონის ბოლო საშინაო შეხვედრებზე, რობერტ ლევანდოვსკის ბომბარდირობაზე და „საპრისას", „მანჩესტერ სიტი" და „გალათასარაის" ტიტულებზე ვისაუბრებთ...


ხავიერ ძანეტი

**857** - მატჩი აქვს ჩატარებული „ინტერის" შემადგენლობაში **ხავიერ ძანეტის**, რომელიც „სან სიროს" შაბათს გამოემშვიდობა. 40 წლის არგენტინელი მილანური კლუბის ღირსებას 1995 წლიდან იცავს და ამ პერიოდში, სერია A-ს ეგიდით „ნერაძურის" ფორმა 614-ჯერ მოირგო. იტალიის ჩემპიონატის ისტორიაში, მასზე მეტი მატჩი მხოლოდ **პაოლო მალდინის** აქვს ჩატარებული - 647. ლეგენდის მოედანზე ყოფნა „ინტერს" 4-მატჩიანი მოუგებელი სერიის დასრულებაში დაეხმარა - **ვალტერ მაცარის** შეგირდებმა „ლაციოს" 4:1 მოუგეს, **მატია კოვაჩიჩი** კი გახდა პირველი ფეხბურთელი ამ სეზონში, ვინც ერთ შეხვედრაში სამი საგოლე პასი გააკეთა.

გაიხარეს „იუვენტუსის" გულშემატკივრებმაც. მათმა საყვარელმა გუნდმა „რომას" მოუგო, 99 ქულა მოაგროვა და სერია A-ს ახალი რეკორდი დაამყარა. აქამდე, საუკეთესო შედეგი „ინტერს" ეკუთვნოდა, რომელმაც **რობერტო მანჩინის** ხელმძღვანელობით, 2006/07 წლების სეზონი 97 ქულით დაასრულა.

**500** - მატჩიან ნიშნულს მიაღწია შაბათს საკლუბო ფეხბურთში **ხუან სებასტიან ვერონმა**, როდესაც „ესტუდიანტესის" რიგებში ბოლო საშინაო მატჩი ჩაატარა. „სტუდენტებმა" „სან ლორენსოს" 3:0 მოუგეს და არგენტინის ჩემპიონატში დროებით გალიდერდნენ, თუმცა „რივერის" გამარჯვების შემდეგ, მეორე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. ბოლო ტურის წინ, 38 წლის ნახევარმცველის გუნდი ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება და გაჩემპიონების შანსს ინარჩუნებს.

კარიერის განმავლობაში, ბოლო საშინაო მატჩი გამართა **გაბრიელ ჰაინცემაც** და თანამემამულეების მსგავსად, ეს მოვლენა მისმა გუნდმაც გამარჯვებით აღნიშნა - „ნიუელს ოლდ ბოისმა" „ოლ ბოისს" 4:2 მოუგო.

**102** - გოლი გაიტანა „მანჩესტერ სიტიმ" ინგლისის წლევანდელ ჩემპიონატში და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ამაზე მეტი ბურთი „ქალაქელებმა" ბოლოს 56 წლის წინ, 1957/58 წლების სეზონში გაიტანეს, თუმცა „ჩელსის" პრემიერლიგური რეკორდი (103 გოლი) მაინც ხელუხლებელი დარჩა.

**100**-ზე მეტი გოლი გაიტანა „ლივერპულმაც" (101). ეს იყო პირველი შემთხვევა, 1960/61 წლების სეზონის შემდეგ, როდესაც 100-გოლიანი ბარიერი ორმა გუნდმა გადალახა. მაშინ, ეს ერთბაშად სამმა კლუბმა გააკეთა: „ტოტენჰემმა" (115), „ვულვერჰემპტონმა" (103) და „ბარნლიმ" (102).

„სიტის" მთავარი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** გახდა ისტორიაში პირველი არაევროპელი, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატი მოიგო. „ქალაქელებმა" მეტოქის, „მანჩესტერ იუნაიტედის" ჩავარდნითაც გაიხარეს. „წითელმა ეშმაკებმა" რამდენიმე საკლუბო ანტირეკორდი დაამყარეს. პრემიერლიგის დაარსებიდან დღემდე, ასე ცოტა ქულა (64), მოგება (19) და ამდენი მარცხი (12) „იუნაიტედს" არასდროს ჰქონია.

**30** - გზის ჩემპიონია „საპრისა", რომელმაც არა მხოლოდ კოსტა რიკის, არამედ კონტინენტის რეკორდიც დაამყარა. ქალაქ სან ხოსეს გუნდი გახდა პირველი კლუბი ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში, რომელმაც 30 საჩემპიონო ტიტული მოიპოვა. მისი მდევრები თანამემამულე „ალახუელენსე", გუატემალური „მუნისიპალი" (ორივეს 29 ტიტული აქვს) და ჰონდურასული „ოლიმპია" (28) არიან.

„კლაუსურას" ფინალში, „საპრისამ" სწორედ „ალახუელენსეს" სძლია - 1:0 ორი მატჩის ჯამში. აღსანიშნავია, რომ აქამდე „საპრისა" ზედიზედ შვიდ ჩემპიონატში ვერ ახერხებდა გამარჯვების მოპოვებას.

**20** - გოლი გაიტანა **რობერტ ლევანდოვსკიმ** და ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი პოლონელი ბომბარდირი გახდა. დორტმუნდის „ბორუსიას" ფორვარდმა ერთ სეზონში 20 ან მეტი გოლის გატანა ზედიზედ მესამედ შეძლო და საუკეთესო სნაიპერი სწორედ მაშინ გახდა, როდესაც ამ სამიდან ყველაზე ცუდი შედეგი დააფიქსირა.

ლევანდოვსკიმ, 2011/12 წლების ჩემპიონატში თავი 22-ჯერ გამოიჩინა, მაგრამ ბომბარდირის წოდება **კლაას-იან ჰუნტელაარმა** მოიპოვა, ვინც მეტოქეთა კარი 29-ჯერ აილო. 2012/13 წლების სეზონში კი პოლონელის ანგარიშზე 24 ბურთი იყო, მაგრამ მას **შტეფან კისლინგმა** (25) აჯობა. ბოლო ტურში, მიუნხენის „ბაიერნის" მომავალმა ფეხბურთელმა სეზონში მეოთხე დუბლი შეასრულა. ერთ-ერთი გოლი გამორჩეული იყო იმით, რომ ბუნდესლიგაში ჩატარებულ 131-ე შეხვედრაში, ლევანდოვსკიმ პირველად მოახერხა გოლის ჯარიმიდან გატანა.

ცუდ ხასიათზე იყვნენ ნიურნბერგში. მათ, საყვარელი გუნდი დამარცხდა და ბუნდესლიგიდან ისტორიაში მერვედ გავარდა, რაც ამ ტურნირის ყველა დროის რეკორდია.

**5** - კლუბს აქვს სამ სხვადასხვა ქვეყანაში რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით თასი მოპოვებული, მას შემდეგ, რაც ოთხშაბათს მისმა „გალათასარაიმ" თურქეთის თასის ფინალში „ესქიშეჰირსფორს" სძლია. იტალიელმა სპეციალისტმა, ქვეყნის თასი „გალას" გარდა, „მანჩესტერ სიტის" „ინტერს" (2-ჯერ), „ლაციოს" და „ფიორენტინას" მოაგებინა. მანჩინი მართლაც თასების სპეციალისტია, რადგან სამწვრთნელო კარიერის დაწყების შემდეგ (2002 წელი), მის მიერ გაწვრთნილი გუნდი, ქვეყნის თასის გათამაშების მინიმუმ 1/2 ფინალში მაინც გადის. ფეხბურთელობისას კი მანჩინიმ იტალიის თასი 6-ჯერ (4-ჯერ „სამპდორიაში", 2-ჯერ „ლაციოში") მოიგო, რაც დღემდე რეკორდია.

„გალათასარაიმ" თურქეთის თასი 9-წლიანი პაუზის შემდეგ, ისტორიაში მე-15-ედ მოიგო. ამ მხრივ, „გალა" ქვეყნის რეკორდსმენია - მეორე ადგილზე მყოფ „ბეშიქთაშს" თასი 9-ჯერ აქვს მოპოვებული.

მუნდიალი 2014. არგენტინის ნაკრები


როგორც მოსალოდნელი იყო, ტევესი მუნდიალზე არ იქნება

# ალეხანდრო საბელიას მოსალოდნელი სია

**როგორც** მოსალოდნელი იყო, **კარლოს ტევესი** არგენტინის ნაკრების 30-კაციან სიაში ვერ მოხვდა, სამაგიეროდ, ბევრს გაუკვირდა **მარტინ დემიკელისის** გამოჩენა, რომელმაც ეროვნულ გუნდში ბოლოს 2011 წელს ითამაშა - „მანჩესტერ სიტის" ვეტერანმა მცველმა სეზონის მეორე ნახევარი მაღალ დონეზე ჩაატარა და ნაკრების მწვრთნელის ყურადღებაც დაიმსახურა, მაგრამ ტევისის მიერ სერია A-ში გატანილი 19 გოლი და არგენტინის ნაკრების გულშემატკივართა მიერ შეგროვებული ხელმოწერები საკმარისი არ აღმოჩნდა.

საბელიამ 30-კაციან წინასწარ განაცხადში ის მოთამაშეები შეიყვანა, ვისაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ენდობოდა, ამიტომ დემიკელისის და **მერკადოს** გარდა, სიურპრიზს ადგილი არ ჰქონია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ განაცხადს მიღმა გამორჩეული ფეხბურთელები არ დარჩნენ.

მოდი, პოზიციების მიხედვით მივყვეთ:

### მეკარეები

ის, რომ მუნდიალზე **რომერო, ანხუდარი** და **ორიონი** წავიდოდნენ, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო ცნობილი. საბელია უპირატესობას არა კონკრეტული ფეხბურთელის სათამაშო ფორმას, არამედ ნაცნობობას ანიჭებს. გუნდის ბირთვი მან დიდი ხნის წინ ჩამოაყალიბა და მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმაშია ესა თუ ის მოთამაშე, თუ ეს კონკრეტული ფეხბურთელი ამ ბირთვში თავიდანვე ვერ მოხვდა, მისი ნაკრებში გამოჩენის შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლია.

სწორედ ამ მიზეზით ვერ მოხვდა განაცხადში **ვილი კაბალიერო**, რომელიც ბოლო ორი წელია, ლა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე და „მალაგას" ლიდერია. ასევე, შეიძლება **ხულიან სპერონის** დასახელებაც, რომელიც „კრისტალ პალასის" ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. სამაგიეროდ, ნაკრებში არიან რომერო, რომელმაც მთელი სეზონი „მონაკოს" სათადარიგოთა სკამზე გაატარა (2 თამაში ლიგა 1-ში) და ანდუხარი, რომლის „კატანიაც" სერია B-ში გავარდა.

### მცველები

**საბალეტა-ფედე ფერნანდესი-გარაი-როხო** - დიდი ალბათობით, სწორედ ასეთი იქნება ნაკრების ძირითადი შემადგენლობა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაფართოებულ სიაში მოხვდნენ **ხოსე ბასანტა, ლისანდრო ლოპესი, უგო კამპანიარო**, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ეს სეზონი არც ისე კარგად ჩაატარა და **ნიკოლას ოტამენდი**.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მარტინ დემიკელისის და გაბრიელ მერკადოს გამოჩენას ბევრი არ ელოდა.

განაცხადში კი ვერ მოხვდნენ: **გონსალო როდრიგესი**, ვინც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, მაგრამ ამ პერიოდში მას ნაკრებში ერთხელაც არ უთამაშია.

**მატეო მუსაჩიო** და **ფედერიკო ფასიო** - ლა ლიგის გამორჩეული მცველები. მათაც, გონსალოს მსგავსად, ეროვნულ გუნდში საბელიას ხელში ერთხელაც არ უთამაშიათ.

ასევე, **ფაბრისიო კოლოჩინი, ფაკუნდო რონკალია, ლუკას ორბანი, ნიკოლას პარეხა, სანტიაგო ვერხინი** და სხვა.

### ნახევარმცველები

ბევრი ჟურნალისტი გამოთქვამდა იმედს, რომ **ფერნანდო გაგოს** ტრავმის გამო (ჯერ არაა ცნობილი მუნდიალამდე გამოჯანმრთელდება თუ არა), საბელია განაცხადში **ესტებან კამბიასოს** შეიყვანდა, მაგრამ „ინტერის" ერთ-ერთი ლიდერი, ზედიზედ მეორედ, მუნდიალის გარეშე დარჩა. სამაგიეროდ, განაცხადშია **ფაბიან რინაუდო**...

სხვათა შორის, რინაუდო საბელიამ პირველად მაშინ მიიწვია, როდესაც 26 წლის ფეხბურთელი ლისაბონის „სპორტინგის" დუბლებში თამაშობდა, ძირითად გუნდში კი მის ანგარიშზე იმ სეზონში სულ 3 თამაში იყო...

განაცხადში ვერ მოხვდნენ: **კლაუდიო იაკობი, ედუარდო სალვიო, ერიკ ლამელა, ხავიერ პასტორე...**

### თავდამსხმელები

**ფრანკო დი სანტოს** გაფართოებულ სიაში მოხვედრა მოულოდნელი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება - არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალეხანდრო საბელია გახლავთ... წესით, „ვერდერის" ფორვარდი, რომელმაც ბოლო 5 სეზონში, პრემიერლიგასა და ბუნდესლიგაში ჩატარებულ 137 შეხვედრაში სულ 18 გოლი გაიტანა (ამ სეზონში: 23 თამაში, 4 გოლი), 23-კაციან, საბოლოო სიაში არ უნდა მოხვდეს, მაგრამ საბელიას რას გაუგებ...

განაცხადში ვერ მოხვდა: **მაურო იკარდი**

### არგენტინის ნაკრების 30-კაციანი სია:

მეკარეები: **სერხიო რომერო** (მონაკო), **მარიანო ანდუხარი** (კატანია), **აგუსტინ ორიონი** (ბოკა ხუნიორსი)

მცველები: **მარტინ დემიკელისი** (მანჩესტერ სიტი), **პაბლო საბალეტა** (მანჩესტერ სიტი), **ფედერიკო ფერნანდესი** (ნაპოლი), **მარკოს როხო** (სპორტინგი), **ესეკიელ გარაი** (ბენფიკა), **ნიკოლას ოტამენდი** (ატლეტიკო მინეირო), **უგო კამპანიარო** (ინტერი), **ხოსე მარია ბასანტა** (მონტერეი), **ლისანდრო ლოპესი** (ხეტაფე), **გაბრიელ მერკადო** (რივერ პლეიტი)

ნახევარმცველები: **ხავიერ მასკერანო** (ბარსელონა), **მაქსი როდრიგესი** (ნიუელს ოლდ ბოისი), **ფერნანდო გაგო** (ბოკა ხუნიორსი), **ანხელ დი მარია** (რეალი), **ევერ ბანეგა** (ნიუელს ოლდ ბოისი), **ხოსე ერნესტო სოსა** (ატლეტიკო), **ლუკას ბილია** (ლაციო), **აუგუსტო ფერნანდესი** (სელტა), **ენცო პერესი** (ბენფიკა), **რიკარდო ალვარესი** (ინტერი), **ფაბიან რინაუდო** (კატანია)

თავდამსხმელები: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **სერხიო აგუერო** (მანჩესტერ სიტი), **გონსალო იგუაინი** (ნაპოლი), **ესეკიელ ლავეცი** (პარი სენ ჟერმენი), **როდრიგო პალასიო** (ინტერი), **ფრანკო დი სანტო** (ვერდერი)

გვერდი მოამზადა **ტატო ბაციკაძემ**

მუნდიალი 2014. კოლუმბიის ნაკრები


რადამელ ფალკაო

# 30 კაცი პეკერმანმაც დაასახელა

**30-კაციანი** წინასწარი სია გამოაქვეყნა არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ამჟამად კი კოლუმბიის ნაკრების დამრიგებელმა **ხოსე ნესტორ პეკერმანმა**. ყველაზე მთავარი ამბავი ის გახლავთ, რომ გაფართოებულ სიაში მოხვდა **რადამელ ფალკაო**, ვინც იანვარში მძიმე ტრავმა მიიღო და მისი მუნდიალზე თამაში საეჭვო იყო.

აღსანიშნავია **ფარიდ მონდრაგონის** გამოძახებაც, რომელიც მუნდიალის მიმდინარეობისას (21 ივნისს) 43 წლის გახდება და თუ მას მოედანზე გასვლის საშუალება მიეცა, მაშინ ვეტერანი მეკარე **როჟე მილას** რეკორდს მოხსნის და ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ხანდაზმულ ფეხბურთელად მოგვევლინება.

შემადგენლობისთვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმისთვის, რომ მივხვდეთ: კოლუმბია ამ მუნდიალზე ბევრ ძლიერ გუნდს გაამწარებს...

მეკარეები: **ფარიდ მონდრაგონი** (დეპორტივო კალი), **დავიდ ოსპინა** (ნიცა), **კამილო ვარგასი** (სანტა ფე)

მცველები: **მარიო იეპესი** (ატალანტა), **ლუის პერეა** (კრუს ასული), **კამილო სუნიგა** (ნაპოლი), **პაბლო არმერო** (ვესტ ჰემი), **აკივალდო მოსკერა** (ამერიკა), **კრისტიან საპატა** (მილანი), **სანტიაგო არიასი** (პსვ ეინდჰოვენი), **ედერ ალვარეს ბალანტა** (რივერ პლეიტი), **კარლოს ვალდესი** (სან ლორენსო)

ნახევარმცველები: **ფრედი გუარინი** (ინტერი), **აბელ აგილარი** (ტულუზი), **კარლოს სანჩესი** (ელჩე), **მაკნელი ტორესი** (ალ შაბაბი), **ალდო რამირესი** (მორელია), **ხუან კუადრადო** (ფიორენტინა), **ელკინ სოტო** (მაინცი), **ჯეიმს როდრიგესი** (მონაკო), **ედვინ ვალენსია** (ფლუმინენსე), **ალექსანდერ მეხია** (ატლეტიკო ნასიონალი), **ხუან კინტერო** (პორტუ)

თავდამსხმელები: **რადამელ ფალკაო** (მონაკო), **ტეოფილო გუტიერესი** (რივერ პლეიტი), **ჯექსონ მარტინესი** (პორტუ), **ადრიან რამოსი** (ჰერტა), **კარლოს ბაკა** (სევილია), **ვიქტორ იბარბო** (კალიარი), **ლუის მურიელი** (უდინეზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ექსჩემპიონი დიდი რყევების მიჯნაზე


ლუი ვან გაალსა და რაიან გიგზს მომდევნო სეზონში მუშაობა ერთად მოუწევთ

**BBC** არ არის სკანდალურ ანდა უბრალოდ მოულოდნელ ინფორმაციებს დახარბებული წყარო, შესაბამისად, როცა ბრიტანული მაუწყებლის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დელეგაცია ჰოლანდიის ნაკრების ბაზაზე აპირებდა სტუმრობას **ლუი ვან გაალთან** შესახვედრად, სრული საფუძველი გვაქვს ნდობისთვის. გუშინ მოლაპარაკებების მაგიდას უნდა მისხდომოდნენ ერთი მხრივ, 62 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი, მეორე მხრივ - „იუნაიტედის“ აღმასრულებელი დირექტორი **ედ ვუდვორდი** და დროებითი მთავარი მწვრთნელი **რაიან გიგზი**. შეხვედრაზე, წესით, მხარეთა შორის უკანასკნელი ფორმალობები უნდა მოგვარებულიყო. გარდა ამისა, ვან გაალთან, შესაძლოა, საზაფხულო გეგმების ნაწილიც განხილულიყო. მათ შორის გიგზის სამწვრთნელო შტაბში დანიშვნაც. „მირორის“ ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, 40 წლის უელსელმა, როგორც ფეხბურთელმა, კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს და მომდევნო სეზონში გუნდს მოთამაშე-მწვრთნელის რანგშიც დაეხმაროს.

## ჰოლანდიელის უკანასკნელი ფორპოსტი

„მანჩესტერ ივნინგ ნიუსის“ ჟურნალისტი **ჯეიმს რობინსონი** ვან გაალის სავარაუდო დანიშვნასთან ერთად „იუნაიტედში“ უზარმაზარ რყევებს ელოდება, რაც გუნდში თითქმის ყველაფერს თავდაყირა დააყენებს. მისი მტკიცებით, „ოლდ ტრეფორდზე“ არც ერთ ფეხბურთელს, მათ შორის **უეინ რუნის**, ძირითადში ადგილი გარანტირებული არ ექნება. აი, რას წერს ის:

- ვან გაალი „იუნაიტედს“ განიხილავს, როგორც უკანასკნელ სამსახურს თავის ხანგრძლივ სამწვრთნელო კარიერაში. მას სურს, დასასრული ბრწყინვალე იყოს. ეს კი ნიშნავს, რომ „ოლდ ტრეფორდს“, სრულყოფილების ძიებაში, გარდაუვალი რყევები ელის. უეინ რუნი ერთ-ერთია მათ შორის, ვისი მომავალიც არ იქნება დამოკიდებული არც მის რეპუტაციაზე და არც მაღალ ხელფასზე. მას თავიდან მოუწევს გუნდისთვის საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცება, რადგან ვან გაალისთვის შეგირდის ავტორიტეტს მნიშვნელობა არა აქვს.

ვან გაალის კარიერა კლუბებში ყოველთვის ნაცნობი სცენარით ვითარდება. ის მიდის ახალ სამსახურში და იქაურობას ავტომატურად ამსგავსებს სკას, სადაც ყველა თავის საქმეს აკეთებს, ყველა მოძრაობს. ცხადია, ასე მოხდება „იუნაიტედშიც“. ვან გაალი ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობს: მე მჭირდება არა 11 ვარსკვლავი, არამედ, 11 საუკეთესო ფეხბურთელი. თუკი ვინმესთვის მისი მოთხოვნები მიუღებელი აღმოჩნდება, მწვრთნელი მას აუცილებლად გამოეთხოვება და ამაში არაფერი პირადული არ იქნება. აი, ასე აგებს ჰოლანდიელი საქმიან ურთიერთობებს.

ვან გაალს საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფია გააჩნია, რომელსაც არასგზით არ გადაუხვევს. ბევრს მიაჩნია, რომ ის ტირანი და დესპოტია, მაგრამ მისი სიმკაცრე ყოველთვის მოქცეულია ჩარჩოებში. მართვის მისეულ მეთოდებს ყველგან მოჰქონდა წარმატება, სადაც არ უნდა მისულიყო. ლუის თითქმის არაბუნებრივი ნიჭი აქვს, შეამჩნიოს ყოველი კონკრეტული ფეხბურთელის ძლიერი მხარე. თუკი ლუი ხედავს, რომ მისი შეგირდი სწორი მიმართულებით ვითარდება, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ამ პროცესს. ამ მხრივ ის გენიოსია. ჰოლანდიელს ჩამოყალიბებული წარმოდგენა აქვს იდეალურად გამართულ გუნდზე. ის იოლადულებს ალღოს სიტუაციას, მუდმივად აანალიზებს მას და ყოველთვის ზუსტად იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. მან იცის, როგორ მოიპოვოს წარმატებები.

ვარსკვლავი

# ნაცნობი ხილის გემო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი **ნემანია ვიდიჩი** მომდევნო სეზონს მილანის „ინტერში“ დაიწყებს. 32 წლის სერბმა „ნერაძურისთან“ კონტრაქტს ორი თვის წინ მოაწერა ხელი. ფეხბურთელმა გადაწყვიტა აზარგების შემდეგ გულწრფელი ყოფილიყო და მოეთხრო, თუ რა ხდებოდა გუნდში ბოლო ოცწლეულში ყველაზე წარუმატებელ სეზონში. „ტელეგრაფთან“ ინტერვიუში მან „იუნაიტედის“ პერსპექტივაზეც ისაუბრა:

„იუნაიტედისთვის“ ეს გარდამავალი ეტაპი იყო. არ ვამბობ, რომ მოიესის ხელში გუნდი თავს ცუდად გრძნობდა, თუმცა შოტლანდიელი ჩვენგან განსხვავებულად თამაშს ითხოვდა, რის გამოც თავს კომფორტულად ველარ ვგრძნობდით. ნაცნობ სტილს მხოლოდ გიგზის დანიშვნის შემდეგ დავუბრუნდით, რადგან ის ალექს ფერგიუსონის მსგავსი საფეხბურთო ფილოსოფიის მიმდევარია. საუკეთესო, რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ურთულესი პერიოდის მიუხედავად მოიესი ბოლომდე პროფესიონალად დარჩა. ის მთელი წლის განმავლობაში ძალიან ბევრს შრომობდა, რათა წარმატებისთვის მიგვეღწია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რაც ძალიან სამწუხაროა. სეზონის განმავლობაში ბევრს ვკამათობდით, ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ოდესმე. ფეხბურთელებს მხოლოდ სიტუაციის გამოსწორება გვინდოდა და ამიტომაც დავრჩით მეგობრებად.

ვინ ითამაშებს „იუნაიტედის“ დაცვის ცენტრში, ეს უკვე ახალი მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია. შემიძლია გითხრათ იმათზე, ვის გვერდითაც მითამაშია. მაგალითად, კრის სმოლინგსა და ფილ ჯონსზე. ერთიცა და მეორეც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მიმაჩნია, რომ ისინი მარტო „იუნაიტედის“ კი არა ინგლისის ნაკრების მომავალსაც წარმოადგენენ. ისინი ფიზიკურად ძლიერები, სწრაფები და ტექნიკურები არიან. სწორედ ის დროა, ერთი ნაბიჯით დაწინაურდნენ და ჯონი ევანსთან ერთად დაცვაში მყარად დადგნენ. ამ ტრიოს შეუძლია უახლოესი 7-8 წლის განმავლობაში შეასრულოს ეს როლი“.


ნემანია ვიდიჩი „იუნაიტედს“ რვა წელი ერთგულად ემსახურა

ამბები

## მაკაი პოჩეტინოს ნაცვლად?


მალკი მაკაი

„საუთჰემპტონიდან“ 42 წლის **მაურისიო პოჩეტინოს** შესაძლო წასვლაზე ინგლისური პრესა ჯერ კიდევ მაშინ ალაპარაკდა, როცა კლუბის მესაკუთრეებმა პრეზიდენტი **ნიკოლა კორტეზე** ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. პოჩეტინიო ხომ სწორედ იტალიელმა მიიყვანა „სენტ მერიზე“. მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, არგენტინელით დაინტერესებულმა მხარემ, კონტრაქტის ვადაზე ადრე განყვეტის შემთხვევაში, კლუბს ორი მილიონი ფუნტის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. „ტოტენჰემი“ მზადაა, პირობის დასაკმაყოფილებლად. „დეილი მირორის“ ცნობით, „წმინდანებმა“ სინიორ მაურისიოს სავარაუდო შემცვლელი უკვე შეიგულეს. ლაპარაკია, „კარდიფის“ ყოფილ თავკაცზე, 42 წლის **მალკი მაკაიზე**, ვინც უელსურმა კლუბმა გასული წლის 27 დეკემბერს დაითხოვა პოსტიდან.

## პარკი ფეხბურთს გამოეთხოვა

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ქუინზ პარკის“ ყოფილმა ნახევარმცველმა, 33 წლის **ჟი სუნ-პარკმა** პენსიაზე გასვლის შესახებ განაცხადა. სამხრეთკორეელმა უკანასკნელი სეზონი იჯარით „ეინდჰოვენში“ გაატარა, კლუბში სადაც დაიწყო კიდევ მისი კარიერის ევროპული ნაწილი. გადაწყვეტილების მიზეზებზე ის თავად საუბრობს: *„მივხვდი, რომ მუხლის ქრონიკული ტკივილის გამო მეტის გაძლება აღარ შემიძლია. კიდევ ერთ სეზონს ნამდვილად ვერ ავიტანდი. წარმატებული კარიერა მქონდა და ცხადია, არაფერს ვნანობ“.*

დიახ, პარკს წარმატებული და ტიტულებით დახუნძლული კარიერა ჰქონდა. მან 2-ჯერ (2002/03, 2004/05) მოიგო ჰოლანდიის ერედივიზიე, ერთხელ ჰოლანდიის სამეფო თასი (2004/05), 4-ჯერ ინგლისის პრემიერლიგა (2006/07, 2007/08, 2008/09, 2010/11) და 3-ჯერ (2005/06, 2008/09, 2009/10) ინგლისის ლიგის თასი, 2008 წელს კი ის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

## ია კონანს ინგლისში უხმობენ

„ჰანოვერის“ 29 წლის ივუარელ თავდამსხმელ **დიდიე ია კონანს** კლუბთან კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულზე უმთავრდება და შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკებები ახალ ხელშეკრულებაზე ჩიხშია შესული. შესაბამისად, გერმანელები სერიოზულად ფიქრობენ ფეხბურთელის ტრანსფერზე. „სქაი სპორტსის“ ინფორმაციით, „ჰანოვერს“ უკვე დაუკავშირდა ფეხბურთელით დაინტერესებული ერთ-ერთი პრემიერლიგური კლუბი. დიდი ალბათობით, ლაპარაკია „ევერტონზე“.

## ჯო კოული ჩაქუჩებს ტოვებს


ჯო კოული

„ვესტ ჰემმა“ ინგლისის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **ჯო კოულს** ახალ კონტრაქტზე უარი უთხრა. 32 წლის ნახევარმცველს „ჩაქუჩებთან“ ხელშეკრულება ივნისის ბოლოს უმთავრდება. დაინტერესებულ კლუბებს თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ვარსკვლავთან დაკავშირება უკვე შეუძლიათ. *„ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და გადაწყვეტილებას ისე მივიღებ. კარიერის ამ ეტაპზე ფინანსური მხარე ჩემთვის მნიშვნელოვანი უკვე აღარ არის. მთავარია, თამაშის საშუალება რეგულარულად მქონდეს, რათა ახალგაზრდა თაობას ჩემი გამოცდილება მაქსიმალურად გავუზიარო. უმჯობესი იქნება ისეთი გუნდის ნახვა, სადაც ჩემთვის შესაფერის პოზიციაზე მომეცემა შანსი,“* - აცხადებს კოული.

## მასკერანო უკან ენფილდზე?

„ბარსელონადან“ არგენტინელი უნივერსალის, 29 წლის **ხავიერ მასკერანოს** წასვლაზე ბევრი იწერება. ფეხბურთელს მოქმედი კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება. კლუბს მან უკვე მიანიშნა, რომ „კამპ ნოუზე“ დარჩენას აღარ აპირებს. მასკერანოს სამსახურით უკვე დიდი ხანია, დაინტერესებულია „ნაპოლი“. იტალიელების გარდა ხავიერის შეძენაზე დაფიქრდა „ლივერპულიც“, ვისაც მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში უწევს და შესაბამისად, შემადგენლობის გაძლიერებას ესწრაფვის. შეგახსენებთ, რომ მასკერანო „ენფილდზე“ 2007/10 წლებშიც თამაშობდა და კატალონიელთა რიგებში სწორედ მერსისაიდიდან მოხვდა. „ბლაუგრანა“ ფეხბურთელს 9 მილიონ ფუნტად (11 მლნ ევრო) აფასებს.

## მორიგი ნახევარმცველი ბუნდესლიგიდან


რობერტო ფირმინო

„ჩელსი“ „ჰოფენჰაიმს“ 22 წლის ბრაზილიელ **რობერტო ფირმინოში** 18 მილიონ ევროს სთავაზობს. სამხრეთამერიკელმა ბუნდესლიგის ბოლო სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა. მან 33 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა, მიითვალა 12 საგოლე გადაცემა და ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. მისით მრავალი შეძლებული კლუბია დაინტერესებული. დასავლეთლონდონელებმა ბოლო ორ სეზონში გერმანული კლუბებისგან თითო ნახევარმცველი უკვე შეიძინეს. 2012-ში „ვერდერიდან“ 8 მილიონად გადაიბირეს **მარკო მარინი**, შარშან ზაფხულს კი „ლევერკუზენს“ 22 მილიონი გადაუხადეს **ანდრე შიურლეში**. მარინისგან განსხვავებით უკანასკნელმა ტრანსფერმა აშკარად გაამართლა.

## ბონი არ იყიდება

„სუონსის“ მთავარი მწვრთნელის **გარი მონკის** თქმით, უელსური კლუბი **ვილფრიდ ბონით** დაინტერესებულ კლუბებს კატეგორიული უარით არ გაისტუმრებს, თუმცა 25 წლის ივუარელის სატრანსფერო ფასი ძალიან დიდი იქნება. *„ვფიქრობ, რომ ბონის შენარჩუნებას მოვახერხებთ. გვესმის, რომ ფული ძალიან ბევრ რამეს წყვეტს, მაგრამ იმისთვის, რომ გუნდის ლიდერს შეველიოთ, ასტრონომიული თანხა უნდა შემოგვთავაზონ. ზოგადად ნამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვებას არ ვაპირებთ და არც ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვით ვართ დაინტერესებულნი,“* - აცხადებს „გედების“ ახალბედა თავკაცი. შარშან ზაფხულს „ვიტესიდან“ 14 მილიონად ნაყიდმა აფრიკელმა პირველივე სეზონში ყველა ტურნირში ერთად 48 თამაში ჩაატარა, 26 გოლი გაიტანა და 8 საგოლე გადაცემა მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2014. საფრანგეთის ნაკრები




სამირი და მისი გელფრენდი

# დიდი იმედგაცრუება დიდისგან

## ნასრის გელფრენდმა დეშამი გამოლანძღა

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დიდიე დეშამმა**, რომელსაც 1998 წელს ფეხბურთელის რანგში აქვს მსოფლიოს ჩემპიონატი მოგებული, ის 23 კაცი დაასახელა, რომლებიც ბრაზილიაში გაემგზავრებიან. მუნდიალის მონაწილე ყველა ნაკრებში მოიძებნით ისეთ ფეხბურთელს, რომელიც განაცხადში ვერ მოხვდა და ამან გულშემატკივრებს გული დაწყვიტა. ზოგ შემთხვევაში საუბარი არა ერთ, არამედ რამდენიმე ფეხბურთელზეც კია. „მამლების“ შემთხვევაში კი განსაკუთრებით ალსანიშნავი ის არის, რომ „დიდის“ გადაწყვეტილებით მუნდიალზე არ გაემგზავრება „მანჩესტერ სიტის“ 26 წლის შემტევი ნახევარმცველი **სამირ ნასრი**, რასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა...

განაცხადში ვერ მოხვდა ვერც ნასრის თანაკლუბელი **გაელ კლიში**, მაგრამ ამ შემთხვევაში იმას მაინც ვიტყვით, რომ 28 წლის მცველი ფორმაში არ არის და „სიტის“ შემადგენლობაშიც დიდი ხანია დაკარგა ადგილი. აი ნასრი კი ბოლო პერიოდში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და იმ შეხვედრაში, რომელმაც „ქალაქელებს“ პემიერლიგის მოგება გაუნაღდა, ანუ ბოლო ტურში „ვესტ ჰემთან“ ბრწყინვალედ ითამაშა,




მან ძალიან ლამაზი, საჩემპიონო გოლიც გაიტანა შორეული დარტყმით.

საინტერესო გახლდათ თავად დეშამის მოკლე და კონკრეტული კომენტარი: *„ჩემთვის მთავარია შევკრიბო საუკეთესო შემადგენლობა, საუკეთესო ჯგუფი, გუნდი და არა საუკეთესო 23 ფეხბურთელი“.*

რასაკვირველია, ნასრი ძალიან გულდაწყვეტილია, მაგრამ მის ნაცვლად ემოციები საჯაროდ სამირის მეგობარმა გოგონამ, ბრიტანელმა მოდელმა **ანარა ატანესმა** გამოხატა, რომელმაც საკუთარ „ტვიტერზე“ უხამსად მოიხსენია საფრანგეთი და პირადად დეშამი.

რბილად რომ გადმოვცეთ, შინაარსი ასეთი იყო: *„საფრანგეთის დედაც! დეშამის დედაც! რა განავალი მწვრთნელია“.* ცოტა ხანში კი გაიმეორა: *„ვინც ჩემი დაწერილი ვერ გაიგო, ვიმეორებ - საფრანგეთის დედაც! დეშამის დედაც! რა განავალი მწვრთნელია. მე არ ვარ გაბრაზებული, რადგან 2 თვე ჩემი ბოიფრენდი ჩემთან ერთად იქნება, მაგრამ ეს უნდა მეთქვა, პატივისცემის საკითხია“.*

ქალბატონი ანარასი არ ვიცი და დეშამი შესაძლოა წარმავალი მწვრთნელი მართლაც არის, მაგრამ ფაქტია, რომ ამის და იმის მიუხედავად, რომ კიდევ ბევრს ეჩვენება ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ, ნასრი მუნდიალზე ვერ ითამაშებს. მოგეხსენებათ, „მამლები“ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე არც ისე კარგად გამოიყურებოდნენ - ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო პლეი ოფში უკრაინასთან ბეწვის ხიდზე გაიარეს და გასვლაზე წაგებული 0:2-ის მერე, შინ 3:0 იძალეს. იქამდეც და მით უმეტეს, იმ პერიოდშიც დეშამს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ რადგან ფედერაციამ „დიდის“ პოსტზე დატოვება გადაწყვიტა, ცოტა ხნით თავისი მოსაზრებები ყველამ შემოინახა და ახლა სრულიად საფრანგეთი მუნდიალისთვის ემზადება, მაგრამ აი, ნასრის ამბავმა ხალხის ნაწილი კვლავაც აალაპარაკა.

სხვათა შორის, დეშამმა შემდეგ თავისი გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმარტა: *„არჩევანი სპორტული კრიტერიუმებით გაკეთდა. განსაკუთრებით რთული ერიკ აბიდალის გარეშე დარჩენა იყო. ნასრი კი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ მას ნაკრებში ისე თამაში არ გამოსდის, როგორც „სიტიში“, იქ იგი ძირითადის მოთამაშეა. ნასრიმ ერთხელ თავად თქვა, რომ ვერ იტანს სათადარიგოთა სკამზე ჯდომას და ეს მართლაც ასეა, ჩვენ ამას და მის განწყობას ვგრძნობდით, როდესაც ნაკრებში იყო ხოლმე. სწორედ ამიტომ, ვერ მოხვდა იგი განაცხადში“.*

კიდევ ერთი სიურპრიზი რომელიც დეშამმა შემოგვთავაზა, **კლემან გრენიეს** გამოძახება გახლდათ. „ლიონის“ 23 წლის შემტევი ნახევამრცველი უდავოდ ძალიან ნიჭიერია, მაგრამ სულ რამდენიმე დღეა, რაც საკმაოდ სერიოზული ტრავმის მერე მომჯობინდა. თუმცა „დიდიმ“ მას მაინც უხმო. ახლა გრენიეს განსაკუთრებული დატვირთვით ვარჯიში მოუწევს, რადგან ფორმა აღიდგინოს.

ზოგადად, დეშამის ნაკრები ძალიან ახალგაზრდულია, საშუალო ასაკი 25 წელიც არ არის. ვეტერანი ფეხბურთელი **მიკაელ ლანდროა**, „ბასტიას“ 35 წლის მეკარე ისევ მოხვდა ნაკრებში მესამე გოლკიპერის სტატუსით. მას მართლაც კარგი სეზონი ჰქონდა. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულა 34 წლის **ერიკ აბიდალმა.**

„მამლების“ რიგებში ლიგა 1-ში მოთამაშე 8 ფეხბურთელია, დანარჩენები ლეგიონერები არიან. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთი ჯგუფში შვეიცარიასთან, ეკვადორთან და ჰონდურასთან ერთადაა. დეშამის ბიჭების თავგადასავალი 15 ივნისს პორტუ ალეგრიში ჰონდურასელებთან დაპირისპირებით დაიწყება.

**გიორგი კაკაბაძე**

გერმანიის ნაკრები

# ლიოვმა ოთხი წაშალა და კრამერი დაამატა!

## ბუნდესგუნდის შემადგენლობა უკვე 27-კაციანია

| გერმანია-პოლონეთი | 0:0 |
|---|---|

**გერმანია (4-2-3-1):** ცილერი (46. ტერ შტეგენი) - რიუდიგერი (46. ჰიოვედესი), მუსტაფი, გინტერი, ზორგი (82. გიუნტერი) - კრამერი, რუდი - გორეტცკა (46. ჰანი), მ. მაიერი (77. არნოლდი), დრაქსლერი - ფოლანდი (71. ს. იუნგი).

**პოლონეთი (4-2-2-2):** ბორუცი - ოლკოვსკი, სუკალა, ჩიონეკი (77. ვილუში), ვავრჟინიაკი - კრიხოვიაკი, კლიხი - პეჟკო (53. ჟირო), ობრანიაკი (53. ლინეტი) - რიბუსი (90. ვოლსკი), რობაკი (53. მილიკი).

**მაყურებელი:** 37 569

**გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი პოლონეთთან ტესტ-მატჩში მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებს რომ ათამაშებდა, ამის შესახებ მან ჯერ კიდევ წინა კვირაში განაცხადა. იოგიმ მაშინ ისიც თქვა, რომ პოლონეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ გაფართოებულ, 30-კაციან შემადგენლობას მინიმუმ 27-მდე შეამცირებდა. ასეც მოხდა: გუშინ იოგიმ 30-კაციანი სიიდან ოთხი ფეხბურთელის გვარი წაშალა და ერთი ახალი დაამატა!**

ამრიგად, ბრაზილიაში გამგზავრებაზე ველარ იოცნებებენ **ლეონ გორეტცკა** (შალკე), **ანდრე ჰანი** (აუგსბურგი), **მარსელ იანსენი** (ჰამბურგი) და **მაქს მაიერი** (შალკე). ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დაადასტურა, რომ ეს კვარტეტი სამხრეთ ტიროლის შეკრებაზე არ მიჰყავს.

*„ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც ლეონ გორეტცკა და მაქს მაიერი არიან, დიდი მომავალი აქვთ და მჯერა, რომ არაერთ დიდ ტურნირზე მოუწევთ ასპარეზობა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ გული არ უნდა დასწყდეთ. მარსელ იანსენს კი არ გაუმართლა - მართალია, ტრავმა მოიშუშა, მაგრამ შევატყვე, რომ ფორმაში არაა,“* - განაცხადა ლიოვმა.

რაც შეეხება ჰანის თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებას და მის ნაცვლად **კრამერის** გამოძახებას: *„ანდრე ჰანით ძალიან კმაყოფილი ვარ და მისთვის უარის თქმის მიზეზი მხოლოდ ტაქტიკურია. ჰანი გარემარბია, მე კი მირჩევნია, რომ სიაში კიდევ ერთი საყრდენი ნახევარმცველი მყავდეს, რადგან ჩვენი ჩამშლელები ტრავმირებულები იყვნენ და საუკეთესო ფორმაში არ არიან. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ შეკრებაზე სწორედ კრამერი წავიყვანო. მინდა, რომ ნახევარდაცვის ცენტრში ერთით მეტი არჩევანი მქონდეს და ნებისმიერი შემთხვევისთვის მზად ვიყო. თანაც, კრისტოფმა ვარჯიშებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა,“* - ასეთია გერმანიის ნაკრების თავკაცის არგუმენტები.



იოახიმ ლიოვმა გლადბახის საყრდენ ნახევარმცველ კრისტოფ კრამერს უხმო

### კრამერს შესანიშნავი შანსი გაუჩნდა

პოლონეთის ნაკრებთან 23 წლის კრამერს დებიუტი ჰქონდა და აღსანიშნავია, რომ ლიოვმა კრისტოფი შეუცვლელად ათამაშა. მან ნამდვილად დაიმსახურა გერმანიის ნაკრებში მოხვედრის შანსი, რადგან მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა. 1.89 მეტრი სიმაღლის საყრდენმა ნახევარმცველმა ბუნდესლიგის 33 მატჩში სამი გოლის გატანაც მოახერხა.

წაიყვანს თუ არა ლიოვი კრამერს ბრაზილიაში, ეს ახლა თავად კრისტოფზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ იოგიმ საბოლოო, 23-კაციანი სია 2 ივნისამდე უნდა გამოაქვეყნოს. მანამდე ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ბუნდესგუნდის ნახევარდაცვის ცენტრში დიდი კონკურენციაა: კრამერის კონკურენტები **ბასტიან შვაინშტაიგერი, სამი ხედირა, ტონი კროოსი, ლარს ბენდერი** და **ფილიპ ლამიც** არიან.

**გოტფრიდ ლენცი**

დაწუნებული

# ქალებმა დაგღუპეს შენ, ქალებმა!

## აი, თურმე რატომ არ მიჰყავს ლიოვს კრუზე ბრაზილიაში

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ თავდამსხმელმა **მაქს კრუზემ** დასრულებული სეზონის ყველა ოფიციალურ მატჩში 16 გოლი გაიტანა და 13 საგოლე პასი გააკეთა, რითაც გერმანელი ფეხბურთელებიდან გოლს პლუს პასის რეიტინგში მეორე ადგილზეა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** 26 წლის კრუზე ბუნდესგუნდის გაფართოებულ შემადგენლობაშიც კი არ შეიყვანა, რითაც მთელი საფეხბურთო გერმანია გააკვირვა. ახლა ირკვევა, რომ კრუზეს არგამოძახების მთავარ მიზეზს სპორტთან კავშირი არ აქვს!

ჟურნალ „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, გასული წლის ნოემბერში, როდესაც გერმანიის ნაკრებში გამოძახებული იყო (ინგლისთან მატჩისთვის), კრუზემ ბუნდესგუნდის შიდა განაწესი სასტიკად დაარღვია! ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ კრუზემ სასტუმრო „კორინთიაში“, სადაც გერმანიის ნაკრები ბინადრობდა, მეძავი გამოიძახა! ეს ინფორმაცია „შპორტ ბილდს“ გერმანიის ნაკრების მენეჯმენტიდან მიაწოდეს - ინსაიდერის თქმით, ქალბატონის სტუმრობის დროს კრუზეს ნომერს გერმანიის ნაკრების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მიაკითხა და სასწრაფოდ მეძავის გაშვება მოსთხოვა.

როგორც ჩანს, სწორედ ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ კრუზე ბრაზილიაში ვერ მიდის. ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი სასტუმროში ქალბატონების სტუმრობას სასტიკად კრძალავს.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი



# იმობილეს გამო: ტორინომ დორტმუნდს შეუტია!

## ბორუსიას ბოსმა დაადასტურა: ჩიროს ჩვენთან უნდა!

ჩირო იმობილე 22 გოლით იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია

ადრეც ვწერდით, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ იტალიის ნაკრებისა და „ტორინოს“ თავდამსხმელის, **ჩირო იმობილეს** გადაბირება უნდა. „ლელოს“ მკითხველს ისიც ეხსომება, რომ „ტორინოს“ იმობილეს სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი ეკუთვნის, დანარჩენ 50 პროცენტს კი ტურინის „იუვენტუსი“ ფლობს. გაირკვა და ოფიციალურადაც დადასტურდა, რომ „დორტმუნდის“ ხელმძღვანელები „იუვეს“ ბოსებს შეხვდნენ და როგორც ირკვევა, მათგან თანხმობა მიიღეს, რაზეც „ტორინოს“ შეფები ძალიან გაბრაზდნენ და დორტმუნდელებს ემუქრებიან.

აი, რას ამბობს „ტორინოს“ მარკეტინგის დირექტორი **ალბერტო ბარილე:** *„საქმე ისაა, რომ ჩირო ნახევრად „ტორინოს“ ეკუთვნის, ნახევრად კი „იუვენტუსს“. „დორტმუნდის“ ხელმძღვანელებმა გასულ პარასკევს „იუვენტუსის“ შეფებთან მოლაპარაკებები გამართეს, მერე კი იმობილეს მრჩეველსაც დაუკავშირდნენ. არადა, ჩირო ჩვენც გვეკუთვნის. უფრო სწორად, ჩვენ უფრო გვეკუთვნის, რადგან ბოლოს და ბოლოს ჩვენთან თამაშობს! ძალიან მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტეს დორტმუნდელებმა მხოლოდ „იუვენტუსთან“ მოლაპარაკება. ჩვენამდე მრჩეველთან გასაუბრებით კი „ბორუსიას“ ბოსებმა ფიფას კანონიც დაარღვიეს.“*

„დორტმუნდის“ გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** თქმით, იმობილე თანახმაა, რომ კარიერა „დორტმუნდში“ გააგრძელოს. „ტორინოს“ შეფების აღშფოთება იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ ტურინულ კლუბს იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის „ფიორენტინასთან“ (ამ შეხვედრამ უნდა გაარკვიოს, ითამაშებს თუ არა „ტორო“ ევროპალიგაზე) და ასეთი თამაშის წინ იმობილეს გარშემო ატეხილი აურზაური ტურინში არავის აწყობს.

ბოლო დროს გავრცელდა ცნობები, რომ იმობილეს გადაბირება „ატლეტიკოსაც“ უნდა - მადრიდელებს ჩირო **დიეგო კოშტას** შემცვლელად მიაჩნიათ. *„ფაქტი ის არის, რომ ჩვენთვის არც „დორტმუნდს“ მოუმართავს და არც „ატლეტიკოს“,* - აცხადებს ბარილე და იმედოვნებს, რომ 24 წლის გოლეადორი, რომელსაც იტალიის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში 22 გოლი აქვს გატანილი და საუკეთესო ბომბარდირია, მაინც „ტორინოში“ დარჩება. თუმცა ეს უკვე ნაკლებად სავარაუდოა...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. ფინალი

# ბელა გუტმანის წყევლა გრძელდება

## უნაის უნარი

**სევილია–ბენფიკა 0:0 4:2 პენ.**

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე, ფასიო, პარეხა, მორენო - მბია, კარისო - ვიტოლო (110. დიოგო ფიგეირაში), რაკიტიჩი, რეიესი (78. მარინი; 104. გამეირო) - ბაკა

**ბენფიკა (4-4-2):** ობლაკი - მაქსი პერეირა, გარაი, ლუიზაო, გილერმე სიკეირა (99. კარდოსო) - ანდრე გომეში, რუბენ ამორიმი, გაიტანი (119. ივან კავალეირო), სულეიმანი (25. ანდრე ალმეიდა) - როდრიგო, ლიმა

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

**გაფრთხილება:** ფასიო, ალბერტო მორენო, კოკე - გილერმე სიკეირა, ანდრე ალმეიდა

**კუთხური:** 4-7 **ჯარიმა:** 21-25 **თამაშგარე:** 5-1 **კარში დარტყმა:** 11-21(7-15) **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 33 120

ტურინში „იუვენტუს სტედიუმზე“ მატჩი მცირე და ლამაზი წარმოდგენით გაიხსნა, მაგრამ სტადიონს ბოლომდე სავსე არ ეთქმოდა, რადგან ადგილობრივები ფინალში სულ სხვა გუნდს ელოდნენ. იმ სხვა გუნდის გამომგდებ „ბენფიკას“ საწყის წუთებში თითქოს ბურთი ეჭირა, მაგრამ ნელ-ნელა ბურთიც, ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობაც „სევილიას“ მხარეს გადავიდა. იმას, რომ ანდალუსიელები ძალიან მწვავედ უტევდნენ, ვერ ვიტყვით, მაგრამ ლისაბონელებზე გააზრებულად კი გამოიყურებოდნენ და ალაგ-ალაგ ნახევრადმომენტებიც ჰქონდათ. **ივან რაკიტიჩი** მწვავე პასების გაკეთებას ცდილობდა, აქტიურობდა **კარლოს ბაკაც**. ერთხელ მეორე სართულზე ჩვეულად იყოჩალა **ფედერიკო ფასიომაც** და იყო **ხოსე ანტონიო რეიესისა** და **ალბერტო მორენოს** მცდელობებიც. „არწივებს“ კი ტაიმის ბოლო წამებამდე თითქმის არაფერი ჰქონდათ, ერთადერთი **ლუიზაოს** თავურს თუ გავიხსენებთ. მეტიც, **ჟორჟე ჟესუსს** შემადგენლობასთან დაკავშირებით ისედაც პრობლემები ჰქონდა და ამას **მირალემ სულეიმანის** დაშავებაც დაემატა, იგი შესაცვლელი უკვე 25-ე წუთზე შეიქნა. ისე კი, „არწივებს“ **ლაზარ მარკოვიჩი, ენცო პერესი, ედუარდო სალვიო** და **ლუბომირ ფეისა** აკლდათ, **სილვიოს** რომ თავი დავანებოთ. მიუხედავად ამისა, ლისაბონელებმა ტაიმის ბოლო წამებზე ისე იბურთავეს, რომ „სევილიას“ იქამდელი აქტიურობა დაჩრდილეს - ჯერ **მაქსი პერეირას** ჰქონდა შანსი, რომელსაც სევილიელები ვერაფრით აჩერებდნენ, შეიძლება ურუგვაელი მცველის მოულოდნელი შერბენები და აქტიურობა, ჟესუსის ეშმაკური ჩანაფიქრიც გახლდათ. მერე მთლიანობაში ცოტა პასიურმა **როდრიგომ** დაარტყა და მასაც **ბეტომ** აულო, ხოლო ბოლოს **ნიკოლას გაიტანი** დაეცა თუ წააქციეს მეტოქის საჯარიმოში და ამ საკამათო სიტუაციაში გერმანელმა **ფელიქს ბრიხმა** პენალტი არ დანიშნა. სხვათა შორის, კიდევ რამდენიმე საკამათო ვარდნა უნდა ვახსენოთ და ერთი ხელით თამაშიც, მაგრამ ბრიხმა არც ერთხელ არ მიიღო „ბენფიკას“ სასარგებლო გადაწყვეტილება, გერმანელი მსაჯი აშკარად თავს იზღვევდა.

მთლიანობაში მეორე ტაიმი ბევრად უფრო სანახაობრივი გამოდგა და „ბენფიკას“ ძალიან სახიფათო შეტევებით დაიწყო, მაგრამ „სევილია“ მცველებისა და მეკარის კარგი თამაშით გადაურჩა გოლს. საპირისპირო კართან კი რაკიტიჩის ჯადოქრული პასებისა და რეიესის დარტყმების წყალობით, რამდენიმე ეპიზოდი ვნახეთ, მაგრამ გოლით არც ერთი მომენტი არ დასრულებულა. ბაკა დაიკარგა, რეიესი დაიღალა და თან მიკროტრავმა მიიღო, რის გამოც იგი ემერიმ **მარკო მარინით** შეცვალა. თუმცა გერმანელი საუკეთესო ფორმისგან შორსაა და დამატებით დროში ემეირიმ მარინი ისევე გაიყვანა, როგორც შემოიყვანა. ბოლო 20 წუთი კი „ბენფიკასი“ გახლდათ, მაგრამ მიზანს არც ლიმას ორმა ძალიან სახიფათო დარტყმამ უწია და „არწივებმა“ ვერც სხვა მეტ-ნაკლებად რეალური შანსები გამოიყენეს.

დამატებითი დრო რა საკვირველია, განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩა და ბურთი ისევ „ბენფიკას“ უფრო ეჭირა, მაგრამ ერთადერთი და რეალური შანსი „სევილიას“ ჰქონდა - მაესტრო რაკიტიჩის პასმა მთელი „ბენფიკა“ უქმად დატოვა და ბაკა პირისპირ შერჩა **იან ობლაკს**, მაგრამ მას ბურთი მოეჭრა. კიდევ დამატებითი დრო იმით იყო გამორჩეული, რომ ორივე მწვრთნელმა, რომლებიც თავს დიდი ხანი იკავებდნენ შეცვლებისაგან, თავდამსხმელები გამოიყვანეს - **ოსკარ კარდოსო** და **კევინ გამეირო** - ერთისთვის ეს ცვლილება გამარჯვების მომტანი გამოდგა, მეორესთვის კი საბედისწერო.

საქმე პენალტებამდე მივიდა და აბა, რომელი იღბლიანი „ბენფიკაა“, რომ გამართლებოდა? საბოლოოდ, ვისაც არ უნდა მოეგო ნებისმიერ შემთხვევაში დამსახურებული იქნებოდა, მაგრამ მთელი სეზონი ევროპალიგაზე „სევილიას“ ისე უმართლებდა, რომ, როგორც ჩანს, ასეც უნდა ყოფილიყო და ესპანელებს უნდა მოეგოთ. თანაც, იმას თუ გავიხსენებთ, რომ „არწივებზე“ ფორტუნა ნაწყენია და **ბელა გუტმანის** წყევლა ძალაში რჩება... ნუთუ, ლისაბონელები მართლაც მინიმუმ 2062 წლამდე უნდა ელოდნონ ევროტიტულს? ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ გაბრაზებული გუტმანის იმ სიტყვების მერე - ჩემ შემდეგ ჩემპიონთა თასს ასი წელი ვერ მოიგებთო, „ბენფიკამ“ 8 ფინალი წააგო... 5 ჩემპიონთა ლიგაზე და 3 უეფას თასზე/ევროპალიგაზე.


მოიზეიმე სევილია

პენალტების სერიის გმირი პორტუგალიელი მეკარე ბეტო გახდა, რომელიც მთელი თამაში ბრწყინავდა და მარჩისშემდგომ ცრემლებს ვერ იკავებდა. მან აგრესიული სტილით და დარტყმამდე რამდენიმე ნაბიჯის წინ გადადგმით ჯერ კარდოსო დააბნია, შემდეგ კი ესპანელი როდრიგო და ორივეს აულო. „არწივების“ მეორე და მესამე დარტყმები გამოვიდა საბედისწერო, პირველი და მეოთხე ლიმამ და ლუიზაომ უნაკლოდ შეასრულეს. ხოლო სევილიელთა მხრიდან ოთხივე პენალტი უზადო გამოდგა - ბაკამ, მბიამ, კოკემ და ბოლოს გამეირომ უზუსტესად და უძლიერესად გაისროლეს.

რაკიტიჩი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. უნაი ემერი სიხარულისგან მეცხრე ცაზე გახლდათ, ხოლო „სევილიამ“ მესამედ მოიგო ეს ევროპალიგა და ამ მხრივ „იუვენტუსს“, „ინტერსა“ და „ლივერპულს“ გაუთანაბრდა. 24 მაისს კი „ბენფიკას“ „და ლუჟზე“ ერთ-ერთი მადრიდული კლუბი ჩემპიონთა ლიგას დაესაკუთრებდა და ოფიციალურად ხაზს გაუსვამს 2013/2014 წლების სეზონში ლა ლიგის დომინაციას ევროპაში.

**გიორგი პაპაბაძე**




**შემადგენლობა:**
1 ტაბლეტი შეიცავს:
ვიტამინ $B_6$-ს (პირიდოქსინი) - 5 მგ, მაგნიუმის კარბონატს - 60 მგ
1 შუშხუნა ტაბლეტი შეიცავს:
ვიტამინ $B_6$-ს (პირიდოქსინი) - 5 მგ, მაგნიუმის კარბონატს - 150 მგ
**მოქმედება:**
მაგნიუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია, ის მონაწილეობს იმუნურ მექანიზმებში, ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას, ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობას ალერგიული და ანთებითი პროცესების მიმართ, ააქტივებს ფერმენტულ პროცესებს, ხელს უწყობს მაღალენერგიული ნაერთების - ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების სინთეზსა და მეტაბოლიზმს.
მაგნიუმს გააჩნია დამამშვიდებელი და სტრესის საწინააღმდეგო მოქმედება, იგი ამცირებს ნერვ-კუნთოვან გადაცემას, გლუვი და განივზოლიანი ბოჭკოების აგზნებადობას, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ხელს უშლის იშემიის განვითარებას, იცავს სისხლძარღვის კედელს, ეწინააღმდეგება შემაერთებელ ქსოვილში ცვლილებების განვითარებას და არტერიოსკლეროზის ჩამოყალიბებას.
მაგნიუმი მონაწილეობას ღებულობს კალიუმისა და კალციუმის იონების ტრანსმემბრანულ ტრანსპორტირებაში, იგი აუცილებელია ინსულინისა და ზოგიერთი სხვა ჰორმონის სინთეზისათვის. ვიტამინი $B_6$ აადვილებს მაგნიუმის შეწოვას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.
**ჩვენება:**
- ქრონიკული გონებრივი და ფიზიკური დაღლილობა;
- სტრესი;
- აგზნებადობა.

**მიღების წესი და დოზირება:**
ტაბლეტები: მიიღება დღეში 1-2 ტაბლეტის ოდენობით მცირე რაოდენობის წყალთან ერთად.
შუშხუნა ტაბლეტები: მიიღება დღეში 1 ტაბლეტი ჭამის შემდეგ. ტაბლეტი იხსნება ერთ ჭიქა წყალში.
მაგიტრონი არ შეიცავს შაქარს, ამის გამო მისი გამოყენება შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას! გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს!
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს! www.aversi.ge ☎2-967-227
ავერსი AVERSI

პრესკონფერენცია


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები სამინისტროში

# ჭაბუკური შეფასება სამინისტროში

**გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ჭაბუკმა მოჭიდავეებმა. ეს პირველობა ბულგარეთის ქალაქ სამოკოვში ჩატარდა და ჩვენმა ორივე ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა - ჯამში 7 მედალი მოიპოვეს.**

უფრო შედეგიანად ბერძენ-რომაელები გამოვიდნენ, რომლებმაც ხარისხობრივად აჯობეს „თავისუფლებს" - 2 ოქრო და 1 ბრინჯაო წამოიღეს სამშობლოში. ჩემპიონები გარდაბნელი **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (63) და ქუთაისელი **ზვიად პატარიძე** (100) გახდნენ, მესამეზე კი ხობელი **ნუგზარ წურწუმია** (42) გავიდა. „თავისუფალთა" ანგარიშზე 4 მედალი მოდის - 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. ამათგან კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი ქუთაისელი **მექი სიმონია** (76) გახდა, ბრინჯაოს პრიზიორები კი ხაშურელი **გიორგი ხაჩიძე** (42), სამტრედიელი **ივერი ჯულაყიძე** (63) და თბილისელი **გივი მაჭარაშვილი** (100) არიან.

სამინისტროში პრესკონფერენციას მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე**, სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე**, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძე** და გენერალური მდივანი **გიორგი ლომიძე** უძღვებოდნენ. დარბაზში იყვნენ ზემოჩამოთვლილი მედალოსნებიც. ცხადია, მათ ყველა ჯვებასაც შეადარა და 13 მაისის საფეხბურთო გამარჯვებით გამოწვეული აჟიოტაჟიც გაიხსენა. თითქმის ყველა გამომსვლელი გამოთქვამდა იმედს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ უფრო უკეთესი შედეგი იქნება, რადგან მწვრთნელებმაც და სპორტსმენებმაც სამოკოვში კარგად დაინახეს დაშვებული შეცდომები და მსოფლიომდე დარჩენილ პერიოდში მათ გამოსწორებაზე იზრუნებენ.

ამ ოპტიმიზმს თავად მწვრთნელებიც შეუერთდნენ და ხაზი გაუსვეს, რომ სლოვაკეთში უკეთესი შედეგის მიღწევას ვარაუდობენ. მათაც და ჩემპიონებმაც კეთილი სურვილებისთვის მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას. თავიანთ გამოსვლებში კმაყოფილი ტონი დააფიქსირეს მწვრთნელებმაც, თუმცა მათ ცალ-ცალკე გავესაუბრეთ. ამიტომ გამოსვლაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ და მათ კომენტარებს აქვე შემოგთავაზებთ. ცხადია, დღეის გადასახედიდან ზოგად შეფასებაზე მეტად სამომავლო გეგმები გვაინტერესებდა, კონკრეტულად კი ის, რამდენად შეიცვლება გუნდების შემადგენლობა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**გიორგი იანტბელიძე** (თავისუფალი ჭიდაობა):

- ვფიქრობ, ცუდი შედეგი ნამდვილად არაა, რადგან ოთხი საპრიზო ადგილი ბევრ ქვეყანას ენატრება. თუმცა ზოგმა ბავშვური შეცდომა დაუშვა, რაც გამოუცდელობის ბრალია. ასე მოუვიდა, მაგალითად, გივი მაჭარაშვილს მძიმე წონაში,

**ამ გუნდის წევრები ქვეყნის მომავალნი არიან და დიდი იმედია იმისა, რომ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული შემცვლელი ჰყავს**

გამომსვლელმა მიულოცა წარმატება და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი მიღწევა უსურვა. მით უფრო, წინ მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელსაც 15-20 ივლისს სლოვაკეთის ქალაქი სნინა უმასპინძლებს.

*„ამ გუნდის წევრები ქვეყნის მომავალნი არიან და დიდი იმედია იმისა, რომ ეროვნულ ნაკრებს ღირსეული შემცვლელი ჰყავს. მთლად შემცვლელი თუ არა, გამაძლიერებელი მაინც. ვამაყობ, რომ ქვეყანას თქვენნაირი ადამიანები ეზრდებიან"* - თქვა კურტანიძემ. მან სინანულით აღნიშნა, რომ წურწუმიას და მაჭარაშვილის ოქროს გარეშე დარჩენა ბედის ირონია იყო, თორემ შედეგი ხარისხობრივად ბევრად უკეთესი იქნებოდა. კურტანიძემ შარშან დამკვიდრებული ტრადიცია გააგრძელა და ნაკრების ეკიპირების ერთი კომპლექტი, რომელსაც ესპანური „ჯომა" ამზადებს, საჩუქრად სამინისტროს წარმომადგენელ **ვახტანგ ნორაკიძეს** გადასცა, ვინც პირადად ესწრებოდა ამ ჩემპიონატს. ეკიპირებაზე და ფორმებზე ყურადღება დოლაბერიძემაც გაამახვილა. მან ხაზი გაუსვა, რომ ერთიანი ეკიპირება გუნდის სოლიდურობაზე მიუთითებს და ბიჭებს სთხოვა, მგზავრობის დროსაც ამ სამოსით იარონ და არა მხოლოდ შეჯიბრებისას ეცვათ ის, რადგან ამით ქვეყნის ცნობადობას აამაღლებენ. ამავე კონტექსტში მან მსგავსი მასშტაბის სპორტული მიღწევა სამხედრო გამარ-

ვინც ნაადრევად ირწმუნა ჩემპიონობა და 20-წამიანმა შეცდომამ დაგვაკარგინა ოქროს მოპოვების შანსი. ამათ ჯერ კიდევ აკლიათ გამოცდილება - ზოგი ზედმეტად თავდაჯერებულია, ზოგი პირიქით, ზედმეტად ნერვიულობს. ნილისყრამ არ გაუმართლა გუნდის კიდევ ერთ ლიდერ **შმაგი თოდუას** 54 კილოგრამში. მას მეტოქედ უკრაინელი ანდრეი იაცენკო შეხვდა, ვინც შარშან დაგლიჯა ყველაფერი ევროპის პირველობაზეც და მსოფლიოზეც, ისე გაიმარჯვა ორივეგან. ნეტავ, ის არ შემხვდესო, ნატრობდა თოდუა, მაგრამ მაინცდამაინც ის ერგო წილისყრით. შეხვედრა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და თოდუა როცა მიხვდა, უკრაინელი დაუმარცხებელი სულაც არ იყო, მერე უკვე დრო აღარ ეყო მდგომარეობის გამოსასწორებლად. მეც მგონია, რომ უკრაინელი არ იყო მისი მომგები, მაგრამ არა უშავს - წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და იქ ვეცდებით რევანშის აღებას. მსოფლიოს პირველობისთვის გუნდში ბევრი საკადრო ცვლილება არ მოხდება, მაგრამ რამდენიმე წონაში აუცილებლად შევცვლით მონაწილეებს. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ევროპის მედალოსნები აუცილებლად წავლენ სლოვაკეთში, თუმცა ივნისში ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირს ჩავატარებთ და იქ კიდევ დავაკვირდებით ყველა კანდიდატს.

**დავით ბედინაძე** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა):

- ჩვენი ნაკრების ერთადერთ შეცდომად ბიჭების აჩქარება მიმაჩნია - ჩქარობდნენ მოგებას. ამაზე წასვლამდეც ვმუშაობდით, მაგრამ დრო არ გვეყო - ბავშვები ძირითადად რაიონებში ვარჯიშობენ და ორი კვირა არაა საკმარისი მათ ყოველმხრივ მოსამზადებლად. ბიჭები ძალიან ძლიერები არიან, ნამდვილი ტალანტები, მაგრამ ჩქარობდნენ. უნდოდათ, რაც შეიძლება მალე დაესრულებინათ შეხვედრა, მალე გაეკეთებინათ ილეთი და დაეგდოთ მეტოქე, ამ სიჩქარეში კი ხშირად უშვებდნენ შეცდომას და მეტოქეს უპირატესობას აძლევდნენ.

მთლიანობაში, შედეგით კმაყოფილი ვარ - 2 ოქრო პატარა საქმე არაა. ბიჭებმა ძალიან კარგად იასპარეზეს, მაგრამ ზოგიერთზე მაინც მწყდება გული. მაგალითად, 42 კილოგრამში, სადაც მსოფლიოს ოლიმპიადის ლიცენზია თამაშდებოდა, წურწუმიას წააგებინეს თურქ კაზიმ კარემ კამალთან, ვინც 20 დღით ადრე თურქეთშივე დანამარცხები ჰყავდა საერთაშორისო ტურნირზე. სამწუხაროდ, დიდი ზეწოლა იყო მსაჯებისგან, რადგან მთავარი მსაჯიც თურქი იყო. ასე დავკარგეთ ოქროს მედალიც და ლიცენზიაც.

ვფიქრობ, გუნდი ნიჭიერია და მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო უკეთ გამოვალთ. არ შემიძლია არ გამოვარჩიო ჭიკაიძე, ვინც დებიუტანტი იყო. ეგ კი არა, ის სულაც მეორედ იყო უცხოეთში ტურნირზე და სულ ორი შეკრება გაიარა. ამის მიუხედავად, ყველაზე ლამაზად და დამაჯერებლად მან იჭიდავა, შანსი არ დაუტოვა არც მოწინააღმდეგეს, არც - მსაჯებს. მასთანაც იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა არბიტრებმა დაჩაგვრა დაუპირეს, მაგრამ ამ ბავშვმა ივაჟკაცა, მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და ჩემპიონიც გახდა.

პატარიძე ამ ასაკში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია და მისგან მეტს მოველოდით. მაქსიმუმი კი შეასრულა და გაიმარჯვა, მაგრამ მაინც მეტს ვითხოვთ. მას ძნელი შეხვედრა ჰქონდა ნახევარფინალში ბელარუს არსენ სიჩოსთან. იქ თავიდან 0:2 ჩამორჩა, რადგან ზედმეტად იყო დარწმუნებული, რომ რადგან მსოფლიოს ჩემპიონია, ევროპასაც იოლად მოიგებდა. მას და სხვებსაც სულ ვეუბნები, რომ მეტოქე შეაფასეთ, დააფასეთ, გადით და იჭიდავეთ, რადგან საჩუქარი არავინაა და მედალს უბრძოლველად არავინ დაგითმობს. მერე თვითონაც მოვიდა და მითხრა, მართალი ყოფილხარ, მეგონა, ყველას იოლად მოვუგებდი, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა შემხვდაო. მიხვდა, რომ ვარჯიშის გარეშე არაფერი გამოვა. იმის მიუხედავად, რომ დიდი საჭიდაო პოტენციალი აქვს, აუცილებელია, მას თან ახლდეს შრომა. მსოფლიოს ჩემპიონატს რაც შეეხება, ვფიქრობ, 3-4 წონის შეცვლას.

მწვრთნელის ნათქვამს ერთს დავამატებთ ჭიკაიძესთან დაკავშირებით: მან მართლაც შთამბეჭდავად იჭიდავა და უკლებლივ ყველა შეხვედრა ქულათა კოლოსალური უპირატესობით მოიგო. არადა, ჯერ მხოლოდ 15 წლისაა.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# დიდი ზეიმი ლაგოდეხში

## ქართული ჭიდაობა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში დაიმკვიდრებს ადგილს

ამ ასპარეზობას ლაგოდეხის სპორტსკოლის დარბაზმა დედოფლისწყაროს, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს, თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანის, საჩხერის, ცაგერის, ხაშურის, გორის, კასპის, ქარელის, თბილისის, ქუთაისის და აჭარის 110 მოჭიდავის მონაწილეობით უმასპინძლა.

ჩემპიონატის გახსნაზე საზეიმო ვითარებაში საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართა ევროპის 2014 წლის ჩემპიონმა სამბოში ჭაბუკთა შორის **თორნიკე მახათაძემ.** სპორტსმენები და გულშემატკივრები დალოცა ნეკრესის ეპარქიის წინამძღვარმა მიტროპოლიტმა **სერგიმ.**

მაყურებელი ოვაციით შეხვდა ფედერაციის პრეზიდენტის **გელა ბერუაშვილის** ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჩვენი სიამაყე, უძველესი და უნიკალური სპორტის სახეობა - ქართული ჭიდაობა უახლოეს პერიოდში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში დაიმკვიდრებს ადგილს.

ფედერაციის პრეზიდენტმა ქართული ჭიდაობის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის საპატიო დიპლომით დააჯილდოვა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, პოლიციის გენერალი, ამავე ჩემპიონატის მთავარი მსაჯი **თამაზ თამაზაშვილი.**

*„ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული საუნჯე და საგანძურია, რომელსაც დიდი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. თვით ის ფაქტი, რომ ალავერდის ტაძარზე ასახულია ორი მოჭიდავე ქართულ საჭიდაო ჩოხებში, იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ჭიდაობა ჯერ კიდევ XI საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სხვათა შორის, გადმოცემით მსმენია, რომ ნეკრესის ეკლესიის კედელზე ადრე ყოფილა ანალოგიური გამოსახულება, რომელიც ამჟამად წაშლილია. ამ ფაქტითაც უნდა დაინტერესდნენ ქართული ჭიდაობის ისტორიის მკვლევარები. მოხარული ვარ, რომ ქართული ჭიდაობა უახლოეს ხანში შევა იუნესკოს არამატერიალურ ძეგლთა ნუსხაში. პირადად მე ძალას და ენერგიეს არ დავიშურებ ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და პოპულარიზაციისათვის"* - გვითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თამაზ თამაზაშვილმა

**კვარცხლბეკი**

**60კგ**

1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი)
2. სოსო ცერცვაძე (ქარელი)
3. თამაზ ნოზაძე (ხაშური)

**66კგ**

1. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი)
2. ვაჟა მარგველაშვილი (ქარელი)
3. გიგა ბერიაშვილი (კასპი)

**73კგ**

1. ალიკ ნანიევი (ლაგოდეხი)
2. ზურაბ ნოზაძე (ხაშური)
3. გიორგი კაციაშვილი (კასპი)

**81კგ**

1. გიორგი პაპუნაშვილი (გორი)
2. კახა მამულაშვილი (კასპი)
3. ჯაბა ბიწაძე (ლაგოდეხი)

**90კგ**

1. თეიმურაზ ხაჩიძე (თბილისი)
2. სოსო გუზიტაშვილი (გორი)
3. ზაურ მამარდაშვილი (საგარეჯო)

**+90კგ**

1. ონისე ბულაძე (საჩხერე)
2. გიორგი ნოზაძე (ხაშური)
3. ბექა წყალობაშვილი (ყვარელი)

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიით შესაბამისად - 500, 300, 200 ლარით, დიპლომებითა და მედლებით.

**იური იმერლიშვილი**

სუმო. ნაცუ ბაშო. 11-25 მაისი


მარცხნივ თეიმურაზ ჯულელი (გაგამარუ)

# გაგამარუმ ბალანსი გაანულა

ზაფხულის ბაშოს სტარტზე ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ, **თეიმურაზ ჯულელმა (გაგამარუ)** ორი ორთაბრძოლა მოიგო და ბალანსი გამოისწორა - 2-2. გუშინ გაგამარუმ **მასუნოიამას** აჯობა და თუ დღეს **სოკოკურაისაც** მოუგებს, პირველად გაუხდება მაისის ბაშოზე დადებითი ბალანსი.

ზედიზედ მეორედ იმარჯვა **ლევან გორგაძემაც (ტოჩინოშინი)**. ჩვენებური მაკუშიტას დივიზიონის მე-6 ნომერია და ელიტურ მეორე დივიზიონში დასაბრუნებლად იბრძვის. ტოჩინოშინმა **საგაცუკასას** იორიკირის ილეთით აჯობა. დღეს ქართველის მეტოქე **კავაბატაა.**

**IV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჩიოტაირიუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო (იორიკირი), ენდო-კაკურიუ (იორიტაოში), ამინიშიკი-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), აოიამა-კისენოსატო (ოშიდაში), **გაგამარუ**-მასუნოიამა (იორიტაოში)

**V დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-ჩიოტაირიუ, კაკურიუ-ტაკეკაძე, ჰაკუჰო-ტაკარაფუჯი, კისენოსატო-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-იოშიკაძე, **გაგამარუ**-სოკოკურაი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ტანვარჯიში


სალომე ფაჟავა

# ფინალამდე 0.016 ქულა არ ეყო

ფრანგულ კორბელ-ესონიში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო თასის ეტაპი, რომელშიც 36 ქვეყნის 52 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ელიტის წარმომადგენლები - მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი იანა კუდრიავცევა (რუსეთი), მსგავსი შეჯიბრებების პრიზიორები - განა რიზატდინოვა (უკრაინა) და მარგარიტა მამუნი (რუსეთი), ახალგაზრდებში ევროპის სხვადასხვა წლების ჩემპიონები - ალექსანდრა სოლდატოვა (რუსეთი) და კატსიარინა ჰალკინა (ბელარუსი), ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე სენიე დენი (ჩინეთი) და სხვები. უმაღლესი დონის ტანმოვარჯიშეებთან პაექრობაში თბილისელმა **სალომე ფაჟავამ** (მწვრთნელები - **ელისო ბედოშვილი, ლალი დოლიძე**) 67.666 ქულით მრავალჭიდში მე-9 ადგილი დაიკავა - ფინალში შესასვლელად 0,516 ქულა არ ეყო. ქართველი ტანმოვარჯიშე ვერც ერთი ცალკეული საგნებით ვარჯიშში ვერ მოხვდა ფინალებში. ბურთით ვარჯიშში სალომემ 17.000 ქულა დაიმსახურა, ანუ იმდენივე, რამდენიც ვიქტორია ვეინბერგერ-ფილანოვსკიმ (ისრაელი), მაგრამ მსაჯებმა ებრაელი გოგონას საშემსრულებლო ხელოვნებას უპირატესობა მიანიჭეს. არადა, ფაჟავას ბურთით ვარჯიშისას ის ერთადერთი შეცდომა რომ არ დაეშვა, ამ საგანში ფინალისტთა შორის იქნებოდა. გურზებით სალომემ 17.050 ქულა დაიმსახურა და მეცხრეზე გავიდა, როცა ფინალში გამოსვლის უფლება ვეინბერგერ-ფილანოვსკიმ 17.100 ქულით ხვდა. ლენტით ვარჯიშში მერვეადგილოსან ვარვარა ფილოუს (საბერძნეთი) ჩვენებური სულ რაღაც 0,016 ჩამორჩა.

- თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სალომე ფაჟავას საფრანგეთში უკეთესი შედეგი უნდა ეჩვენებინა, - გვითხრა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ელისო ბედოშვილმა - მას ცალკეული საგნით ფინალებში უნდა ესასპარეზა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ბურთითა და რგოლით ვარჯიშებში დაშვებული შეცდომებია. ყოველივეს მიუხედავად, სალომეს გამოსვლას როგორც სპეციალისტებზე, ისე გულშემატკივრებზე ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. რუსთა და ბელარუსთა მწვრთნელებმა ეს უკვე მერამდენედ გვითხრეს, ვარსკვლავი გეზრდებათო. ჩვენთვის კი მთავარი ის არის, რომ ბოლო შეჯიბრებებში სალომე სტაბილურად გამოდის. ახლაც ისეთი ოსტატები ჩამოიტოვა, როგორებიც არიან ქსენია მუსტაფაევა (საფრანგეთი), ნილუფერ ნიფტალიევა და ლალა იუსუფოვა (აზერბაიჯანი), ჯამილა რახმატოვა (უზბეკეთი), პატრისია ბეზზუბენკო (კანადა), ნევიანა ვლადინოვა (ბულგარეთი) და სხვები. არადა, მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის წინ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. წლეულს 13 ივნისიდან კონტინენტის 20 საუკეთესო მხატვრული ტანმოვარჯიშე ბაქოში შეიკრიბება და მედლებისთვის იბრძოლებენ. როგორც იცით, ჯილდოების მაძიებელთა შორის სალომე ფაჟავაცაა. მან ეს უფლება შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე დაიმსახურა. დრო გვაქვს, ამიტომ, ვფიქრობ, ხარვეზების აღმოფხვრას შევძლებთ.

ბაქოში ჩვენი ახალგაზრდებიც იასპარეზებენ - ვიქტორია შელია, ნინო ყურაშვილი და ელინა ვალიევა. აზერბაიჯანის დედაქალაქში გამგზავრებამდე ჩვენი ტანმოვარჯიშეების სპორტული ოსტატობის შემოწმებას კიდევ ერთ ტურნირზე შევძლებთ - 28 მაისიდან მინსკში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი გაიმართება. უფროსებში იქ ფაჟავა და გაბრიელა ხვედელიძე იასპარეზებენ, ხოლო ახალგაზრდებში შელია, ყურაშვილი და ვალიევა მოსინჯავენ ძალებს.

**- საფრანგეთში ჩვენი გუნდიდან ნათელა ბოლოთაევაც გამოდიოდა.**

- მრავალჭიდში მან 59.798 ქულით 34-ე ადგილი დაიკავა. ნათელას მშობლები ცხინვალიდან არიან. თავად კი ვოლგოგრადში დაიბადა და გაიზარდა. სწორედ, მშობლების სურვილი იყო, მათს ქალიშვილს საქართველოს სახელით ესასპარეზა. ნათელა პირველად გამოვიდა ჩვენი ქვეყნის დროშის ქვეშ. კარიერაში ასეთი დონის (მსოფლიოს თასის ეტაპი) საერთაშორისო სარბიელზეც დებიუტი ჰქონდა, ამიტომ ნერვიულობდა, ხშირად უშვებდა შეცდომებს. ლამაზი გოგონაა, მოქნილი, მაგრამ მასთან ბევრი მუშაობაა საჭირო: ვარჯიშები მთლიანად შესაცვლელია, ფსიქოლოგიური მომზადებაც სჭირდება. ახლა კლასის დასამთავრებელ გამოცდებს ჩააბარებს ვოლგოგრადში და თბილისში დაბრუნდება. ეროვნულ ჩემპიონატამდე (5-6 ივლისი) ვეცდებით, ზოგიერთი კორექტივი შევიტანოთ მის ვარჯიშებში, მერე კი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დავიწყებთ მზადებას. ამ შეჯიბრებას კი სექტემბერში იზმირი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქართველები აზერბაიჯანში ყოჩაღობენ

თბილისელი **ნიკოლოზ დავლიანიძე** 16-წლამდელ ჩოგბურთელ ვაჟთა ბაქოს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. წინა კვირას მან მსგავს შეჯიბრებაში ოთხ მეტოქეს, მათ შორის - რეიტინგფავორიტ ანატოლი რანინს (უკრაინა, 7:6, 6:1), აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი ახლაც ახლოს არის მიზანთან. მე-2 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა მეოთხედფინალში რუსი ვალერი კორნილოვი ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 6:2. ნახევარფინალში მის თანამემამულე ნიკიტა პარფიონოვთან (მე-3) ითამაშებს. ამ უკანასკნელმა გუშინ **ზურაბ ტყემალაძეს** (მე-5) სძლია – 7:6, 6:2. მეორე ნახევარფინალშიც ქართველი ჩოგბურთელია - მე-4 ნომერმა **ირაკლი მეტრეველმა** პაველ კარპუშკინს 6:1, 6:4 მოუგო და ფინალში დასასვლელად პირველი რეიტინგის მქონე ანატოლი რაინინთან გაარკვევს ურთიერთობას.

ქართველები მთავარი პრიზისთვის წყვილებშიც იბრძვიან: ფავორიტები - მეტრეველი და რაინინი ნახევარფინალში რუსებს – კორნილოვსა და კუზნეცოვს (მე-4) დაუპირისპირდებიან. მე-2 წყვილში ზურაბ ტყემალაძე და რუსი ნიჯატ იბრაგიმოვი კარპუშკინ-პარფიონოვის (მე-2) დუეტს შეხვდებიან.

წარმატებით ასპარეზობენ 16-წლამდელი გოგონები. გუშინ ქართველებმა მეოთხედფინალური პაექრობები მოიგეს: **ანა მუჯირი** (მე-6) - ჟიბეკ კულამბაიევა (1-ლი) 4:6, 7:5, 6:3, **მედეა პეტრიაშვილი** (მე-3) - ტომირის კომშუხანოვა (მე-8) 6:3, 6:2, **მარიამ დალაქიშვილი** (მე-4) - აიწურ სულეიმანოვა (მე-7) 6:3, 6:4, **ნინო მემიშიში** (მე-2) - ალექსანდრა ჟულინა (მე-5) 6:4, 6:4. ნახევარფინალში ითამაშებენ: მუჯირი-პეტრიაშვილი, დალაქიშვილი-მემიშიში. წყვილთა ნახევარფინალში დალაქიშვილი და მემიშიში (მე-2) პეტრიაშვილსა და ჟულინას (მე-3) დუეტთან გაარკვევენ ურთიერთობას, ხოლო მუჯირი და კულამბაიევა (1-ლი) ფინალის საგზურისთვის გზიდან მე-4 რეიტინგის მქონე რუსების - ბაბკოვა-სოლომატინა ტანდემის ჩამოშორებას შეეცდებიან.


ზურაბ ტყემალაძე

# შაფათავა მეოთხედფინალში დამარცხდა

საფრანგეთში ჩოგბურთელ ქალთა 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირის წყვილთა მეოთხედფინალში მე-4 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავას** და ანასტასია ვასილიევას (უკრაინა) დუეტი ორ სეტში დამარცხდა ნიკოლა სლატერისა (დიდი ბრიტანეთი) და კაროლინა ვლოდარჩაკის (ავსტრალია) ტანდემთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

შარმ ელ შეიხის (ეგვიპტე) 10.000-იანი ტურნირის პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ **თამარ ჭალაგანიძისა** და ეკატერინა გუბანოვას (ყაზახეთი) დუეტი მეოთხედფინალში, როგორც გაუწყეთ, ლიზა საბინოს (შვეიცარია) და ნინა სტაიანოვიჩის (სერბეთი) ინტერნაციონალურ წყვილს დაუპირისპირდება.

ანტალიაშიც დღეს ითამაშებს მეოთხედფინალში **ანა ახალკაცი** რუს ვასილისა აპონასენკოსთან ერთად მე-2 ნომრად განთესილ ბარბარა ბონიჩისა (სერბეთი) და ხიმენა ჰერმოსოს (მექსიკა) წინააღმდეგ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი


თამარ ესაძე


ნიკოლოზ პეტრიაშვილი

# საგზურები 12-წლიანებმაც გაინაწილეს

სხვადასხვა რეგიონის 23 წარმომადგენელი მონაწილეობდა 12 წლის მოჭადრაკე გოგონათა საქართველოს პირველობაში, რომელსაც მარნეულმა უმასპინძლა. ორთაბრძოლები დაძაბულად წარიმართა. განსაკუთრებით **თამარ ესაძემ** იყოჩაღა: ცხრა შეხვედრიდან მან მხოლოდ სამი პაექრობა დაასრულა ყაიმით - **მაია ბეჭვაიასთან, მარიამ ფართლაძესა** და **ანასტასია სიდამონიძესთან,** დანარჩენ ექვს პაექრობაში, მათ შორის - მე-9 ტურში საკუთარ დასთან - **ქრისტინე ესაძესთან,** წარმატებას მიაღწია, მოაგროვა 7,5 ქულა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ამ ჩემპიონობით თამარ ესაძემ მსოფლიოს პირველობაზე გამგზავრების უფლება მოიპოვა.

ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულით მეორე ადგილი და ევროპის პირველობის საგზური გაინაღდა მაია ბეჭვაიამ. 6 ქულით ბრინჯაოს მედალი მარიამ ფართლაძეს ხვდა. მართალია, ამდენივე ქულას მოუყარა თავი ანასტასია სიდამონიძემაც, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მას მე-4 ადგილი ერგო.

ამ ასაკის ბიჭებში 9 შესაძლებლიდან 8 ქულით საუკეთესო იყო **ნიკოლოზ პეტრიაშვილი.** მომავალი ჩემპიონი მე-5 ტურში **შოთა ხოდაშნელს,** ხოლო მეცხრეში ფიდეს ოსტატ **ნიკოლოზ კაჭარავას** დაუზავდა, დანარჩენი პარტიები კი მოიგო.

გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ნიკოლოზ კაჭარავა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები ხოდაშნელმა და **ლუკა ობოლაძემ** გაინაწილეს. უკეთესი კოეფიციენტით ბრინჯაო ხოდაშნელს ერგო. 12-წლიან ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე პეტრიაშვილი გაემგზავრება, ევროპელ თანატოლებს კი კაჭარავა გაუწევს მეტოქეობას.

10, 14 და 18-წლამდელი მოჭადრაკე გოგო-ბიჭები საქართველოს პირველობაში 30 მაისიდან ჩაებმებიან. შეჯიბრებას ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლა უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

# დღეს ტაშკენტში

ქართველი დიდოსტატი **მიხეილ მჭედლიშვილი** დღეიდან ჩაებმება მოჭადრაკეთა ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პირველი უზბეკი დიდოსტატის გიორგი აგზამოვის ხსოვნას ეძღვნება და მერვედ ჩატარდება. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 20.000 ამერიკული დოლარი. გამარჯვებული 4.000, მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 3.000 და 2.000 დოლარით დაჯილდოვდებიან. სულ ფულად პრიზებს 12 საუკეთესო მონაწილე მიიღებს. შვეიცარული სისტემით 9 ტური გათამაშდება. ჩვენებური მეტოქეობას გაუწევს ისეთ ცნობილ დიდოსტატებს, როგორებიც არიან: სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი, 2675), იური კუზუბოვი (უკრაინა, 2648), არმან პაშიკიანი (სომხეთი, 2626), პაველ სმირნოვი (რუსეთი, 2626) და სხვები. მჭედლიშვილი პირველ ტურში მასპინძელ ვიქტორია სერგეევას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა

# მემორიალი 260 მონაწილით

ავჭალაში სპორტკლუბ „იმედში" მეშვიდედ მოეწყო თავისუფალი ჭიდაობის ოსტატის **ნოდარ ბეკურაშვილის** მემორიალი საქართველოსა და აზერბაიჯანის 1999-2000 წლებში დაბადებულ 260 ჭაბუკ მოჭიდავეთა მონაწილეობით.

**კვარცხლბეკი**

**23 კგ.** 1. დავით ჭუნაშვილი (ყვარელი), 2 რომან კოკორიანი (ახალქალაქი), 3. აზიზ აბდულაევი (რუსთავი), დავით ჩოხელი (დილომი). **26 კგ.** 1. აბას მაგომედოვი (დილომი), 2. გარიკ მინასიანი (ახალქალაქი), 3. ამირან ჯინჭარაძე (ლანჩხუთი), დავით ქობულაშვილი (დილომი). **29 კგ.** 1. შამინ გაჯიევი, 2. გიორგი იორამაშვილი (ორივე-ყვარელი), 3. ლუკა შარაბიძე (ლანჩხუთი), ლაშა შიხიაშვილი (მართვე). **32 კგ.** 1. დავით ქაქალაშვილი (ყვარელი), 2. გიგი ქურხული (საგარეჯო), 3. ბაჩუკი ავალიშვილი (კაზრეთი), გიორგი აფხაზავა (ქარელი). **35 კგ.** 1. გიორგი ჭოლაძე (ქუთაისი), 2. ქურხან ყურბანოვი (ბაქო), 3. გიორგი კვირკელია (ლანჩხუთი), რობი ავაზაშვილი (ყვარელი). **38 კგ.** 1. თორნიკე ასაბაშვილი (ყვარელი), 2. ნიკა სოხაძე (ქუთაისი), 3. ვასილ დილმელაშვილი (საგარეჯო), დიტო სალდაძე (ქუთაისი). **42 კგ.** 1. მიხეილ ბერძენიშვილი (ყვარელი), 2. ბაგრატ გაგნიძე (ქუთაისი), 3. თორნიკე მერებაშვილი (ხაბელოვის კლუბი), ბექა ართილაყვა (ლაჩხუთი). **47 კგ.** 1. ამირან ვახტანგიშვილი (გორი), 2. ნოდარ ავაზაშვილი (ყვარელი), 3. ნიკა მათიაშვილი (აფხაზეთი), გიორგი გუშარაშვილი (№173-ე სკოლა). **53 კგ.** 1. ავთანდილ გოდელაშვილი (ხაშური), 2. ნიკა ბერუაშვილი (გორი), 3. ნიკა ტურაშვილი (ყვარელი), ცოტნე აბალაკი (გორი). **59 კგ.** 1. გაგა გარჩაკულაშვილი (ქუთაისი), 2. გიორგი ბურჯანაძე (საგარეჯო), 3. თემურ თანდაშვილი (თბ. 180-ე სკოლა), მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო). **66 კგ.** 1. იუნის ბაირამოვი (ქარელი), 2. ამირან მაისურაძე (ონი), 3. აგილ მამადოღლი (ქარელი), ნოდარ ბიწაძე (რუსთავი). **73 კგ.** 1. ცოტნე მიქელაშვილი (ხაშური), 2. სიმონ ოსკანიანი (ქარელი), 3. გიორგი ბრეგვაძე (გორი), ნუკრი წილოსანი (ლანჩხუთი). **85 კგ.** 1. ზაალ ფსუტური (ოლიმპიური მზადების ცენტრი), 2. დავით ქოჩქიანი (დილომი), 3. ლექსო ინდუაშვილი (გორი), ვანო გუგეშაშვილი (ონი). **100 კგ.** 1. ბიძინა ინაშვილი (დილომი), 2. გიორგი ლომოური (ხაბელოვის კლუბი), 3. თორნიკე ტყეშელაშვილი (ქუთაისი), მამე კოკლიანი (თბ. 173-ე სკოლა).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერის მოლოდინში

# ქართულ-ბასკური პარალელი: კახას ვაჟს კახა იწვევს




საქართველოს ნაკრების 22 წლის ფორვარდი **თორნიკე შენგელია**, მომავალ სეზონში კარიერას, სავარაუდოდ, ევროპულ კლუბში განაგრძობს. იგი 2012 წელს NBA-ს დრაფტზე „ბრუკლინ ნეთსმა“ აიყვანა და 2014 წლის თებერვალში „ჩიკაგო ბულსს“ დაუთმო, თუმცა „ხარების“ თავკაცი **ტომ ტიბოდო** თოკოს პლეი ოფების დაწყებამდე შეელია...

ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელმა ამერიკაში **კევინ გარნეტის, ანდრეი კირილენკოს, იოაკიმ ნოასა** და სხვა ვარსკვლავების გვერდში ვარჯიშით დიდი გამოცდილება მიიღო, თუმცა სხვა საქმეა სათამაშო პრაქტიკა. მას ამერიკაში თამაში თითქმის არ უწევდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ევროპაში დაბრუნება.

ისიც დავწერეთ, თორნიკეს დამატების სურვილს მადრიდის „რეალი“ გამოთქვამსო, თუმცა სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა დამოკიდებულია **ნიკოლა მიროტიჩის** გუნდიდან წასვლა-არწასვლაზე. როგორც ამბობენ, იგი მომავალ სეზონში „ჩიკაგოში“ გააგრძელებს კარიერას.

ამასობაში გამოჩნდა კიდევ ერთი კლუბი, რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული თორნიკესთან კონტრაქტის გაფორმებით - „კახა ლაბორალი“, ბასკური ქალაქ ვიტორიას გუნდი, რომელიც ამ სეზონში „ლაბორალ კუჩას“ სახელით გამოდის. ცნობილია ისიც, რომ მთავარი მწვრთნელის **სერჟიო სკარიოლოს** (ესპანეთის ნაკრებს წვრთნიდა) ინიციატივით კლუბის ხელმძღვანელობა შენგელიას სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერას ქართული მხარე არ ჩქარობს. შესაძლოა, ეს გამართლებულიცაა, რადგან სადღეისოდ უცნობია, რა ბედი ეწევა „ლაბორალ კუჩას“ ესპანეთის ჩემპიონატში. გუნდი მეშვიდე ადგილზეა და პლეი ოფშიც ითამაშებს, მაგრამ საკითხავი ის არის, საბოლოოდ რომელ პოზიციაზე დაასრულებს პირენეულ პირველობას და მომავალ სეზონში რომელ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. მაგალითად, 2012-13 წლების სეზონი ესპანეთის პირველობა მეოთხედფინალში დაასრულა, თუმცა ევროლიგაზე მაინც ითამაშა, რადგან სათანადო ლიცენზია ჰქონდა.

სკაუტების მხრიდან ყურადღება არც ევროთასს აკლია, მაგრამ ევროლიგაზე თავის გამოჩენა გაცილებით სხვა მოვლენაა. ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას მოთმინებით დაველოდოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუპერლიგა 2013-14. 1/2 ფინალი

# საკალათბურთო ბესტსელერი ქუთაისში

**ქუთაისი-არმია 82:79**

**20:20, 14:16, 34:18, 14:25**

**ქუთაისი:** გრძელიძე (6ქ), დიდია (8ქ), ცეკვავა (14ქ), დ. ბარბაქაძე (14ქ), ა. დვალიშვილი (18ქ, 11მ), ლომინაშვილი (2ქ) გ. ბარბაქაძე (20ქ, 10მ).

**არმია:** ბაბუნაშვილი (2ქ, 6პ), ჯგერენაია (10ქ, 8მ), წივწივაძე (12ქ), შარაბიძე (17ქ, 11მ), ფარლალავა (25ქ, 6მ), ბაბიაშვილი, ბოისა (1ქ), ბერიშვილი (10ქ, 5მ), კვიმსაძე (2ქ).

**სერიაში ანგარიშია - 2:2**

„ქუთაისსა“ და „არმიას“ შორის ნახევარფინალური სერიის მეოთხე დაპირისპირებას ქუთაისის სპორტის სასახლე კვლავ გადაჭედილი ტრიბუნებით შეხვდა. სასახლის ახლომდებარე სადგომებსა და ეზოებში ავტომობილების დასაყენებელ ადგილს ვერ ნახავდით, დარბაზში კი ფეხზე დასადგომი ადგილიც ძნელი მოსაძებნი იყო. თამაშმა გულშემატკივრების იმედები ბოლომდე გაამართლა, გუნდებმა მართლაც რომ უშელავათო ბრძოლა და ლამაზი სანახაობა შემოგვთავაზეს, ქუთაისელ ქომაგთა გასახარად მათმა საყვარელმა გუნდმა ბოლო წამებზე შეძლო გამარჯვების მოპოვება და სერიაში ანგარიშის გათანაბრება. თუმცა, აჯობებს მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ.

■ ■ ■

პირველ წუთებზე ქუთაისელთაგან **გიგი ბარბაქაძე** და **ლევან ცეკვავა** გამოირჩეოდნენ, სტუმართაგან კი დებიუტში საუკეთესო **გიორგი ჯგერენაია** გახლდათ, საწყის წუთებში არმიელთა მიერ მოპოვებული შვიდივე ქულა სწორედ გიორგის ანგარიშზე იყო. მას კარგად აუბეს მხარი **ლაშა ფარლალავამ** და **გიორგი შარაბიძემ**. ერთ ეპიზოდში მათ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, შარაბიძემ ეფექტურად ჩატენა ბურთი და „არმია“ 11:5 დააწინაურა. ჩამორჩენამ **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდები გააქტიურა, **რეზო დიდიას**, ცეკვავასა და **აკაკი დვალიშვილის** შედეგიანი შეტევების შედეგად ამჯერად მასპინძლები დაწინაურდნენ 14:12. პირველ მეოთხედში, რომელიც 20:20 დასრულდა, ასევე დასამახსოვრებელი იყო გიგი ბარბაქაძის ბრწყინვალე ალეი-უპი.

მეორე მეოთხედის დასაწყისში **დავით ბარბაქაძემ** მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ ამას ქუთაისელთა შეცდომები და უილბლო შეტევები მოჰყვა, ამით კარგად ისარგებლეს არმიელებმა, **ბექა წივწივაძის,** შარაბიძისა და ფარლალავას აქტიურობის შედეგად უპირატესობა კვლავ სტუმართა მხარეს გადავიდა. ქუთაისელთათვის დროული იყო **დავით ბარბაქაძის** სამქულიანი, რომელმაც მასპინძლები მცირედით ამოასუნთქა. თუმცა რიონისპირელები კვლავ აგრძელებდნენ უწყინარ ვითარებაში შეცდომების დაშვებას და სროლებიც არ მისდიოდათ, მათდა საბედნიეროდ, არც სტუმრები ბრწყინავდნენ, შარაბიძის ტექნიკური ჯარიმის შემდეგ მასპინძლებმა პირველი ტაიმის ანგარიში დააფიქსირეს - 36:34 „არმიას“ სასარგებლოდ.

მესამე მეოთხედში გიგი ბარბაქაძემ ანგარიში გაათანაბრა, დვალიშვილმა კი ფარქვეშიდან ორი ზუსტი სროლით მასპინძლები დააწინაურა 40:36, მალხაზ კოხრეიძის შეგირდებს მეორე სუნთქვა გაეხნათ, ისინი სტუმრებზე უკეთ ირჯებოდნენ და თანდათან ანგარიშსაც ზრდიდნენ, როცა ანგარიში ქუთაისელთა სასარგებლოდ 48:42 გახდა, მოედანზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ფარლალავასა და დვალიშვილს შორის შეკამათება მოხდა, რამაც გულშემატკივართა განრისხება და აგრესია გამოიწვია. დარბაზში პლასტმასის ბოთლიც ისროლეს... აგრესიულად განწყობილი ფანები თავადვე გულშემატკივრებმა დააოკეს და საბედნიეროდ, ყველაფერი მალევე ჩაწყნარდა. თამაში მასპინძლების უპირატესობით გაგრძელდა, გულშემატკივართა გამაყრუებელი ყიჟინის ფონზე ქუთაისელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, ცეკვავას ზუსტი შეტევის შემდეგ ისინი 14 ქულით (56:42) გაიჭრნენ წინ. ძმები ბარბაქაძეების სამქულიანების შემდეგ კი „ქუთაისმა“ 16 ქულამდე გაზარდა უპირატესობა, მესამე მეოთხედის შემდეგ კი ტაბლოზე ქუთაისელთა სასარგებლოდ 68:54 დაფიქსირდა.

■ ■ ■

როგორც ჩანს, ქუთათურებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, თანაც დაღლაც დაეტყოთ, რისი მიზეზიც მათი მოკლე სათადარიგოთა სკამია. ამით კარგად ისარგებლეს თბილისელებმა და მასპინძელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. წივწივაძის ტრავმის მიუხედავად, რის გამოც მან თამაში ველარ გააგრძელა, სტუმრებმა გაილაღეს, **მიხეილ ბერიშვილის**, შარაბიძის და ფარლალავას ზუსტი ტყორცნებით „არმიამ“ მატჩის დამთავრებამდე 3:31 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა 73:73, ფარლალავამ კი ორი ზუსტი საჯარიმოთი სტუმრები დააწინაურა.



ბოლო წუთებმა უშელავათო ბრძოლაში ჩაიარა: გიგი ბარბაქაძის სამქულიანი და - 77:77. შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა, შარაბიძემ ორივე საჯარიმო გამოიყენა და საკუთარი გუნდი წინ გაიყვანა 77:79, საპასუხოდ გიგიმ საჯარიმო სროლებითვე გაათანაბრა ანგარიში. არმიელთა უნაყოფო შეტევის შემდეგ კი **ლევან გრძელიძემ** კიდევ ორი საჯარიმო გამოიყენა. „არმიას“ წუთშესვენების შემდეგ ფარლალავამ სამქულიანით სცადა მოგება, მაგრამ მიზანმა უმტყუნა... ფარიდან ასხლეტილი ბურთი **ავთო ლომინაშვილმა** მოხსნა და მასზე სწრაფადვე დაჯარიმდნენ. ლომინაშვილმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და მატჩის დასრულებამდე 8.5 წამით ადრე „ქუთაისი“ 3 ქულით დააწინაურა 82:79.

წინა დღით თითქმის ანალოგიურ ვითარებაში არმიელებმა შეძლეს მატჩის ჯერ ოვერტაიმში გადაყვანა და შემდეგ მოგებაც, მაგრამ ამჯერად ილბალი ქუთაისელთა მხარეს აღმოჩნდა, სტუმრებს ბოლო სროლაც გაუცუდდათ და იქვე მსაჯის სირენაც გაისმა. მოკლედ, „ქუთაისი“ გავა ფინალში თუ „არმია“, ეს ამ გუნდების მეხუთე ნახევარფინალურ დაპირისპირებაში გადაწყდება, რომელიც 17 მაისს თბილისში გაიმართება.

■ ■ ■

ქუთაისელთაგან საუკეთესოები გიგი ბარბაქაძე და აკაკი დვალიშვილი იყვნენ, რომლებმაც ორმაგი დუბლები მიითვალეს, ბარბაქაძემ 20 ქულა და 10 მოხსნა ჩაიწერა, დვალიშვილი კი 18 ქულითა და 11 მოხსნით გამოირჩა. 14-14 ქულით ახეირეს გუნდი ლევან ცეკვავამ და დავით ბარბაქაძემ. არმიელთაგან 17 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა გიორგი შარაბიძემ, სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანი კი ლაშა ფარლალავა გახლდათ, რომელმაც საკუთარ გუნდს 25 ქულა მოუპოვა.

■ ■ ■

**მედეა მხეიძე** („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- „ქუთაისის“ ყველა გულშემატკივარს ვულოცავ გამარჯვებას, რომელიც დიდი ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ. გუშინდელი დაძაბული მატჩის შემდეგ ორივე გუნდს ეტყობოდა დაღლილობა, განსაკუთრებით მეოთხე პერიოდში გაგვიჭირდა, როცა 14-ქულიანი უპირატესობის შემდეგ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით, თუმცა შეხვედრის მიწურულს ძალები მოვიკრიბეთ და მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულეთ. თბილისში ურთულესი მატჩი გველოდება და იმედია, გულშემატკივრობა დედაქალაქშიც არ მოგვაკლდება.

**კოტე ტულუში** („არმიას“ მწვრთნელი):

- დიდი მადლობა „ქუთაისს“ და მის გულშემატკივრებს ასეთი თამაშისთვის. მეორე პერიოდის დასასრულს, თამაშის მსვლელობისას გარკვეული ინციდენტი მოხდა, რასთან დაკავშირებითაც საჩივარი დავწერეთ და ვნახოთ, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული...

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

ქართველი საბერძნეთში

## ასპროცენტიანი შერმადინი

ელინთა პირველობის მეოთხედფინალი იოლი გამარჯვებით გახსნა **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა“. პირეოსელებმა **ნიკა ცქიტიშვილისა** და **ვლადიმერ ბოისას** ყოფილ კლუბ „პანიონიოსს“ უმასპინძლეს და 78:43 აჯობეს.

შერმადინმა მოედანზე 13 წუთი გაატარა და ბურთი ერთხელაც არ აუცილებია - 2-დან 2 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა. 5 ქულას 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა წაუმატა.

„ოლიმპიაკოსს“ **მარდი კოლინზი** გაუძლვა. მან სახელი აშკარად გაამართლა - 16 ქულას მოუყარა თავი.

სერიის მეორე მატჩი დღეს ისევ პირეოსში გაიმართება.



**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ქართული ლეგიონის მონაგარი ელიტაში

**საფრანგეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ელიტურ დივიზიონებში რეგულარული გათამაშება დასრულდა და ახლა საპლეიოფო ციებ-ცხელებაა.**

ქართველ მორაგბეთა ნაწილმა სეზონი უკვე დაასრულა. მათ შორის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ბურგ ან ბრესისა" და საქართველოს ნაკრების შუამარბმა **თამაზ მჭედლიძემ**, რომელმაც 11 მაისს ამავე დივიზიონის „აჟენთან" მოაწერა ხელი სამწლიან კონტრაქტს.

„აჟენმა" მეორე დივიზიონის რეგულარულ გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა და ახლა პლეი ოფში ელიტაში გადაბარგებისთვის იბრძოლებს. თუ აჟენელებმა წარმატებით იასპარეზეს, მჭედლიძე ერთადერთი ქართველი უკანახაზელი იქნება, რომელიც პირველ დივიზიონში ითამაშებს.

საგულისხმოა, რომ წლეულს ელიტაში 16-მა ქართველმა მორაგბემ იასპარეზა. აქედან 14 პირველხაზელია, ერთი-მესამეხაზელი და ერთიც მეორეხაზელი. ყველაზე მეტი, 22 მატჩი „ბრივის" შერკინების ბურჯმა **კარლენ ასეიშვილმა** გამართა. თუმცა, ყველაზე მეტი, 1 058 წუთი დაყო მოედანზე „მონპელიეს" შერკინების ბურჯმა **მიხეილ ნარიაშვილმა.** მან 17 მატჩში ითამაშა. 20 თამაში გამართა და 1 026 წუთი დაუგროვდა „პერპინიანის" შერკინების ბურჯს **გიორგი ჟღენტს.**

ქართველი მორაგბეებიდან ყველაზე მეტი, ხუთი ლელო გაიტანა „მონპელიეს" მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ.** თითო ლელო ტულუზელი **ჯაბა ბრეგვაძისა** და კარლენ ასეიშვილის ანგარიშზეა. ამ უკანასკნელს სეზონის განმავლობაში ოთხჯერ უჩვენეს ყვითელი ბარათი. ერთადერთი ქართველი, რომელმაც წითელი ბარათი დაიმსახურა, „ტულონის" მეორეხაზელი **კონსტანტინე მიქაუტაძეა.**

პირველ დივიზიონში მოთამაშე ჩვენებურთაგან ყველაზე ახალგაზრდა „ბორდოს" პირველხაზელი **ზაზა ნავროზაშვილია** - 21 წელი. ყველაზე ასაკოვანი კი „ბრივის" 36 წლის შერკინების ბურჯი **გოდერძი შველიძეა.** ალსანიშნავია, რომ სეზონი სინბინის გარეშე დაასრულა მამუკა გორგოძემ. შედარებისთვის - მას ყვითელი ბარათი შარშანდელ სეზონში ოთხჯერ უჩვენეს.

### ქართველების მონაგარი

1. ლევან ჩილაჩავა - ბურჯი, 22 წლის, ტულონი, 7 თამაში, 197 წუთი.
2. კოტე მიქაუტაძე - მე-2 ხაზი, 22 წლის, ტულონი, 10 თამაში, 1 წითელი ბარათი, 341 წუთი.
3. მამუკა გორგოძე - მონპელიე, მე-3 ხაზი, 29 წლის, მონპელიე, 12 თამაში, 5 ლელო, 855 წუთი.
4. მიხეილ ნარიაშვილი - ბურჯი, 23 წლის, მონპელიე, 17 თამაში, 1058 წუთი.
5. დავით ზირაქაშვილი - ბურჯი, 30 წლის, კლერმონი 14 თამაში, 750 წუთი.
6. ჯაბა ბრეგვაძე, კვაჭი - 27 წლის, ტულუზ, 6 თამაში, 1 ლელო, 316 წუთი.
7. ვასილ კაკოვინი - ბურჯი, 24 წლის, ტულუზ, 2 თამაში, 55 წუთი
8. დავით ხინჩაგიშვილი - ბურჯი, 31 წლის, მეტრო რასინგ - 13 თამაში, 567 წუთი.
9. ანტონ ფეიქრიშვილი - ბურჯი, 26 წლის, კასტრი, 15 თამაში, 2 ყვითელი ბარათი, 493 წუთი.
10. დავით ქუბრიაშვილი - ბურჯი, 28 წლის, სტად ფრანსე, 11 თამაში, 266 წუთი.
11. ზურაბ ჟვანია, ბურჯი - 22 წლის, სტად ფრანსე, 3 თამაში, 17 წუთი.
12. ზაზა ნავროზაშვილი - ბურჯი, 21 წლის, ბორდო, 1 თამაში, 3 წუთი.
14. კარლენ ასიეშვილი - ბურჯი, 27 წლის, ბრივი, 22 თამაში, 1 ლელო, 4 ყვითელი ბარათი, 939 წუთი.
15. გოდერძი შველიძე - ბურჯი, 36 წლის, ბრივი, 16 თამაში, 2 ყვითელი ბარათი, 621 წუთი.
16. გიორგი ჟღენტი - ბურჯი, 28 წლის, პერპინიანი, 20 თამაში, 2 ყვითელი ბარათი, 1026 წუთი

მეტოქეები

# ოლ ბლექსთან თამაში 1 მილიონი ღირს



რიჩი მაქოა და მაა ნონუ

**2015 წელს ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში, საქართველოს ნაკრების მეტოქე ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი, ნოემბრის ტესტებზე პირველ მატჩს 1 ნოემბერს ჩიკაგოში, „სოლდიერ ფილდზე", ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან გამართავს.**

ამ მატჩის ჩატარების თაობაზე ხმები ნახევარ წელიწადზე მეტია დადის. თუმცა, ოფიციალურად შეთანხმების მიღწევის შესახებ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა ახლახან განაცხადა. „ოლ ბლექსი" „არწივებს" ამერიკული ფეხბურთის გუნდის „ჩიკაგო ბიარზის" სტადიონზე დაუპირისპირდება, რომელიც 61 000 მაყურებელს იტევს.

ამერიკის შეერთებული შტატების რაგბის ფედერაციამ ახალი ზელანდიის ნაკრების სტუმრობაში ერთი მილიონი დოლარი გადაიხადა.

*„მოხარულნი ვართ, რომ „ოლ ბლექსის" სტუმრობა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიდი მოვლენაა. ჩიკაგოს „სოლდიერ ფილდი" შესანიშნავი სტადიონია საიმისოდ, რათა ორივე გუნდმა თავისი შესაძლებლობები წარმოაჩინოს. ახლახან გახლდით ამ სპორტულ არენაზე და აღფრთოვანებული დავრჩი მისი სიდიადით. მიხარია, რომ რაგბის პირველად „სოლდიერ ფილდზე" ჩვენ ვითამაშებთ"* - თქვა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **სტივ ტიუმ.**

ახალი ზელანდიისა და აშშ-ის ნაკრებები ბოლოს 23 წლის წინათ, 1991 წელს გამართულ მსოფლიოს თასზე შეხვდნენ. „ოლ ბლექსის" ლეგენდას **რიჩი მაქოას** მიაჩნია, რომ მის ნაკრებს ამერიკული რაგბის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია.

*„აშშ-ში ამერიკული ფეხბურთი და კალათბურთი ძალიან პოპულარული სპორტის სახეობებია. რაგბისა და „ოლ ბლექსის" შესახებ იქ ცოტამ თუ იცის. ამდენად, შანსი გვეძლევა ვუჩვენოთ, რომ რაგბი - ეს ყველაფერია."* - თქვა მან.

ახალი ზელანდიის ნაკრებმა მსგავსი ტიპის შეხვედრა შარშან იაპონიაში გამართა. მატჩს 25 ათასი მაყურებელი დაესწრო. ახალზელანდიელი მაორებისა და აშშ-ის ნაკრების დაპირისპირებისას კი ფილადელფიაში ანშლაგი იყო.

ამასობაში „ოლ ბლექსის" თავკაცმა **სტივ ჰანსენმა** იმ 35 მორაგბის სია გააცხადა, რომლებიც ივნისის ტესტებზე ინგლისის ნაკრებს სამმატჩიან სერიაში დაუპირისპირდებიან. გუნდში ხუთი ახალწვეულია. ესენი არიან: **ნათან ჰარისი** (ჩიფსი), **ლიამ კოლტმენი, მალაკაი ფეკიტოა** (ორივე-ჰაილენდეზი), **პატრიკ ტუიპულოტუ** (ბლუზი) და **თი ჯეი პერანარა** (ჰარიკენზი). ივნისში, როგორც აქამდეც ცნობილი იყო, „ოლ ბლექსს" ვერ დაეხმარება მგეზავი **დენ კარტერი,** რომელიც ამჟამად შვებულებაშია.

### ახალი ზელანდია

**პირველი ხაზი:** კევინ მეალამუ, ჩარლი ფაუმუნია, ტონი ვუდკოქი (სამივე-ბლუზი), ნატან ჰარისი (ჩიფსი), დენ კოლი, ბენ ფრენკსი (ორივე-ჰარიკენზი), ლიამ კოლტმენი (ჰაილენდეზი), ვაით კროკეტი, ოუენ ფრენკსი (ორივე-კრუსეიდერზი).

**მეორე ხაზი:** პატრიკ ტუიპულოტუ (ბლუზი), ბროდი რეტალიკი (ჩიფსი), ჯერემი ტრუში (ჰარიკენზი), დომინიკ ბაიდი, სემ ვაითლოქი (ორივე -კრუსეიდერზი).

**მესამე ხაზი:** ჯერომ კაინო, სტივენ ლაუტუა (ორივე-ბლუზი), სემ კინი, ლიამ მესამი (ორივე-ჩიფსი), ვიქტორ ვიტო (ჰარიკენზი), რიჩი მაქოა, კირან რიდი, ლუკ ვაითლოქი (სამივე-კრუსეიდერზი).

**№9:** ტავერ კერლ-ბარლოუ (ჩიფსი), თი ჯეი პერანარა (ჰარიკენზი), აარონ სმითი (ჰაილენდზერზი).

**№10:** აარონ კრადენი (ჩიფსი), ბოდენ ბარეტი (ჰარიკენზი), კოლინ სლედი (კრუსეიდერზი).

**№12-13:** მაა ნონუ (ბლუზი), კონრად სმიტი (ჰარიკენზი), რაიან კროტი (კრუსეიდეზი), მალაკაი ფეკიტოა (ჰაილენდერზი).

**№11-14:** კორი ჯეინი, ჯულიან სავეა (ორივე-ჰარიკენზი), ბენ სმიტი (ჰაილენდერზი).

**№15:** იზრაელ დაგი (კრუსეიდერზი)

**გვერდი მოამზადა**
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ლელო



# უცხოელების თვალით დანახული ლელო

**უძველესი ქართული სპორტის სახეობა ლელო ჩვენში ნელ-ნელა პოპულარობას იხვეჭს. ამ თამაშის ფედერაცია წარსულში ცნობილმა მორაგბემ, ქართული რაგბის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა დავით კილასონიამ დააარსა და ნელ-ნელა ქვეყნის ყველა რეგიონში ცდილობს მის განვითარებას.**

ცხადია, თანამედროვე ლელო სრულიად განსხვავებულია იმ ბრძოლასთან, რომელიც ყოველწლიურად გურიაში, სოფელ შუხუთში აღდგომა დღეს იმართება. წლეულს მორიგ თამაშს ბრიტანელი ჟურნალისტები **ჯორდი პერდიგო** და **კრისტინა ალდუელა** შეესწრნენ და ინტერნეტ პორტალ www.vice.com -ზე მკითხველს თავიანთი შთაბეჭდილება გაუზიარეს. მოკლე წერილს თვალსაჩინოებისთვის უხვად ახლავს ფოტომასალაც. ავტორებმა წერილს დაარქვეს: „ლელო - ყველაზე გიჟური სპორტი მთელ მსოფლიოში".

გთავაზობთ ამონარიდს ამ პუბლიკაციიდან

*„არავითარი შეზღუდვა დროში, არავითარი წესები, მოთამაშეების განუსაზღვრელი რაოდენობა - მოდით, ითამაშეთ ლელო! ეს არის თამაში, რომელშიც შერწყმულია რაგბი და ჭიდაობა. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, სოფელ შუხუთში ყოველ აღდგომას ამ ქვეყნიდან წასულთა საპატივცემულოდ ლელო იმართება. ეს არის თამაში, რომელიც გამოირჩევა უდიდესი ჟინით, ძალით, რწმენითა და თავდადებით.*

*წარმოიდგინეთ ორი ნაკადული, რომელთა შორის მანძილი 150 მეტრია. ეს ნაკადულები ორივე გუნდის ლელოს ხაზია. როგორც ვთქვით, მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდული არ არის და თამაშში ჩართვა ნებისმიერს, როცა მოესურვება, მაშინ შეუძლია.*

*ნაკადულებს შორის სახლები და ბაღჩა-ბაღებია. მიზანი მარტივია: 16-კილოგრამიანი ბურთი საკუთარ „ქალაქში", ნაკადულს იქით უნდა გადაიტანო. საოცარი სანახვია ძალ-ღონით სავსე მამაკაცები, რომლებიც მთელ სოფელში დარბიან, ღობეებზე დაძვრებიან. ბევრი მათგანი ახლო ბრძოლაში დაშავდა კიდეც.*

*ლელოში გამარჯვება მარტო მეტოქის დამარცხებას არ ნიშნავს. ეს არის პატივისცემა უდროოდ წასული მეგობრებისადმი, რომლებიც ამ დღეს ვერ მოესწრნენ. სწორედ ამიტომ, ბურთი გამარჯვების შემდეგ სასაფლაოზე მიაქვთ გარდაცვლილის საპატივცემულოდ".*





ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი


სტენ ვან განდი

# ოფიციალურად: დეტროიტი ვან განდის ჩააბარეს

„დეტროიტ პისტონზის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება **სტენ ვან განდი**, რომელიც პარალელურად საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტის როლს შეასრულებს. „დეტროიტის" პოლიტიკიდან გამომდინარე, კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, გამოცდილ სპეციალისტთან 5-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ღირებულებაა 35 მილიონი დოლარი.

ვან განდი 2003-05 წლებში „მაიამი ჰიტსა" და 2007-2012 წლებში „ორლანდო მეჯიქს" ავარჯიშებდა. 2009 წელს ეს გუნდი NBA-ის ფინალში გაიყვანა. სულ მის ანგარიშზე 371 მოგება და 208 წაგებაა. გამარჯვებათა პროცენტი შეადგენს 64.1-ს, რაც მეექვსე მაჩვენებელია იმ მწვრთნელებს შორის, რომლებსაც კარიერაში მინიმუმ 500 მატჩი მოუგიათ.

54 წლის სპეციალისტი „გოლდენ სტეიტის" მწვრთნელობის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიიჩნეოდა, მაგრამ ამ ბრძოლაში გამარჯვებას „დეტროიტმა" მიაღწია, რადგან ვან განდის უფრო მეტი უფლებამოსილება მიანიჭა.

● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია



დიეგო ულისი

# ჯირო მთებში მიდის

ჯირო დ'იტალიას მეხუთე ეტაპზე ველომარათონის მონაწილეები მესამე კატეგორიის სირთულის მთაზე ავიდნენ, გარდა ამისა, მეოთხე სირთულის ორი ამაღლება დაძლიეს. შესაბამისად, პირველად მიიღეს თავის გამოჩენის შანსი გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტებმა, თუმცა დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ.

გაქცევა პირველ კილომეტრებზე 11 ველომრბოლმა მოაწყო. ამ ჯგუფში შედიოდნენ სპრინტერები - **ფარარი, ვივიანი** და **სვიფტი**. მათ საშუალედო ფინიშზე ბონუსქულებისთვის გამართეს ბრძოლა, რომელიც სვიფტის გამარჯვებით დასრულდა.

სულ მალე კი მონაწილეებმა ეტაპის მთავარ მთამდე მიაღწიეს - ეს იყო რვა კილომეტრი სიგრძის მესამე კატეგორიის აღმართი და მის მწვერვალზე პირველი ავიდა გაქცეულთა ჯგუფის კიდევ ერთი წევრი **მიგელ რუბიანო**.

პელოტონი დაწინაურებულ ველომრბოლებს ფინიშამდე 14 კილომეტრით ადრე დაეწია, 10 კილომეტრით ადრე კი ძირითად ჯგუფში 40 ველომრბოლი იყო დარჩენილი. სწორედ მათ შორის გათამაშდა ეტაპზე პირველობა. ბოლო მეტრებზე წარმატებული შეტევა ჰქონდა **დიეგო ულისის**, რომელსაც სულ მცირედით ჩამორჩა ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი **კეიდელ ევანსი**.

გენერალური კლასიფიკაციის ფავორიტთაგან ერთადერთი **სამეულ სანჩესი** გამოვარდა ძირითადი ჯგუფიდან და ეტაპზე მისმა ჩამორჩენამ წუთ-ნახევარი შეადგინა. ვარდისფერი მაისურის მფლობელმა **მაიკლ მეტიუზმა** პირველ ათეულში დაასრულა რბოლა და საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა.

დღეს ჯიროს მონაწილეებს ელით ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ეტაპი - პელოტონს 247 კილომეტრის გავლა მოუწევს და ბოლოს ელოდება რთული 10-პროცენტიანი გრადიენტის აღმართი.

**V ეტაპი**

1. **დიეგო ულისი** (იტა, Lampre-Merida) - 5.12,39; 2. **ხულიან არედონდო** (კოლ, Trek) - +0,01; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 4. **რიგობერტო ურანი** (კოლ, Omega Pharma) - იგივე დრო; 5. **რაფალ მაიკა** (პოლ, Tinkoff-Saxo) - იგივე დრო; 6. **მაიკლ მეტიუზი** (ავსტრა, Orica) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **მაიკლ მეტიუზი** (ავსტრა, Orica) - 17.41,23; 2. **პიტერ ვენინგი** (ჰოლ, Orica) - +0,14; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,15; 4. **რიგობერტო ურანი** (კოლ, Omega Pharma) - +0,19; 5. **რაფალ მაიკა** (პოლ, Tinkoff-Saxo) - +0,26; 6. **ედვალდ ჰაგენი** (ნორ, Sky) - +0,35...

● კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# მსაჯებით მოგებული მატჩი

მეხუთე მატჩის სტარტი ძალიან ჰგავდა წინა შეხვედრის დებიუტს. ისევე როგორც ორი დღის წინ ლოს ანჯელესში, ოკლაჰომა-სიტიშიც „კლიპერსი" თავიდანვე სოლიდური სხვაობით დაწინაურდა - პირველი მეოთხედის ბოლოს სტუმრების უპირატესობა 15 ქულას შეადგენდა. და ამჯერადაც, „თანდერი მალე მოეგო გონს, რაც პირველი და მეორე მეოთხედების მიჯნაზე 18:4 გაქცევაში გამოიხატა. საბოლოოდ, პირველი ტაიმი კალიფორნიელებმა 6 ქულის სხვაობით მოიგეს და თამაშზე კონტროლი არც მესამე მეოთხედში დაუკარგავთ. ბოლო 12-წუთეულის წინ სტუმრებს ისევ ექვსქულიანი უპირატესობა ჰქონდათ.

დიდი ხანი არ მისდიოდა თამაში **კევინ დურანტს** და მეორე ტაიმისთვის მის ანგარიშზე მხოლოდ 4 ქულა იყო. მან ვერც მეოთხე მეოთხედში გამოასწორა თამაში და ლიდერობა მთლიანად **რასელ უესტბრუკს** გადაულოცა. თუმცა მხოლოდ მისი მონდომება საკმარისი არ იყო. „ოკლაჰომას" საქმეები უკან მიდიოდა და 4.13 წუთით ადრე, „კლიპერსი" 13 ქულით იგებდა - 101:88.

მაგრამ ამ რთულ სიტუაციაში „ოკლაჰომა" არ დანებდა. უესტბრუკმა მაშინვე ფარქვეშ შესვლით უპასუხა, შემდეგ კი სამქულიანი ჩააგდო დურანტმა. მასპინძლებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ. თან მიზანი გაუფუჭდათ **კრის პოლსა** და **ჯამალ კროუფორდს** და სხვაობა უკვე ოთხ ქულამდე დავიდა. სწორედ ამ დროს „კლიპერსს" გაუმართლა: **ბლეიკ გრიფინმა** ერთი საჯარიმო ჩააგდო, მეორე ააცილა, მაგრამ კალიფორნიელებმა შეტევაში მოხსნეს ბურთი და პოლმა საშუალო დისტანციიდან ჩააგდო. „კლიპერსი" უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, რადგან სირენამდე 49.2 წამით ადრე ანგარიში იყო 104:97.

გუნდისთვის კრიტიკულ მომენტში გმირული თამაში აჩვენა დურანტმა. თავიდან მან სამქულიანი ჩააგდო, კროუფორდის აცილების შემდეგ კი კონტრშეტევაში გაიქცა და „თანდერის" დეფიციტი ორ ქულამდე დაიყვანა.

სათამაშო რჩებოდა 17.8 წამი. სტუმრებმა სწრაფად მიაწოდეს ბურთი პოლს, მაგრამ უესტბრუკმა შეძლო ჩაჭრა და ბურთი **რეჯი ჯექსონს** მიუვიდა. ის ფარქვეშ შევარდა, სადაც **მეტ ბარნსი** დახვდა. და სწორედ აქ დაფიქსირდა მომენტი, რომელიც დიდი კამათის საბაბი გახდა. მსაჯებმა მიიჩნიეს, რომ „კლიპერსის" ფორვარდმა აუტში გადააგდო ბურთი, მაგრამ მაინც ვიდეოჩანაწერის ნახვა გადაწყვიტეს. აშკარად გამოჩნდა, რომ ბურთი აუტში ჯექსონისგან გადავიდა, ოღონდ ბარნსის პერსონალურის შემდეგ. მაგრამ საქმე ისაა, რომ NBA-ის რეგლამენტის მიხედვით, ასეთ სიტუაციაში ჯარიმის დაფიქსირება არ შეიძლება. მსაჯები ასეც მოიქცნენ, მაგრამ ბურთი რატომღაც „ოკლაჰომას" დაუტოვეს, რამაც **დოკ რივერსის** სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ასეა თუ ისე, „თანდერი" ჯერ ისევ აგებდა ორ ქულას. თამაშის ბედის გადაწყვეტა უესტბრუკს მიანდეს, რომელმაც წინა მატჩის მსგავსად ისევ ააცილა სამქულიანი, ოღონდ ამჯერად მასზე თამაშის წესი დაარღვია კრის პოლმა და „ოკლაჰომას" გამთამაშებელმა სამივე საჯარიმო ჩააგდო.

„კლიპერსს" კიდევ რჩებოდა 6.3 წამი საბოლოო წერტილის დასასმელად. რა თქმა უნდა, ბურთი პოლს მიაწოდეს. მის წინააღმდეგ **სერჟ იბაკა** აღმოჩნდა და კალიფორნიელთა ლიდერმა სისწრაფეში უპირატესობის გამოყენება სცადა, მაგრამ ოკლაჰომელმა პოზიცია არ დაკარგა და ყურადღება გაუფანტა მეტოქეს, ამასობაში კი პოლს ჯექსონი წამოეპარა და ბურთიც წაართვა, რითაც „ოკლაჰომას" გამარჯვება მოუტანა, ოღონდ გამეორებაზე გამოჩნდა, რომ მსაჯები აქაც შეცდნენ, რადგან პოლს ხელი ჩაარტყეს და ასე დაატოვებინეს ბურთი.

ასეა თუ ისე, „ოკლაჰომას" ერთი ნაბიჯი აკლია კონფერენციის ფინალამდე, „კლიპერსმა" კი უნდა გადაყლაპოს ეს წაგება და NBA-ის მხრიდან ბოდიშს დაელოდოს, თუმცა ეს დიდი შვება ვერ იქნება რივერსის გუნდისთვის.

**ოკლაჰომა-კლიპერსი 105:104**

**25:34, 27:24, 28:28, 25:18**

ო: უესტბრუკი (38+6 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), დურანტი (27+10 მოხსნა+5 პასი), ადამსი (9), იბაკა (8+7 მოხსნა), ჯექსონი (8+7 მოხსნა), სეფოლოშა (8), ბატლერი (3), კოლისონი (2), პერკინსი (2).

კ: გრიფინი (24+17 მოხსნა), კროუფორდი (19), პოლი (17+14 პასი+4 ჩაჭრა), ბარნსი (16+10 მოხსნა), რედიკი (16), გრეინჯერი (7), დევისი (4+7 მოხსნა), კოლისონი (1).

**სერია: 3-2**



უესტბრუკი გამარჯვებას ზეიმობს

# ინდიანას მოხსნა დაავიწყდა

გუშინ, „ინდიანა" საკუთარ მოედანზე „ვაშინგტონთან" სერიის დასრულებას გეგმავდა, მაგრამ არ გამოუვიდა, რაც მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. არ შეიძლება მატჩის მოგებაზე ფიქრი იმ დროს, როცა მოხსნებში მეტოქესთან 23:62-ს წააგებ.

„ვაშინგტონი" პირველივე წუთებიდან აქტიურად გამოიყურებოდა, მაგრამ „ინდიანა" შორს არ უშვებდა მეტოქეს. პირველი ნახევრის შემდეგ სტუმრების უპირატესობა შვიდ ქულას უდრიდა, რაც „პეისერსისთვის" კატასტროფა არ უნდა ყოფილიყო.

„უიზარდსის" მთავარმა მწვრთნელმა **რენდი უიტმანმა** უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. დიდი შესვენებისას მან დათქმულ დროზე 10 წუთით ადრე გაიყვანა გუნდი მოედანზე მოთელვისთვის. მატჩის შემდეგ დედაქალაქელთა დამრიგებელმა ეს იმით ახსნა, რომ არ უნდოდა მის შეგირდებს პირველი ტაიმის ბოლოს აღებული ტემპი დაეკარგათ. ამ სვლამ კარგად იმუშავა. „უიზარდსი" ისევ სჯობდა მეტოქეს აქტიურობასა და სისწრაფეში და ინდიანელები ვერ ასწრებდნენ მეტოქეთა ჩაკეტვას. ამან ის გამოიწვია, რომ ბოლო შესვენებაზე სტუმრები 24-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

„ინდიანას" სასწაული თუ გადაარჩენდა, რაც არ მოხდა, რადგან ბოლო მეოთხედშიც „ვაშინგტონი" მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა და მხოლოდ მაშინ მოდუნდა, როცა 12-წუთეულის შუაში სტუმრების რეზერვისტები გავიდნენ მოედანზე.

„ინდიანას" მთავარ მწვრთნელს **ფრენკ ფოგელს** სერიოზული ლაპარაკი ელოდება თავის შეგირდებთან. ასეთი მონდომებითა და თავდადებით, ისინი განწირულები არიან სერიის წასაგებად. „ვაშინგტონმა" კი უნდა დაიტოვოს იმედი, რომ **მარცინ გორტატი** გააგრძელებს **როი ჰიბერტზე** დომინირებას, ხოლო მოძრავი და მსუბუქი შეტევა ისევ იოლად დაძლევს „ინდიანას" დაცვას.



გორტატს ფანტასტიკური ორმაგი დუბლი ჰქონდა

**ინდიანა-ვაშინგტონი 79:102**

**19:25, 19:20, 14:31, 27:26**

ი: უესტი (17), ჯორჯი (15), სტივენსონი (9), კროუფორდი (9), უოტსონი (7), სკოლა (5), ჰიბერტი (4), ჰილი (3), სლოუნი (2), ბატლერი (2), ტერნერი (2), ალენი (2), მაინმი (2).

ვ: გორტატი (31+16 მოხსნა), ული (27), ბილი (18+8 მოხსნა), არიზა (10+10 მოხსნა), ნენე (4), ჰარინგტონი (4), ა. მილერი (2), ტემპლი (2), უებსტერი (2), პორტერი (2), გუდენი (0+9 მოხსნა).

**სერია: 3-2**

# ლეიკერსი ისევ ყველაზე პოპულარულია

გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის" გამოკვლევის თანახმად, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე პოპულარულ კლუბად „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" რჩება. და ეს იმის მიუხედავად, რომ 2013-14 წლების რეგულარულ ჩემპიონატში ამ გუნდმა მხოლოდ 27 გამარჯვება მოიპოვა და მე-14 ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში. გაზეთმა რეიტინგი „ფეისბუქის" ქსელში „მოწონებების" რაოდენობით შეადგინა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# პინგვინები სტენლის თასიდან გააძევეს

„ძალიან მნიშვნელოვანია პირველი გოლის გატანა. ამ სეზონში მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა და „პიტსბურგთან" ჩვენს სერიაში მატჩს იგებდა ის გუნდი, რომელიც ხსნიდა ანგარიშს", - განაცხადა „პიტსბურგისა" და „რეინჯერსის" სერიის მეშვიდე მატჩის წინ ნიუიორკელთა დამრიგებელმა **ალენ ვინიომ**. სტატისტიკა ადასტურებდა ამ სიტყვებს: NHL-ის ისტორიაში გუნდი, რომელსაც პირველი გოლი გაჰქონდა სერიის მეშვიდე მატჩში, 73.9 პროცენტის შემთხვევაში იგებდა შეხვედრას.

თავად მეშვიდე მატჩმა დაამტკიცა „რეინჯერსის" მწვრთნელის აზრთა სისწორე. „პინგვინებმა" ვერ გაუძლეს სტუმრების სასტარტო შემოტევას და უკვე მეექვსე წუთზე გაუშვეს შაიბა სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ, ხოლო გამარჯვების გოლი „რეინჯერებმა" არათანაბარი შემადგენლობებისას გაიტანეს. ნიუიორკელთა ყველაზე მაღალანაზღაურებადმა ჰოკეისტმა **ბრედ რიჩარდსმა** გამოიყენა **მეტ ნისკანენის** გაძევება. მასპინძლების საფინალო შტურმის დროს კი კლდესავით იდგა ნიუიორკელთა მეკარე **ჰენრიკ ლუნდკვისტი**. შვედმა გოლკიპერმა კარიერაში მეხუთედ მოიგო მეშვიდე მატჩი, რაც აქამდე ლიგის ისტორიაში მხოლოდ სამ მეკარეს გაუკეთებია: **ედ ბელფურს** (5), **პატრიკ რუასა** (6) და **მარტინ ბროდოს** (6).

ამ გამარჯვების წყალობით, „რეინჯერებმა" ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარეს. პირველად ისტორიაში ამ გუნდმა მოიგო სერია 1:3 ჩამორჩენის შემდეგ. გარდა ამისა, მეშვიდე მატჩში გასვლითი მოგება მეორე იყო ამ დიდი გუნდის ისტორიაში.

„რეინჯერები", რომლებმაც ბოლო 15 დღეში ცხრა მატჩი ჩაატარეს, აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდნენ, მათი მეტოქე კი „ბოსტონისა" და „მონრეალის" მეშვიდე მატჩში გაირკვევა.



კეინის გამარჯვების შაიბა მინესოტას კარში

„პიტსბურგის" გულშემატკივართა მთავარი იმედგაცრუება კი გუნდის ლიდერების - **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინის** თამაში გახდა. რუსი პერიოდულად ახერხებდა ჩვეულ დონეზე თამაშს და სერიის შვიდ მატჩში შვიდი ქულა (3+4) დააგროვა, კროსბიმ კი სერიის ოთხ მატჩში ქულა ვერ აიღო და მთლიანად პლეი ოფში ერთი შაიბა გაიტანა.

■ ■ ■

ასევე გავიდა დასავლეთი კონფერენციის ფინალში სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „ჩიკაგო". ამისთვის „ბლეკჰოქსს" ექვსი მატჩი დასჭირდა. მეექვსე შეხვედრა ოვერტაიმამდე გაიწელა და სავსე იყო საგოლე მომენტებითა და ერთი ერთზე გასვლებით, მაგრამ კარგად თამაშობდნენ მეკარეები - **ილია ბრიზგალოვი** და **კორი კროუფორდი**.

რუსი მეკარისთვის უიღბლო ეპიზოდი აღმოჩნდა „ჩიკაგოს" მცველის **ბრენტ სიბრუკის** მიერ შორიდან დარტყმისას შექმნილი მომენტი, როცა შაიბა ტრიბუნების დამცავმა ბარიერმა აისხლიტა და ბრიზგალოვის კარის სიახლოვეს მისრიალდა, სადაც მეკარეს და მცველებს წამით დაასწრო **პატრიკ კეინმა** და ამით წერტილი დაუსვა სერიას.

**აღმოსავლეთი**

**პიტსბურგი–რეინჯერსი 1:2**

**0:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბ. ბოილი-2 (მური-2, დორსეტი-1), 1:1 ი. იოკინენი-7 (მაატა-4, მალკინი-8), 1:2 ბ. რიჩარდსი-4 (სან ლუი-5, სტეპანი-4).

**სერია:** 3-4

**დასავლეთი**

**მინესოტა–ჩიკაგო 1:2 (ო)**

**გოლები:** 0:1 ვერსტიგი-1, 1:1 ჰაულა-4 (კუკი-3, სტოუნერი-2), 1:2 პ. კეინი-6 (სიბრუკი-9, კიტი-6).

**სერია:** 2-4

● ფორმულა 1

# ალონსო მხოლოდ მეორე ადგილზე ფიქრობს


ფერნანდო ალონსო

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, „ფერარის" ესპანელი პილოტი **ფერნანდო ალონსო** პესიმიზმით უყურებს სეზონის უახლოეს რბოლებში იტალიური გუნდის პერსპექტივებს, მაგრამ სჯერა, რომ „სკუდერია" წლევანდელ სეზონში მეორე ადგილს დაიკავებს კონსტრუქტორთა თასზე.

*„უკეთ მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. „მერსედესი" ჩვენთვის უკვე მიუღწეველია, მაგრამ „ფერარის" პოტენციალი სხვა გუნდებთან ბრძოლის საშუალებას იძლევა, შესაბამისად, სავსებით რეალურია მეორე ადგილისთვის ბრძოლა. სამწუხაროა, რომ „ფერარის" ბოლო გამარჯვება ზუსტად ერთი წლის წინ იყო. ძირითადად ეს იმის გამო მოხდა, რომ რეალურად არ გვქონდა გამარჯვებისთვის ბრძოლის საშუალება. არადა, „ფერარის" მიზანი ყოველთვის მხოლოდ მოგებაა. ეჭვი მეპარება, რომ უახლოეს პერიოდში შევძლოთ ფინიშზე პირველი მისვლა. შესაბამისად, უნდა ვიზრუნოთ ავტომობილის განვითარებაზე ნებისმიერი მიმართულებით, რათა ის უფრო კონკურენტუნარიანი გავხადოთ"*, - ამბობს ალონსო „ავტოსპორტთან" ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ადრე ესპანელმა პილოტმა გააკრიტიკა „ფერარის" მანქანა და მას „არა ბოლიდი, არამედ პრობლემების ბუდე" უწოდა. ბოლო დროს გაჩნდა ჭორები იმის შესახებ, რომ ალონსოს „ფერარის" დატოვება და „მერსედესში" საპრიზო პილოტად გადასვლა სურს.

● მძლეოსნობა

# ოსკარს ფსიქიატრები შეამოწმებენ

სამხრეთაფრიკელიმორბენალი-ამპუტანტი **ოსკარ პისტორიუსი**, რომელიც თავისი შეყვარებულის **რევა სტენკამპის** მკვლელობაშია ბრალდებული, სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

პროკურორმა **ჯერი ნილმა** ექსპერტებს სთხოვა შეაფასონ მძლეოსნის ფსიქიკური მდგომარეობა. ეს მოთხოვნა მას შემდეგ გაჟღერდა, რაც სასამართლოს ფსიქიატრმა განაცხადა, რომ სპორტსმენს ფსიქიკური აშლილობის ნიშნები აქვს, - იტყობინება სააგენტო „როიტერი".

მოსამართლე დაეთანხმა პროკურორის წინადადებას. მან განაცხადა, რომ ამბულატორიული შეფასება სპორტსმენისთვის მისაღები უნდა იყოს, რადგან ეს პროცედურა სამართლიანი სასამართლო გარჩევის გარანტია გახდება. სამედიცინო გამოკვლევის შედეგები მომავალ კვირას გახდება ცნობილი.

■ ■ ■

ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონი, რუსი **ელენა ისინბაევა** შვილის გაჩენის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს. ამის შესახებ მსოფლიოს რეკორდსმენის მწვრთნელმა **ევგენი ტროფიმოვმა** გამოაცხადა.

*„ეს მისი გადაწყვეტილებაა და მხარს დავუჭერ ამაში. ტურნირებზე დაბრუნების ზუსტ თარიღს მაშინ განვსაზღვრავთ, როცა საწვრთნელ პროცესს განვაახლებთ"*, - ამბობს მწვრთნელი.

ისინბაევა, რომელიც შვილის დაბადებას ელოდება, თავს კარგად გრძნობს. მშობიარობის შემდეგ ის ქალაქ ვოლგოგრადში აპირებს ვარჯიშს. მის განკარგულებაში იქნება დახურული მანეჟი და სპეციალიზირებული სტადიონი. რომელიც აღიჭურვება ჭოკით ხტომისთვის საჭირო ყველა ინვენტარით.

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევროპის ლიგა** | |
| **ფინალი** | |
| სევილია-ბენფიკა | 0:0 პენ. 4:2 |
| **შოტლანდია** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| კოუდენბითი-დანფერმლაინი | 1:1 |
| **I ლიგა** | |
| სტირლინგი-ისტ ფაიფი | 1:2 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| სლოვაკეთი (U21)-ჩეხეთი (U21) | 3:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-ბილი | 2:0 |
| ვადუცი-შაფჰაუზენი | 1:1 |
| ლოკარნო-ლუგანო | 0:3 |
| სერვეტი-ვილი | 2:1 |
| ვინტერტური-ვოლენი | 0:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ასტერასი-პაოკ | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ატრომიტოსი | 1:1 |
| **სლოვენია** | |
| კრკა-სელიე | 2:2 |
| **ლატვია** | |
| იურმალა-ვენტსპილსი | 0:6 |
| დაუგავა-სპარტაკსი | 3:3 |
| დაუგავა რიგა-BFC დაუგავა | 1:0 |
| მეტალურგსი-იელგავა | 2:1 |
| მეტა-სკონტო | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| ირონი (ქ-შ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 3:0 |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (თ-ა) | 2:2 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| 1/8 ფინალი. II მატჩები | |
| ვ. სიდნეი-ჰიროშიმა | 2:0 (1:3) |
| სეული-კავასაკი | 1:2 (3:2) |
| ფოოლადი-ალ სადი | 2:2 (0:0) |
| ალ ჰილალი-ბუნიოდკორი | 3:0 (1:0) |
| **[illegible]** | |
| [illegible] | 1:1 |
| რუბიო ნუ-ლიბერტადი | 0:1 |
| **სინგაპური** | |
| ბრუნეი-ნიიგატა | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ლიმოჟი | 74:96 |
| შალონი-სტრასბური | 91:81 |
| **ჰოკეი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| ჩეხეთი-იტალია | 2:0 |
| შვეიცარია-გერმანია | 3:2 |
| რუსეთი-ყაზახეთი | 7:2 |
| სლოვაკეთი-ნორვეგია | 5:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. რომი** | |
| მელცერი-**ჩილიჩი** | 6:2, 6:7, 6:3 |
| **მარეი**-გრანოლერსი | 6:2, 7:5 |
| როსოლი-**დოდიგი** | 1:6, 2:6 |
| ფედერერი-**შარდი** | 6:1, 3:6, 6:7 |
| **ცონგა**-ანდერსონი | 7:6, 7:6 |
| სისლინგი-**ჰაასი** | 6:7, 1:6 |
| **იუჟნი**-გოლუბევი | 7:5, 4:1 უარი |
| **გულბისი**-რობერი | 6:7, 6:4, 6:3 |
| **დიმიტროვი**-კარლოვიჩი | 7:6, 6:4 |
| **ბერდიხი**-ტურსუნოვი | 6:4, 6:3 |
| **ნადალი**-სიმონი | 7:6, 6:7, 6:2 |
| **WTA. რომი** | |
| ჯორჯი-**მაკჰეილი** | 6:1, 3:6, 1:6 |
| ორმაეჩეა-**ა. რადვანსკა** | 3:6, 2:6 |
| **სკიავონე**-მუგურუსა | 3:6, 6:1, 7:6 |
| **სტოსური**-ვესნინა | 6:2, 6:3 |
| მაკაროვა-**ერანი** | 2:6, 3:6 |
| ვ. უილიამსი-**სუარეს ნავარო** | 4:6, 2:6 |
| **ლეპჩენკო**-სტივენსი | 6:2, 6:2 |
| **ჰალეპი**-კისი | 5:7, 6:0, 6:1 |
| **ს. უილიამსი**-პეტკოვიჩი | 6:2, 6:2 |
| პუიგი-**შარაპოვა** | 3:6, 5:7 |
| **ივანოვიჩი**-კორნე | 7:6, 7:5 |
| ბენჩიჩი-**პენეტა** | 2:6, 6:2, 3:6 |

● ოლიმპიზმი


ტომას ბახი

# უკრაინელებს დაეხმარებიან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს, დახმარება გაუწიოს უკრაინელ სპორტსმენებს და ამისთვის 330 ათას დოლარს გამოყოფს. ამის შესახებ გამოაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა **ტომას ბახმა**.

*„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აკვირდება უკრაინაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენებს. უკრაინელი სპორტსმენების დასახმარებად ჩვენმა ორგანიზაციამ შექმნა სპეციალური ფონდი 300 ათასი დოლარის ოდენობით. უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეშვეობით, ეს თანხა მოხმარდება სპორტსმენთა ვარჯიშებსა და ტურნირებში მონაწილეობას"*, - განაცხადა ბახმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**იტალია–დანია 1:4**

**1:1, 0:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 ი. იენსენი-1 (ბიორკსტრანდი-2, სტორმი-1), 1:1 კოსტნერი-1 (სკანდელა-1), 1:2 ი. ჰანსენი-2, 1:3 კრისტენსენი-1 (იაკობსენი-1, ბოდკერი-1), 1:4 სტაალი-1 (ბოდკერი-2, ლარსენი-1).

**ნორვეგია–შვედეთი 1:2**

**0:0, 1:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ოლდენი-1 (სკრედერი-2), 1:1 ლინდსტრიომი-3 (ნიუგრენი-2, მიორელი-2), 1:2 კლასენი-1 (ნიკუისტი-1, ტ. ერიქსონი-2).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 9:4 | 8 |
| 2. კანადა | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 10:7 | 7 |
| 3. ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| 4. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 9:7 | 5 |
| 5. ჩეხეთი | 3 | 0 | 1 | 1 | 1 | 9:10 | 3 |
| 6. დანია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 7:8 | 3 |
| 7. იტალია | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| 8. სლოვაკეთი | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 6:12 | 1 |

**B ჯგუფი**

**გერმანია–ფინეთი 0:4**

**0:2, 0:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 კონტიოლა-1 (ლეჰტერია-2), 0:2 იმონენი-1 (ლაიუნენი-2, ჰუჰტალა-1), 0:3 პალოლა-1 (კონტიოლა-3), 0:4 კომაროვი-1 (კარალაჰტი-1, ოჰტამაა-1).

**ყაზახეთი–ლატვია 4:5**

**2:1, 2:3, 0:1**

**გოლები:** 0:1 ინდრაშისი-1 (შტალსი-1, რედლიჰსი-1), 1:1 ჟაილაუოვი-1 (სემიონოვი-1, კრასნოსლობოდცევი-1), 2:1 რიმარევი-1 (ანტროპოვი-1, სავჩენკო-1), 2:2 კულდა-2 (რედლიჰსი-3, კენინში-3), 2:3 კუდლა-3 (ინდრაშისი-2), 2:4 რედლიჰსი-2 (სოტნიეკსი-1, დაუგავინში-2), 3:4 ანტროპოვი-1 (დალმენი-2), 4:4 ბლოხინი-1 (ანტროპოვი-2, დალმენი-3), 4:5 შტალსი-1 (გალვინში-1).

| | თ | მ | ო-მ | ო-წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 15:3 | 9 |
| 2. აშშ | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10:9 | 6 |
| 3. ლატვია | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 10:9 | 6 |
| 4. ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 9:10 | 6 |
| 5. გერმანია | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 5:7 | 5 |
| 6. ფინეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 8:7 | 3 |
| 7. ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 6:11 | 1 |
| 8. შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 5:12 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ჯობდა ტყუპებთან დარჩენილიყო

## როჯერ ფედერერმა რომის მასტერსზე პირველივე მატჩი წააგო

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** რამდენიმე დღის წინ ტყუპი ვაჟის მამა გახდა, მან მაინც გადაწყვიტა რომის მასტერსზე თამაში.

ტურნირამდე შვეიცარიელი ჟურნალისტებს შეხვდა და აღიარა, რომ მეუღლისგან აილო ნებართვა იტალიის დედაქალაქში თამაშზე.

*„რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში ჩემთვის რთული იყო ოჯახის დატოვება, მაგრამ მალე ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ჩვენ ყველაფერი კარგად გვაქვს: ბავშვებიც და მირკაც ჯანმრთელები არიან. ცხოვრების უბედნიერესი მომენტი გვიდგას. სანამ რომში გამოვემგზავრებოდი, მეუღლესა და ჩემს გუნდს ვკითხე რჩევა და მათ ერთხმად მიპასუხეს, რომ იტალიაში უნდა მეთამაშა. ამიტომაც ვარ აქ. სიმართლე გითხრათ, უკვე მომენატრა ოჯახი, მაგრამ ვეცდები გავუძლო ამ გამოცდას და კარგი ჩოგბურთი ვაჩვენო“*, - განაცხადა ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ფედერერმა.

■ ■ ■

როგორც ჩანს, ტყუპის დაბადებამ და ბედნიერმა დღეებმა როჯერს კონცენტრაცია დააკარგვინეს და ახლა მას შეუძლია დაუბრუნდეს მშობლიურ ოჯახს. საქმე ისაა, რომ გუშინ რომის მასტერსის მეორე რაუნდში მსოფლიოს 47-ე ჩოგანმა, ფრანგმა **ჟერემი შარდიმ** ერთი მატჩბოლი მოიგერია და სამ სეტში დაამარცხა შვეიცარიელი ლეგენდა - 1:6, 6:3, 7:6(6).

ფრანგი ჩოგბურთელისთვის ეს იყო ამ სეზონში პირველი მოგება ტოპ-ათეულის წევრთან (მეშვიდე ცდიდან), სულ კარიერაში კი ეს მან მერვედ მოახერხა.

შეხვედრა ორ საათსა და შვიდ წუთს გაგრძელდა. ფედერერმა მესამე სეტში შეძლო 2:4-დან სიტუაციის გამოსწორება და ტაი-ბრეიკამდე მისვლა, იქ კი შარდის ორმაგი შეცდომით 6:5 დაწინაურდა და მატჩბოლი მიიღო. ჟერემიმ შესანიშნავი ფორჰენდით მოიგერია ეს საფრთხე და შემდეგ პირველივე მატჩბოლის გამოყენება შეძლო. მიმდინარე სეზონში ფედერერი არც ერთ ტურნირს არ გამოთიშვია ასეთი ადრეული ეტაპიდან. 2014 წელს მის ანგარიშზეა - 28 მოგება და 6 წაგება.

სხვა მატჩებიდან უნდა აღვნიშნოთ ბრიტანელი **ენდი მარეის** გამარჯვება ესპანელ **მარსელ გრანოლერსზე** - 6:2, 7:5. ენდი ჯერაც ოპტიმალური სპორტული ფორმის ძიებაშია. მან ჩააგდო გასულ კვირას მადრიდის მასტერსი, ამჯერად კი დამაჯერებელი სტარტი გამოუვიდა - 86 წუთში შეძლო მერვედფინალის საგზურის მოპოვება.

მარეი, რომელსაც შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ არც ერთი ტურნირის ფინალამდე არ მიუღწევია, შემდეგ ეტაპზე ავსტრიელ **იურგენ მელცერს** შეხვდება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 5:0-ს უგებს.

ფრანგმა **ჟო-ვილფრი ცონგამ** კარიერაში მე-300 გამარჯვება მოიპოვა. მან ორი ტაი-ბრეიკი ითამაშა სამხრეთაფრიკელი **კევინ ანდერსონის** წინააღმდეგ, ცხრა სეტბოლი გადაარჩინა და 7:6(14), 7:6(5) მოიგო.



როჯერ ფედერერი



ნა ლი

# ნა ლი იუბილარი და ბიზნესმენი

რომის ქალთა ტურნირის მეორე რაუნდში ერთ ღირსშესანიშნავ მომენტს ჰქონდა ადგილი. ჩინელმა **ნა ლიმ** სტარტზე ავსტრალიელი **კეისი დელაკუა** დაამარცხა და ეს იყო აზიელის რიგით მე-500 მოგება WTA-ის ტურში.

ნა ლი გახდა მე-12 მოქმედი ჩოგბურთელი, ვინც კარიერაში 500-მოგებიან ზღვარს მიაღწია. ამ სიაში შედიან: **ვინუს უილიასი, სერენა უილიამსი, ელენა იანკოვიჩი, ფლავია პენეტა, ტამარინე ტანასუგარნი, ფრანჩესკა სკიავონე, ნადია პეტროვა, მარია შარაპოვა, დანიელა ჰანტუხოვა, სვეტლანა კუზნეცოვა და სტეფანი ფორეტცი.**

■ ■ ■

გუშინდელი დღე ნა ლისთვის მხოლოდ ამ გამარჯვებით არ ყოფილა გამორჩეული. მსოფლიოს მეორე ჩოგანი მსოფლიო ბიზნესში 100 ყველაზე გავლენიან პიროვნებათა სიაში შეიყვანეს. ეს გააკეთა ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Fast Company-მ.

ჩოგბურთელმა აღნიშნულ რეიტინგში 50-ე ადგილი დაიკავა და სიაში სპორტის ერთადერთი წარმომადგენელია.

ჟურნალის რედაქტორმა **ჯეისონ ფრეიზერმა** აღნიშნა, რომ ნა ლიმ გაწყვიტა ურთიერთობა ჩინეთში სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო სისტემასთან და ის აღმაფრენის წყაროა ბევრი ახალგაზრდა ჩინელი სპორტსმენისთვის. გარდა ამისა, ლი კომპანია Nike-ის ერთადერთი წევრია, რომელსაც შეუძლია თავის სათამაშო ფორმაზე სხვა სპონსორების ლოგოებიც განათავსოს.

# დელ პოტრომ თავი შეგვახსენა

არგენტინელმა ჩოგბურთელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** ჟურნალისტებს უამბო მარცხენა მაჯაზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

*„მინდა შემოგთავაზოთ ვიდეო, რომელზეც აღბეჭდილია ჩემი რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი, მაგრამ მონდომებით ვმუშაობ იმისთვის, რათა მაქსიმალურად სწრაფად დავუბრუნდე თამაშს. ყველას დიდ მადლობას ვუხდი მხარდაჭერის სიტყვების გამო“*, - დაწერა საკუთარ „ფეისბუქზე“ არგენტინელმა.

შეგახსენებთ, რომ დელ პოტრომ მარცხენა მაჯაზე ოპერაცია ამა წლის მარტში გადაიტანა. ადრე წერდნენ იმის შესახებ, რომ არგენტინელს მთლიანად გაუცდებოდა 2014 წლის სეზონი, მაგრამ შემდეგ გაჩნდა იმის დიდი ალბათობა, რომ ხუან მარტინი მოასწრებს აშშ-ის ღია პირველობისთვის აღდგენას.






# სერენა ფანტასტიკური იყო

გუშინ, ქალთა ტურნირზე სათამაშო დღის მთავარი ინტრიგა მსოფლიოს პირველი ნომერი **სერენა უილიამსი** იყო. მას გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** უწევდა თამაში და უშუალოდ ამ მატჩის წინ უნდა გამოეცხადებინა - შეძლებდა თუ არა კორტზე გასვლას.



პეტკოვიჩი და უილიამსი

საბოლოოდ, ამერიკელმა არა მხოლოდ ითამაშა, არამედ შესანიშნავი ფორმაც აჩვენა. მან ბრეიკით გახსნა შეხვედრა და მომდევნო სამი გეიმიც თავის სასარგებლოდ დაასრულა, რაც თითქმის პირველი სეტის მოგებას ნიშნავდა. მეორე პარტიაც პირველის ანალოგიურად დაიწყო და 3:0-ის შემდეგ უილიამსის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. 6:2, 6:2 - ასეთი ანგარიშით მოიგო სერენამ, რომელსაც ერთი ბრეიკ-პოინტის მოგერიებაც არ მოუხდა.

პირველ მოწოდებაზე ამერიკელმა მხოლოდ რვა ქულა წააგო. რომში მისი სტატისტიკა ფანტასტიკურია - ზედიზედ მოგებული 10 მატჩი, ზედიზედ აღებული 17 სეტი, თანაც თითოეულ პარტიაში მას სამზე მეტი გეიმი არ წაუგია.

სერენა უილიამსმა კარიერაში 651-ე გამარჯვებას მიაღწია და თუ შემდეგ წრეში თანამემამულე **ვარვარა ლეპჩენკოს** დაამარცხებს, უფროს დას **ვინუს უილიამსს** გაასწრებს და მოგებების რაოდენობით ყველა დროის სიაში ათეულში შეაბიჯებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**

მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44** (რედაქცია). **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**